საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლელო

№ 279 (12 349) 29 ნოემბერი ხუთშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან
ფასი 50 თეთრი




ინტერვიუ კლაუს ტოპმიოლერთან

## ჯერ ხელფასი ბოლომდე გაგვისტუმრონ, ახალ კონტრაქტზე კი მერე ვილაპარაკოთ 2

ეს ჯგუფი არც ძალიან კარგია და არც ძალიან ცუდი. ამაზე უკეთესიც შეიძლებოდა და გაცილებით უარესიც. საბოლოო ჯამში, უკმაყოფილო არ ვარ და ვერც ვიქნები, რადგან ჩვენ მეხუთე კალათაში ვიყავით და დიდი პრეტენზიები ვერ გვექნებოდათუ რაიმე სასწაული არ მოხდა, პირველ ადგილზე აუცილებლად იტალია გავა, მეორე ადგილისთვის კი დიდი ბრძოლა გაჩაღდება, რომელშიც ჩვენც აუცილებლად ჩავერთვებით...

ძიება გაგრძელდება, მაგრამ მე შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ძირითადი ბირთვი უკვე სახეზეა, ბირთვი, რომლის კისერზეც მომავალი შესარჩევი ციკლი გადაივლის...

კალენდრის ჩემეული ვარიანტი მზად მაქვს, მაგრამ შანსი იმისა, რომ ზუსტად ეს ვარიანტი გავა, სამწუხაროდ, ძალიან მცირეა. დათმობაზე წასვლა ჩვენც მოგვიწევს და სხვებიც უნდა წამოვიდნენ...

დავიბენი! ხიზანიშვილი გაბრაზებულია იმის გამო, რომ სასტარტოში არ გავამწესე? ეს ჩემთვის სიახლეა, არაფერი ვიცოდი, თუმცა რაღაცას კი ვგრძნობდი, რადგან მატჩის წინა დღეს ხიზანა მოვიდა და მოულოდნელად განაცხადა, რომ თამაში არ შეეძლო. ზურაბ ხიზანიშვილი ის ფეხბურთელია, რომელიც საქართველოს ნაკრებს ძალიან სჭირდება, მისი დონის მცველები ჩვენ ბევრი არ გვაყვს, მაგრამ სათადარიგოთა სკამზე ჯდომა არავის არ უნდა ეთაკილებოდეს...

იმედი მაქვს, რომ ზამთრიდან ლევან ცქიტიშვილი კაიზერსლაუტერნის ფორმას მოირგებს, იქ არც სხვა ქართველი ფეხბურთელების გადასვლაა გამორიცხული...

UEFA CHAMPIONS LEAGUE

## კალაძე და მილანი მერვედფინალში

...პლუს ჩელსიც, ვერდერს და ლივერპულს შანსები გაუჩნდათ

16 ტექნიკური შედეგები


ლივერპული-პორტუ 4:1. ჯერარდის პენალტის შემდეგ ყველაფერი გაირკვა

## პაიკიძე და ნანალაშვილი მსოფლიო ჩემპიონები არიან


ნაზი პაიკიძე


ქეთი ნანალაშვილი

13

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყაზბეგი
www.kazbegi.com

გახსენი...
# ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge



რალფ მინგე, კლაუს ტოპმიოლერი და ნოდარ ახალკაცი

ინტერვიუ კლაუს ტოპმიოლერთან

# ჯერ ეს კონტრაქტი შესრულდეს და ახალზე მერე ვილაპარაკოთ!

## ტოპის კალენდრის თავისი ვარიანტი უკვე მზად აქვს...

**მსოფლიოს** ჩემპიონატის წილისყრა, ახალი კონტრაქტი, ზურაბ ხიზანიშვილის შემთხვევა – კლაუს ტოპმიოლერთან ბევრი კითხვა დაგროვდა და ჩვენც საქართველოს ნაკრების გერმანელ მწვრთნელს გუშინ სახლში შევეხმიანეთ.

**- ჰერ ტოპმიოლერ, პირველ რიგში წილისყრის შედეგებზე ვისაუბროთ. როგორ შეაფასებდით ჩვენს ჯგუფს და როგორ გგონიათ, რა შანსი აქვს საქართველოს ნაკრებს ამ კომპანიაში?**

- ერთი რამ 100 პროცენტით ცხადია – იტალიის ნაკრები ამ ჯგუფის ფავორიტია. ვფიქრობ, დანარჩენ გუნდებს შორის არც ისე დიდი განსხვავებაა, როგორც სხვა ჯგუფებში. ცხადია, ჩვენ ბოლოდროინდელი შედეგებით ბულგარეთს და ირლანდიას არ ვედრებით, მაგრამ მიმაჩნია, რომ ნებისმიერის დამარცხება შეგვიძლია. არც ჩერნოგორიის ნაკრებია საჩუქარი – ეს საკმაოდ ძლიერი გუნდია და ბოლო კალათაში უძლიერესი იყო. აგერ, სამშაბათს ვუჩინიჩმა ჩემპიონთა ლიგაში დუბლი შეასრულა და ეს მართლაც შესანიშნავი ფეხბურთელი ნაკრების ლიდერია. მაგრამ იმას, რომ ბოლო კალათიდან სწორედ ეს გუნდი შეგვხვდა, დადებითი მხარეც აქვს და კერძოდ ის, რომ ვუჩინიჩი და კომპანია ყველას ჯეროვან წინაალმდეგობას გაუწევენ. ისევ ფარერები ან სან მარინო რომ ყოფილიყო, ყველას სამ-სამ ქულას დაურიგებდა და აბა ამას რაღა აზრი ექნებოდა. სახიფათოა კვიპროსიც – ამ გუნდმა წინა შესარჩევში საკმაოდ კარგად იასპარეზა და გერმანიასთან ფრეც კი გაახერხა. ირლანდია და ბულგარეთი დაახლოებით შოტლანდიისა და უკრაინის კალიბრის გუნდები არიან. ერთი სიტყვით, ეს ჯგუფი არც ძალიან კარგია და არც ძალიან ცუდი. ამაზე უკეთესიც შეიძლებოდა და გაცილებით უარესიც. საბოლოო ჯამში, უკმაყოფილო არ ვარ და ვერც ვიქნები, რადგან ჩვენ მეხუთე კალათაში ვიყავით და დიდი პრეტენზიები ვერ გვექნებოდა. თუ რაიმე სასწაული არ მოხდა, პირველ ადგილზე აუცილებლად იტალია გავა, მეორე ადგილისთვის კი დიდი ბრძოლა გაჩაღდება, რომელშიც ჩვენც აუცილებლად ჩავერთვებით. კარგია, რომ ძალები მეტ-ნაკლებად დაბალანსებულია, რადგან ჩვენი მეტოქეები ერთმანეთშიც ბევრ ქულას დაკარგავენ.

**- გუშინ „კიკერმა“ თქვენს შესახებ სტატია გამოაქვეყნა, სადაც სფფ-ის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი ამბობს, რომ თქვენთვის ახალი კონტრაქტის გაფორმება ფორმალობაა. ე.ი. 100 პროცენტით გადაწყვეტილია, რომ რჩებით?**

- ჯერ კონტრაქტი არ გაფორმებულა, ასე რომ, 100 პროცენტზე ვერ ვისაუბრებთ. არაერთხელ მითქვამს და ახლაც სიამოვნებით გავიმეორებ, რომ საქართველოში მუშაობას დიდი სიამოვნებით გავაგრძელებ. მცირე პრობლემებია მოსაგვარებელი. მაგალითად, სამწვრთნელო შტაბს ხელფასის გარკვეული ნაწილი ჯერ არ აუღია. იმედი მაქვს, რომ ეს საკითხი მალე მოგვარდება. მერე დავსხდებით, დავილაპარაკებთ, ყველაფერს კიდევ ერთხელ გავაანალიზებთ და კონტრაქტზეც ვისაუბრებთ.

**- ახალ ხელშეკრულებაში ფინანსური ცვლილებები ხომ არ არის მოსალოდნელი?**

- წინასწარ რთულია ამ დეტალებზე ლაპარაკი. ამისათვის საუბარი და მოსაზრებების გაცვლაა საჭირო. მოდით, ასე ვიტყვი: ჯერ მოქმედი ხელშეკრულება შესრულდეს, ვადა გაუვიდეს და მერე დიდი სიამოვნებით ვისაუბრებ ახალ კონტრაქტზე. ფაქტი ის არის, რომ მუშაობის გაგრძელების უდიდესი მოტივაცია მაქვს, რადგან როგორც იქნა ჩამოვაყალიბეთ გუნდი, რომელსაც მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა შეუძლია.

**- კალენდარზე ფიქრი დაიწყეთ?**

- დავიწყე კი არა, უკვე დავამთავრე. კალენდრის ჩემეული ვარიანტი მზად მაქვს, მაგრამ შანსი იმისა, რომ ზუსტად ეს ვარიანტი გავა, სამწუხაროდ, ძალიან მცირეა. მოკლედ, მე ჩემი ვარიანტი მზად მაქვს და მაქსიმალურად შევეცდებით, რომ ეს ვარიანტი გავიტანოთ. თუ არა და მაქვს რამდენიმე სათადარიგო ვარიანტიც. დარწმუნებული ვარ, რომ ხუთივე გუნდს იტალიასთან მატჩით სურს დაწყება ან დამთავრება. ხუთივეს თავისი ვარიანტის გატანა მოუნდება და დიდი ბრძოლა გველის. ხომ გახსოვთ, წინა შესარჩევში ჩვენს ჯგუფში შეთანხმების მიღწევა ყველაზე მეტად გაჯანჯლდა და ცოტა დაგვაკლდა, კენჭისყრა რომ არ დაინიშნა. ასე რომ, დათმობაზე წასვლა ჩვენც მოგვიწევს და დანარჩენებიც უნდა წამოვიდნენ კომპრომისზე.

**- მოდით, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ და მოკლედ შევაჯამოთ წინა შესარჩევი ციკლი. მიაგენით თუ არა ძირითად ბირთვს?**

- ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი ჩვენ ფაქტობრივად გუნდის გარეშე დავიწყეთ და ძიების სტადიაში ვიყავით, ძიებისა, რომელიც სამწუხაროდ კიდევ დიდხანს გაგრძელდა და ახლახან დასრულდა. ცხადია, ძიება გაგრძელდება, მაგრამ მე შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ძირითადი ბირთვი უკვე სახეზეა – ბირთვი, რომლის კისერზეც მომავალი შესარჩევი ციკლი გადაივლის. ცხადია ეს იმას არ ნიშნავს, რომ ახალი ან ძველი ფეხბურთელებისთვის ნაკრების კარი დახურულია - საუკეთესოს ყოველთვის მიეცემა შანსი. აქ იმაზეა საუბარი, რომ უამრავი ფეხბურთელი გამოვცადეთ და ახლა შემიძლია ვთქვა, რომ ძირითადი ბირთვი მიგნებულია.

**- თუ არის ისეთი რამ, რაც ამ ორი წლის მანძილზე არ გამოგივიდათ ან ძალიან გვიან გამოგივიდათ?**

- არ გამომოვიდა ის, რისი დიდი იმედიც მქონდა – ვერ ვაჩვენეთ შედეგი და მხოლოდ ფარერებს გავასწარით. ძალიან გვიან ვიპოვე კარგი მეკარე. ყოველ შემთხვევაში, ვფიქრობ, რომ ის უკვე ვიპოვე. ერთ რამეზე ვოცნებობ: ყოველი თამაშის წინ 3-4 წამყვანი მოთამაშე ნუ დაგვაკლდება ტრავმის გამო. ერთდროულად სამი ან ოთხი წამყვანი მოთამაშის შეცვლა ჩვენთვის შეუძლებელია! ბევრმა შესაძლოა ვერ შეამჩნია ან არ დააკვირდა, მაგრამ ლიტვასთან მენთეშაშვილის მოედნიდან გასვლა გუნდს ძალიან დაეტყო. აი, ასეთ მცირე დეტალებზეა მთელი მექანიზმი აგებული. იმედია, მომდევნო ციკლში ტრავმები აღარ დაგვტანჯავს.

**- ჰერ ტოპმიოლერ, რატომ არ ითამაშა ლიტვასთან ზურაბ ხიზანიშვილმა?**

- მან თქვა, რომ თამაში არ შეეძლო. ამას ახლა რატომ მეკითხებით?

**- ხიზანიშვილი მიიჩნევს, რომ თქვენ მისთვის უნდა აგეხსნათ, რატომ არ მოხვდა ძირითად შემადგენლობაში და რაკი ეს არ აუხსენით, თავი შეურაცხყოფილად ჩათვალა და გუნდი მიატოვა...**

- დავიბენი! ხიზანიშვილი გაბრაზებულია იმის გამო, რომ სასტარტოში არ გავამწესე? ეს ჩემთვის სიახლეა, არაფერი ვიცოდი, თუმცა რაღაცას კი ვგრძნობდი, რადგან მატჩის წინა დღეს ხიზანა მოვიდა და მოულოდნელად განაცხადა, რომ თამაში არ შეეძლო, რადგან ტრავმა ჰქონდა. ჩვენ ყველანი გაკვირვებულები დავრჩით, ეს აბსოლუტურად ყველას გაუკვირდა: მეც, ფეხბურთელებსაც და ექიმებსაც! ზურაბ ხიზანიშვილი ის ფეხბურთელია, რომელიც საქართველოს ნაკრებს ძალიან სჭირდება, მისი დონის მცველები ჩვენ ბევრი არ გვაყვს, მაგრამ სათადარიგოთა სკამზე ჯდომა არავის არ უნდა ეთაკილებოდეს.

**- დაბოლოს: რა ხდება ლევან ცქიტიშვილის ტრანსფერთან დაკავშირებით? გადადის თუ არა „კაიზერსლაუტერნში“?**

- ძალიან მინდა, რომ ცქიტო „კაიზერსლაუტერნის“ ფეხბურთელი გახდეს, რადგან დღესდღეობით ამ გუნდს ყველაზე მეტად ასეთი მოთამაშე სჭირდება. იმედი მაქვს, რომ ზამთრიდან ლევანი FCK-ს ფორმას მოირგებს.

**- ამ გუნდში სხვა ქართველი ფეხბურთელის გამოჩენასაც ხომ არ უნდა ველოდოთ?**

- გამორიცხული არაფერია.

**გოტფრიდ ლენცი**

ლეგიონერი

# მათე 2011 წლამდე ლომია

**მათე ღვინიანიძემ** „მიუნხენ 1860“-თან კონტრაქტი ორი წლით გააგრძელა. ძველ ხელშეკრულებას ვადა 2009 წლის ივნისის ბოლოს გასდიოდა, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობამ ამთავითვე იზრუნა ქართველი მცველის დატოვებაზე და 2011 წლის ივნისის ბოლომდე გაუგრძელა კონტრაქტი.

„კარგია, რომ მათესთან მოლაპარაკება წარმატებით დასრულდა და ის ჩვენთან უფრო ხანგრძლივი დროით დარჩება. საკითხის მოგვარება მნიშვნელოვანი იმით იყო, რომ ღვინიანიძეს ბევრი მთხოვნელი ჰყავდა“, - განაცხადა გერმანული კლუბის გენერალურმა მენეჯერმა **შტეფან როიტერმა.**

**დავით ცაბაძე**




მათე ღვინიანიძე

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.kazbegi.com

www.pfl.ge

ინტერვიუ თემურ მახარაძესთან

# ზესტაფონი გადამწყვეტი ბრძოლებისთვის ემზადება

## კარგად დაწყებული საქმე ბოლომდე უნდა მივიყვანოთ

ზესტაფონი მიმდინარე ჩემპიონატში წარმატებულ სვლას განაგრძობს. 11 ტურის შემდეგ იმერული გუნდი გათამაშების ცხრილს უდგას სათავეში და ჩემპიონობის ერთ-ერთ რეალურ პრეტენდენტად ითვლება. პირველი წრის ბოლო ორი მატჩი ზესტაფონელებს გასვლაზე, უშუალო კონკურენტებთან „ამერთან“ და „დინამოსთან“ აქვთ ჩასატარებელი. ამ მატჩებში ნაჩვენებ შედეგზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული. „ზესტაფონი“ რთული ბრძოლებისთვის სერიოზულად ემზადება. გეგმებზე მთავარი მწვრთნელი თემურ მახარაძე გვესაუბრა.

**- „ზესტაფონს“ საქართველოს ჩემპიონატში ასეთი კარგი სტარტი პირველად აქვს. 11 ტურში მხოლოდ ერთი ფრე ითამაშეთ, დანარჩენ შეხვედრებში კი გაიმარჯვეთ. როგორ ფიქრობთ მომწიფდა „ზესტაფონი“ ჩემპიონობისთვის?**

- გუნდის თამაშითა და აქამდე ნაჩვენები შედეგით კმაყოფილი ვარ. დასახული მიზნისკენ წარმატებით მივიწევთ, მაგრამ ჯერ კიდევ არაერთი რთული მატჩი გველის. ორ უშუალო კონკურენტს „ამერსა“ და „დინამოს“ ძალიან მცირე ინტერვალში ვხვდებით. ცუდია, როცა ორი პრინციპული მატჩი ასე ახლოს გვაქვს ერთმანეთთან. ამ მატჩებში ნაჩვენებ შედეგებზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული. „დინამოსთან“ ნოემბერში რომ გვეთამაშა უკეთესი იქნებოდა, ახლა კი „ამერთან“ შეხვედრის შემდეგ ძალების ალსადგენად მცირე დრო გვექნება, თუმცა ჩვენი მიზნები ამით არ იცვლება, ნებისმიერ მატჩში მაქსიმალური შედეგისთვის უნდა ვიბრძოლოთ. ასევე ვართ თასზეც. ზედიზედ სამი ფინალი წავაგეთ და გვინდა, რომ წლეულს ეს ჯილდოც მოვიპოვოთ.

**- ბექა გოცირიძემ, გიორგი ხიდეშელმა და უჩა ლობჟანიძემ რუსეთის ახალგაზრდული ნაკრების წინააღმდეგ კარგად ითამაშეს. ამის შემდეგ ბათუმთან მატჩში სამივე მათგანი ძირითადში დააყენეთ, არადა ისინი მანამდე იშვიათად ხვდებოდნენ სასტარტო შემადგენლობაში. როგორც ჩანს ახალგაზრდულ ნაკრებში მათი თამაშით კმაყოფილი დარჩით.**

- ამ ბიჭებმა რუსების წინააღმდეგ ძალიან მაღალ დონეზე ითამაშეს და ბუნებრივია, კლუბშიც მიეცემათ თავის გამოჩენის შანსი. ჩვენი კლუბის სტრატეგია და დევიზიც ის არის, რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა დავაწინაუროთ. თუ გუნდში ორი თანაბარი დონის ფეხბურთელი გვყავს, იქ აუცილებლად შედარებით ახალგაზრდა ითამაშებს. ხოლო, თუ ვეტერანი იუნიორს ბევრად აღემატება, მაშინ გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე ეს ვეტერანი ითამაშებს. ასეთია ფეხბურთის კანონი.

**- ბათუმთან შეხვედრაში გიორგი ჭელიძემ ტრამვა მიიღო და შესაცვლელი გახდა. შეძლებს იგი „ამერთან“ და „დინამოსთან“ თამაშს?**

- ახლა არაფრის თქმა არ შემიძლია. იმედი მაქვს ამ პრინციპული მატჩებისთვის ჭელიძე სრულ მზადყოფნაში იქნება.

**- ალბათ, იანვრის შემდეგ მასთან გამოთხოვება მოგიწევთ. მისი წასვლა „ზესტაფონისთვის“ მართლაც დიდი დანაკლისი იქნება...**

- გიორგი მოსკოვის „ლოკომოტივის“ საკუთრებაა და როგორ განვითარდება მოვლენები მასთან დაკავშირებით ვერაფერს გეტყვით. ყველაფერს კლუბებს შორის მოლაპარაკებები გადაწყვეტს. ჩვენ ნებისმიერ შემთხვევაში იგივე მიზნებისთვის ვიბრძოლებთ. გუნდი კიდევ უფრო გაძლიერდება და ვფიქრობ, მეორე წრეში გაცილებით უკეთეს ფეხბურთს ვაჩვენებთ. ხომ იცით როგორც არის, რაც უნდა კარგი შემადგენლობა ჰყავდეს, მწვრთნელისთვის იდეალური მაინც არ იქნება. საკმაოდ კარგი ფეხბურთელები გვყავს, მაგრამ გაძლიერებაზე უარს არ ვიტყვით.

**- ბოლო დროს „ზესტაფონის“ ძირითადში არ ჩანს ჟილვენ ვიეირა. „ბათუმთან“ იგი სათადარიგოთა სკამზე გამოჩნდა. რა არის ამის მიზეზი?**

- მას კოჭზე სერიოზული ტრამვა ჰქონდა, ამიტომ აღარ გავრისკეთ და ბოლო ტურში დავასვენეთ. იგი გუნდისთვის მნიშვნელოვანი ფეხბურელია და ვუფრთხილდებით. ტრამვა ჰქონდა ონიანსაც და ნელ-ნელა ისიც ჩადგა მწობრში.

**- როგორც ითქვა კიდევ ერთი აფრიკელი ლეგიონერის დამატებას აპირებთ...**

- ამის თაობაზე მართლაც არის საუბარი და ვნახოთ რა იქნება. ახლა მთავარია, კარგად დაწყებული საქმე ბოლომდე მივიყვანოთ და „ამერთან“ და „დინამოსთან“ საჭირო ქულები ავილოთ.

**- როგორც ჩანს ლეგიონერებით კმაყოფილი ხართ?**

- კი. ისინი გუნდს კარგად მოერგნენ. ლეგიონერების მიმართ პრეტენზიები არ მაქვს. ბიტოოს გაუგრძელდა ადაპტაციის პერიოდი, ჯერჯერობით ბოლომდე ვერ გაიხსნა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მეორე წრეში გაცილებით უკეთ ათამაშდება. ამის პოტენციალი ნამდვილად გააჩნია.

**- და ბოლოს, ჩემპიონობისთვის ბრძოლაში „დინამოს“ გარდა კონკურენტებად ვინ მიგაჩნიათ?**

- უმთავრესად „ვიტ-ჯორჯია“ და „ამერი“. ასევე სერიოზულად ვუყურებთ მოქმედ ჩემპიონს რუსთავის „ოლიმპს“.

დავით კოხრეიძე



თემურ მახარაძე

საქართველოს სუპერთასი

# გორში ყველაფერი რიგზეა

როგორც იცით, 9 დეკემბერს გორში საქართველოს სუპერთასი გათამაშდება. "ფოლკსვაგენის" სუპერთასისთვის ერთმანეთს ქვეყნის ჩემპიონი რუსთავის "ოლიმპი" და თასის მფლობელი თბილისის "ამერი" შეეცილებიან.

გუშინ გორში პროფესიული ფეხბურთის ლიგის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ, რომლებიც ადგილობრივი გამგეობის ხელმძღვანელებს შეხვდნენ და "თენგის ბურჯანაძის" სტადიონი მოინახულეს. გუშინ გორში თოვდა, მაგრამ გაზონის მდგომარეობა მაინც დამაკმაყოფილებელი იყო. პფლ-ის მესვეურები იმედოვნებენ, რომ 9 დეკემბერს უკეთესი კლიმატური პირობები იქნება.

*"ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ მატჩის ორგანიზება უმაღლეს დონეზე მოხდეს. შიდა ქართლის ადმინისტრაცია ყველა საკითხში მხარში გვიდგას, დარწმუნებული ვარ, ერთობლივი ძალებით ყველაფერს ხარისხიანად გავაკეთებთ. იმედია, გორელი და არამარტო გორელი გულშემატკივრები სუპერთასის მატჩს მრავლად დაესწრებიან და ხარისხიან ფეხბურთს იხილავენ"*,- ამბობს პროფესიული ფეხბურთის ლიგის გენერალური მდივანი **პაატა ბურჭალიანი.**

შეგახსენებთ, რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ, საქართველოს სუპერთასი შარშან აღდგა პფლ-ისა და კომპანია "ფოლკსვაგენის" ერთობლივი ძალისხმევით. ჯილდოს "ამერი" დაეუფლა, რომელმაც ბოლნისის "სიონს" 1:0 სძლია.

აქვე გეტყვით, რომ პროფესიული ფეხბურთის ლიგა საქართველოს თასის მეოთხედფინალის წილისყრის თარიღს სავარაუდოდ, დღეს დაასახელებს.

ლევან ჯანეზაშვილი



შოთა არველაძე

# შოთას ერთი საათი

## 90 წუთი იანვარში იქნება

34 წლის შოთა არველაძის უქმობა გრძელდება, თუმცა ვალენსიის „ლევანტეში“ მისი დებიუტი ახლოვდება.

ჰოლანდიური „ალკმაარიდან“ „ლევანტეში“ თავისუფალ აგენტად გადასულმა არველაძემ მარჯვენა მუხლზე ორი ოპერაცია გაიკეთა და ამის გამო ვერ ეხმარება პრიმერადივიზიონის აუტსაიდერს. შოთას სავარაუდოდ ნოემბრიდან უნდა დაეწყო თამაში, მაგრამ მუხლი ბოლომდე ვერ მოიშუშა.

*- ახლა გაცილებით უკეთ ვარ. უკვე შემიძლია, ერთი საათით გავიდე მინდორზე და ბურთით ვივარჯიშო. ფაქტობრივად, ყველანაირი მოძრაობის გაკეთება შემიძლია, მაგრამ გუნდთან ერთად ჯერ ვერ ვვარჯიშობ. სხვა თუ არაფერი, ამის საშუალებას ფიზიკური მომზადება არ მაძლევს. სეზონისწინა შეკრება არ გამივლია და თითქმის სამი თვე გამიცდა. თუ ყველაფერი კარგად წავიდა, იანვრამდე სრული დატვირთვით ვარჯიშს შევუდგები* - გვითხრა არველაძემ.

დავით თავართქილაძე

## იაშვილმა ვარჯიში განაახლა

"კარლსრუეს" ქართველ ფორვარდს ბუნდესლიგის გასულ ტურში არ უთამაშია. "ჰერტასთან" მატჩში მონაწილეობა მას ვირუსული ინფექციის გამო არ მიუღია. კლუბის ოფიციალური ვებ-გვერდის ცნობით, **ალექსანდრე იაშვილი** თავს უკვე კარგად გრძნობს, ვარჯიში სრული დატვირთვით განაახლა და თუ სამწვრთნელო შტაბი საჭიროდ მიიჩნევს, მომდევნო ტურში მოედანზეც გავა. ცნობისათვის, 1 დეკემბერს "კარლსრუე" "კოტბუსს" სტუმრობს.

## პადერბორნმა სირაძე მოიკითხა

როგორც გახსოვთ, საქართველო-ლიტვის მატჩში **დავით სირაძემ** ტვინის შერყევა მიიღო. იგი დღეისათვის, თბილისშია და შინ წოლით რეჟიმს იცავს. "პადერბორნის" ხელმძღვანელობა ქართველ ექიმებს სრულ ნდობას უცხადებს და თანხმობას გამოთქვამს, რომ ქართველი თავდამსხმელი სრულ გამოჯანმრთელებამდე საქართველოში დარჩეს.

*"დავითის მდგომარეობით ყველანი შეწუხებულნი ვართ. საბედნიეროდ, შევიტყვეთ, რომ სირაძის გამოჯანმრთელების პროცესი კარგად მიმდინარეობს. იმედი გვაქვს, იგი მწყობრში მალე ჩადგება და ჩვენს გუნდს მალე დაეხმარება"*,- აცხადებს "პადერბორნის" სპორტული დირექტორი **მიხაელ ბორნი.**

## რევიშვილის კიდევ ერთი კონკურენტი

რამდენიმე დღის წინათ ყაზანის "რუბინთან" კონტრაქტი რუსეთის ეროვნული ნაკრების გოლკიპერმა **ვლადიმირ გაბულოვმა** გააფორმა, თითქოს ეს არ კმაროდა, **ნუკრი რევიშვილს** კიდევ ერთი კონკურენტი გამოუჩნდა – "რუბინმა" მოსკოვის "ლოკომოტივიდან" 27 წლის **სერგეი რიჟიკოვი** გადაიბირეს. ასე რომ, რევიშვილს ძირითადში მოსახვედრად ბრძოლა კიდევ უფრო გაუჭირდება. შეგახსენებთ, რომ დღესდღეობით, "რუბინის" ძირითადი მეკარე ლატვიელი **ალექსანდრ კოლინკოა.** არც ისაა გამორიცხული, რომ ნუკრიმ უახლოეს პერიოდში კლუბი შეიცვალოს.

ლევან ჯანეზაშვილი



ნუკრი რევიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ მიხეილ თაყაძესთან

# მესხეთს შევეჩვიე, დილა მომენატრა

ახალციხეში უმაღლეს ლიგაში თამაშზე ორიენტირებული გუნდის კეთება სამი წლის წინათ დაიწყეს დდა გასული სეზონში „მესხეთმა" სანუკვარ მიზანსაც მიაღწია. Gუნდი ისეთი გამოვიდა, რომ არც უმაღლეს ლიგაში ასპარეზობს ურიგოდ. ვინაიდან ამჟამად ახალციხეში უმაღლესი ლიგისათვის ადგილობრივი ფეხბურთელების სიმწირეა, გუნდის ღირსებას ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან მოწვეული ფეხბურთელები იცავენ. მათ შორისაა 28 წლის გორელი ნახევარმცველი მიხეილ თაყაძე. ის საფეხბურთო ოჯახიდანაა, მამა - ვანო თაყაძე მრავალი წლის განმავლობაში „დილის" კაპიტანი და შემდგომ მწვრთნელი იყო, მისი ერთი ძმა, რომან ახალკაცი აზერბაიჯანულ „ქარვანშია", მეორე, ივანე თაყაძე - „დილაში", თავად კი „მესხეთში" ერთ-ერთი წამყვან როლს თამაშობს.

— უმაღლესში გადმოსვლა შარშანაც შეიძლებოდა, მაგრამ მაშინ სასურველზე ერთი საფეხურით დაბლა დაასრულა გუნდმა ასპარეზობა. გასულ სეზონში ხელმძღვანელობამაც და ფეხბურთელებმაც მეტი მოვინდომეთ და მიზანს მივაღწიეთ. ძალიან გამოაცოცხლა ახალციხე უმაღლესმა ლიგამ. გულშემატკივარიც მრავლად დადის სტადიონზე და ქომაგობას მაშინაც არ დაგამადლიან, როცა აგებ, მაგრამ ხდავენ, რომ თავდაუზოგავად იბრძვი.

**— უმაღლეს ლიგაში მოთამაშე გუნდების დიდი ნაწილი არასათანადო წინასასეზონო მომზადებაზე საუბრობს. თქვენთან რა ხდებოდა ამ მხრივ?**

— ბუნებრივია უცხოური შეკრება და განსაკუთრებულ პირობებში მომზადება კარგია, მაგრამ ჩვენ შემთხვევაში ადგილზე ჩატარებული შეკრებაც და ამხანაგური მატჩებიც ნაყოფიერი გამოდგა. გვარიანად გადახალისდა გუნდის ძირითადი ბირთვი და მხოლოდ 4-5 მოთამაშე დავრჩით მათგან, ვინც პირველ ლიგაშიც „მესხეთში" ვთამაშობდით.

**— როგორ შეაფასებ საკუთარი გუნდის თამაშს მიმდინარე სეზონში?**

— ძირითადად უმაღლეს ლიგაში გამოცდილებამილებული ფეხბურთელები ვართ შეკრებილნი და გუნდისთვის სადებიუტო სეზონში ამიტომაც არ გაგვჭირვებია. მიზნად მიმდინარე ჩემპიონატში ღირსეული ასპარეზობა დავისახეთ, რასაც ვფიქრობთ ნორმალურად ვართმევთ თავს. ჩხადია, არც მაღალ ადგილებზე ვიტყვით უარს თუ შანსი გვექნა. განვლილ ტურებს თუ გადავხედავთ, სერიოზული ჩავარდნა ფაქტობრივად არ გვქონია.

**— თუმცა იყო პერიოდი როცა მესამე ადგილამდეც აალწიეთ, ამჯერად ცხრილის შუა ნაწილში ხართ დამკვიდრებულები.**

— მაშინ დასანანი მარცხი ვიწვნიეთ „ბორჯომთან". დიდი ძალები შევალიეთ, თუმცა მაინც დავმარცხდით „დინამოსთან". ამ მატჩის შემდეგ ძალების აღდგენა ველარ მოვასწარით „სპარტაკთან" თასის თასის თამაშისთვის და იმ წაგებამ ჯგუფში ჩაგვტოვა.

**— ორ ფრონტზე ბრძოლა გაუჭირდა „მესხეთს"...**

— შესაძლოა ასეც იყო... სხვათაშორის „სპარტაკთან" მატჩს ფსიქოლოგიური მომენტიც სდევდა თან. ცხინვალელები მანამდე როგორც თასზე, ისე ჩემპიონატშიც დავამარცხეთ, მესამე შეხვედრისთვის კი მოწინაალმდეგე ორმაგად მოტივირებული გამოვიდა მოედანზე.

**— „მესხეთის" ძირითადი შემადგენლობის არაერთი მოთამაშე გამოცდილია, მაგრამ ასაკიც სოლიდური აქვთ...**

— გაახალგაზრდავება ალბათ, არ გვაწყენდა, ოღონდ გასათვალისწინებელია, რომ ის გამოცდილი ფეხბურთელები მართლაც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ გუნდის წარმატებებში.

**— ადგილზე ბავშვთა ფეხბურთი თუ არის იმ დონეზე, რომ სამომავლოდ „მესხეთი" შემადგენლობითაც ახალციხისა იყოს?**

— როგორც ჩემთვისაა ცნობილი, ბავშვთა ფეხბურთს გვარიანი ყურადღება მიაქციეს.

**— ვინაიდან გორში „დილის" გაძლიერებას აპირებენ, შემოთავაზების შემთხვევაში ხომ არა ფიქრობ მშობლიურ ქალაქში დაბრუნებას?**

— დღევანდელ ჩემს გუნდს შევეჩვიე, აქ კარგად ვგრძნობ თავს, თუმცა ამავდროულად ძალიან მენატრება მშობლიურ გუნდში თამაში. თუ იქნება შემოთავაზება აუცილებლად ავწონდავწონი, მთავარია, რომ მართლაც ძლიერი „დილის" ჩამოყალიბებაზე მიდგეს საქმე.

**— გამოცდილი ხარ და რამდენიმე ქართულ გუნდში გითამაშია, ჩემპიონატის დონის წინსვლას თუ ხედავ?**

— ამა, თუ იმ სეზონის დასაწყისი ძალიან ოპტიმისტურად განმაწყობს და ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, თითქოს წინსვლა შეიმჩნევა, მაგრამ მერე გამოჩნდება ხოლმე, რომ არც მთლად ასე კარგადაა საქმე. ქვეყნის ჩემპიონატის დონე მაშინ აიწევს, როდესაც ფინანსურად წელგამართული გუნდების რაოდენობა გაიზრდება, როდესაც ძლიერი კლუბები დაუბრუნდებიან ტრადიციულ საფეხბურთო ქალაქებს ქუთაისს, ბათუმს, ფოთს...

**— როგორც „შერიფის" ყოფილმა წევრმა, ორიოდ სიტყვით იქნებ მოლდოვასა და საქართველოს ჩემპიონატები შეადარო.**

— მე ვფიქრობ მოლდოვის ჩემპიონატი ჩვენსას ჯობია, თუმცა განსხვავება არაა კატასტროფული, მაგრამ მაინც შესამჩნევია. სხვა თუ არაფერი, განსხვავებით ზოგიერთი ქართული გუნდებისგან მოლდავურ კლუბებს არა აქვთ ეკიპირების პრობლემა და სტუმრად მატჩის ჩასატარებლად ერთი დღით ადრე ჩასვლა საოცრებას არ წარმოადგენს.

ვასილ ბალახაძე



მიხეილ თაყაძე (მარცხნივ)



**საკმაოდ** სიმპათიური, მომავლის გუნდი შექმნა კობა ჟორჟიკაშვილმა ცხინვალის „სპარტაკის" სახით. საკლუბო და სანაკრებო დონეზე გამოცდილმა სპეციალისტმა ჩვენი ჩემპიონატის გულშემატკივართათვის ცნობილი გვარების ნაუცბათევ კრებულს კი არ მოუყარა თავი, ახალგაზრდა და პერსპექტიულ მოთამაშეებზე გააკეთა აქცენტი. მას ფაქტობრივად ცაიტნოტურ ვითარებაში მოუხდა ძირითადი შემადგენლობის ჩამოყალიბება, ფეხბურთელებს შეთამაშება ჩემპიონატის საწყის ტურებში უწევდათ და არცთუ სახარბიელო ასპარეზობაც ალბათ, ლოგიკური იყო. სამაგიეროდ ლოგიკურადვე დროთა განმავლობაში „სპარტაკის" მობურთალები შეთამაშდნენ და დასახული მიზანი - უმაღლეს ლიგაში დარჩენა - გადაუჭრელ პრობლემად წესით არ უნდა ექცეთ. ცხინვალელთა ხერხემალს ახალგაზრდებით დაკომპლექტებული ნახევარდაცვა წარმოადგენს, სადაც საქართველოს ასაკობრივი ნაკრების წევრები და კანდიდატები ირჯებიან. ერთ-ერთ მათგანი ირაკლი ჩირიკაშვილია.

ინტერვიუ
ირაკლი ჩირიკაშვილთან

# გასაზრდელად უცხოეთში მომიწევს წასვლა

**— „დინამოდან" ცხინვალის „სპარტაკში" გადმოსვლა რატომ გადაწყვიტე?**

— გადაწყვეტილების მიღებაში არცთუ მცირე როლი ითამაშა მწვრთნელის ფაქტორმა. კობა ჟორჟიკაშვილთან მანამდე ჭაბუკთა ნაკრებში მქონდა ნათამაშევი და შესაბამისად ვიცოდი ვისთან მივდიოდი. ამას გარდა გადაწყვეტილება თბილისის „დინამოში" სათამაშო პრაქტიკის ნაკლებობამაც მიმაღებინა. ამჟამად ამ მხრივ ყველაფერი რიგზეა.

**— გუნდ გვიან შეთამაშდა, მაგრამ შედეგის თვალსაზრისით ახლაც არაა სახარბიელო მდგომარეობა...**

— აშკარად ჩანს, რომ თამაშს უფრო და უფრო ვხვეწთ, ყოველ ტურში უკეთ ვახერხებთ ჩვენი პოტენციალის დემონსტრირებას. მართალია ეს ერთგვარი პროგრესი სატურნირო ცხრილში ჯერჯერობით სათანადოდ ვერ ავსახეთ, მაგრამ დარწმუნებული ვარ მეტის მიღწევა შეგვიძლია დასახულ მიზანს, უმაღლეს ლიგაში დარჩენას, აუცილებლად შევასრულებთ. თასის გათამაშების შემდეგ ეტაპზე ხომ ერთი ტურით ადრე გავედით, ესეც კარგი საქმეა...

**— ანუ, ჯერ მხლოდ იქ მოახერხეთ შესაძლებლობათა დემონსტრირება?**

— ასე გამოვიდა. ჩემპიონატის ერთ მონაკვეთში ზედიზედ მოგვეცარა ხელი. „ამერთან" და „მესხეთთან" ჩემპიონატში საშინაო შეხვედრები წავაგეთ, თასზე კი იმავე მეტოქეებთან მატჩების მოგებამ გაგვიხსნა გზა მეოთხედფინალისაკენ. [illegible] ერთოდ, უგულისყუროდ არც უმაღლეს ლიგის შეხვედრებს მოვკიდებივართ, მაგრამ... შესაძლოა თასზე გარკვეულწილად გაგვიმართლა კიდეც.

**— „სპარტაკში" თუ აპირებ დარჩენას საიჯარო ვადის გასვლის შემდგომ?**

— გუნდის წევრი პირველი წრის ბოლომდე ვარ. ბუნებრივია „დინამოში" თამაში სასურველია, მაგრამ სათამაშო პრაქტიკა სადაც მექნება, მეორე წრეშიც იქ ვიქნები.

**— ახალგაზრდული ნაკრების ხელმოცარვაზე რას გვეტყვი?**

— საწყენია, რომ შესარჩევს გამოვეთიშეთ, თანაც ნაადრევად. ვფიქრობ უკეთესი შედეგის მიღწევა შეგვეძლო. რაღაც გვაკლდა მიზნის ხორცშესასხმელად.

**— ტოპმიოლერი ნაკრების გაახალგაზრდავების პოლიტიკას მიმართავს, რაც თქვენთვის, ასაკობრივი ნაკრების წევრთათვის სერიოზული სტიმული უნდა იყოს.**

— რასაკვირველია დიდი სტიმულია და ამაზე ჩვენი ნაკრების ხელმძღვანელობაც ხშირად გვესაუბრება. ეროვნულ გუნდში ასპარეზობა ნებისმიერი ფეხბურთელისთვის და მათ შორის ჩემთვის, სანატრელია.

**— ლამის ყველა ახალგაზრდა ქართველ ფეხბურთელს უცხოეთისკენ უჭირავს თვალი და არც დაბალი საფეხბურთო დონის ქვეყნებში წასვლაზე ამბობენ უარს. შენ რას ფიქრობ ამაზე?**

— უცხოეთში წასვლაზე უარს არც მე ვიტყოდი. სამწუხაროდ ძალიან ბევრგანაა ჩვენზე უკეთესი ჩემპიონატი. ჩვენთან დონე ერთთავად დაბლა იწევს და თუ მინდა გავიზარდო როგორც ფეხბურთელი, იძულებული ვარ უცხოეთში წავიდე.

ვასილ ბალახაძე

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge
24 საათის განმავლობაში
უწყვეტი მომსახურება
ტექნიკური მხარდაჭერა
გარანტირებული ხარისხი
გადახდა ხაზილიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

ფუტზალი. ამხანაგური მატჩი

# ინგლისის ნაკრებს მეორედაც მოვუგეთ

**საქართველო-ინგლისი 7:3**

28 ნოემბერი. თბილისი. ქარიშხალა. 700 მაყურებელი

0:1 ბელინგესი (5), 1:1 ჰარისონი (8. საკ. კარში), 1:2 ბელინგესი (17), 2:2 კაკაშვილი (28), 3:2 ნეფარიძე (31), 4:2 ზუმბაძე (36), 5:2 კაკაშვილი (37), 6:2 ასათიანი (40. პენ.), 7:2 (გაბუჩია), 7:3 ბელინგესი (40. პენ.)

საქართველო: ზაქაიძე, კუბლაშვილი, იოსებიძე, ჩალაძე, ცნობილაძე, დარჩია, ოსეფაშვილი, კაკაშვილი, ბოკერია, ასათიანი, ნეფარიძე, მშვიდობაძე, ზუმბაძე, გაბუჩია.

ინგლისი: ტორნმტონი, უოტსონი, ალანსონი, ბელინქემი, მედისონი, კოლი, ტორიესი, ჰარისონი, დელეინი, ტიკნოტი, მოდი (კაპ.), ბელინგესი, პუდლოფი.

ფუტზალში საქართველოსა და ინგლისის ეროვნულმა ნაკრებებმა გუშინ მეორე ამხანაგური მატჩი გამართეს სპორტკომპლექს "ქარიშხალაში". მართალია ქართველებთან პირველ შეხვედრაში ნაგების შემდეგ ინგლისელთა გუნდის თავკაცი ქართულ მასმედიასთან საუბარში დაიმუქრა, მეორე თამაშს, მოვიგებთო, მაგრამ **გრემ დელიმ** სიტყვა ვერ შეასრულა. გუშინდელი მატჩი, პირველზე უხვგოლიანი აღმოჩნდა. პირველი ტაიმი ინგლისელთა უპირატესობით წარიმართა. სტუმრებს აშკარად ეტყობოდათ, რომ პირველი ნაგების შემდეგ მწვრთნელმა გვარიანად შეაფუცხუნა.

შესვენების შემდეგ მოედანზე ვითარება კარდინალურად შეიცვალა. თუ ქართველებმა პირველი ტაიმი 1:2 წააგეს, მეორე - 6:1 მოიგეს. სტუმართაგანAკვლავ **ბელინგესი** გამოირჩეოდა. მასპინძელთა შორის კი მეკარე ზაქაიძე, ნეფარიძე, ასათიანი და ბოკერია არიან გამოსარჩევი. აღსანიშნავია ისიც, რომ მეშვიდე ბურთი ზაქაიძის შემცვლელმა გაბუჩიამ გაიტანა.

პეტრე თაბუკაშვილი, საქართველოს ნაკრების მწვრთნელი: „მეორე ტაიმში უფრო შემტევი ტაქტიკა ავირჩიეთ. ბიჭებმა ჩემი ყველა დავალება პირნათლად შეასრულეს და მოვიგეთ კიდეც. აქამდე მსოფლიო რეიტინგში მე-40 ადგილზე ვიყავით. ამ ორი მოგებით კი 36-ეზე ავინაცვლებთ".

გრემ დელი, ინგლისის ნაკრების მწვრთნელი: „საქართველოს ნაკრებთან ჩატარებული მატჩები უდავოდ ნაგვადგება შესარჩევი ციკლისთვის მოსამზადებლად. ძალიან გვინდოდა მოგვეგო, მაგრამ პირველისგან განსხვავებით მეორე ტაიმი ცუდად ვითამაშეთ.. ქართველებმა ფიზიკურად დაგვჯაბნეს და ეს მატჩის საბოლოო შედეგშიც აისახა".

**დავით ცაბაძე**


ლადო ბურდული

ლეგიონერები

# ბურდული დაშავდა

**ლადო ბურდულისთვის** 2007 წელი დიდად იოლბლიანი არ აღმოჩნდა. ჯერ იყო **კლაუს ტოპმიოლერმა** საქართველოს ნაკრების წარუმატებლობის ერთ-ერთ მიზეზად გამოაცხადა და ნაკრებში აღარ იწვევს გზა გადაუკეტა. ახლა კი შევიტყვეთ, რომ ლადო დაშავდა.

უკრაინის ჩემპიონატის პირველი წრის ბოლო ტურში ბურდული ლუგანსკის "ზარიას" არც ძირითადში და არც განაცხადში არ ყოფილა. უკრაინული "სპორტ-ექსპრესი" იუწყება, რომ **ალექსანდრ კოსევიჩის** გუნდის რამდენიმე ტრავმირებული ფეხბურთელი მომჯობინდა, სამაგიეროდ ლაზარეთში ლადო ბურდულმა გადაინაცვლა და "ზარიას" პრობლემები არ აკლდებაო.

**მერაბ მამულაშვილი**

# გოგუას კონტრაქტი დაუმთავრდა?!

რამენსკოეს "სარტურნის" ხელმძღვანელობა წინ იხედება და იმ ფეხბურთელებთან, რომელთა ხელშეკრულებებიც 2008 წლის ბოლოს მთავრდება, კონტრაქტის გახანგრძლივებას ცდილობს.

ამასთანავე, "სატურნში" უნდა გადაწყვიტონ იმ ფეხბურთელთა საკითხიც, რომლებსაც კონტრაქტი უკვე წლეულს დეკემბერში უმთავრდებათ. ასეთებად გაზეთი "ტვოი დენ" სხვებთან ერთად ჩვენდა გასაოცრად ქართველ ლეგიონერ **გოგიტა გოგუასაც** ასახელებს.

ეს ჩვენთვის მოლოდნელი ინფორმაცია გახლდათ. გოგიტა "სატურნმა" თებერვალში "ხიმკის" ყოფილი ვიცე-პრეზიდენტისგან, **ანდრეი ჩერვიჩენკოსგან** გამოისყიდა. თავადაც განაცხადა, სამწლიანი კონტრაქტი გავაფორმეო. რამენსკოელებს გოგიტას დატოვება სურთ, მაგრამ გაუგებარია მისი კონტრაქტი ჩერვიჩენკომ ასე როგორ ჩახლართა. ახლახანს გოგიტას თაობაზე პრეტენზია "ხიმკიმ" სწორედ ჩერვიჩენკოს მიერ "სატურნთან" ჩახლართულად გაფორმებული კონტრაქტის გამო გამოთქვა. როგორც ცნობილია, რუსეთის საფეხბურთო კავშირის დავების კოლეგიამ რამენსკოელებს გოგუას საფასურად "ხიმკისთვის" დამატრებით ნახევარი მილიონი დოლარის გადახდა დაავალდებულა.

**მერაბ მამულაშვილი**


გოგიტა გოგუა

# აბრამიძემ აზერბაიჯანში თამაში გამორიცხა

ორი დღის წინათ გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს **ვალერი აბრამიძე** ბაქოს "ნეფთჩიში" დაბრუნებას გეგმავს, აზერბაიჯანული მხარე გამოეხმაურა.

"ნეფთჩის" ვიცე-პრეზიდენტი რამინ მუსაევი ასეთ შესაძლებლობას გამორიცხავს და სააგენტო აპა-სპორტთან ინტერვიუში დეტალებს აზუსტებს: *"აბრამიძე ბაქოში ჩამოვიდა. ჩვენ მას შევხვდით და კლუბში დაბრუნების შესაძლებლობაზე ვესაუბრეთ. ვალერისთან დღემდე მეგობრული ურთიერთობები გვაკავშირებს. მას კარგად იცნობს ჩვენი მთავარი მწვრთელი ვლასტიმილ პეტრჟელაც. მას სურდა აბრამიძე "ნეფთჩიში" დაებრუნებინა, თუმცა ეს შეუძლებელია. ვალერიმ მახაჩყალის "ანჟისთან" კონტრაქტი გააფორმა. საქმე მის სატრანსფერო ფასში არაა. თავად ვალერიმ "ანჟის" მწრთნელს, ომარ თეთრაძეს კაცური სიტყვა მისცა და აზერბაიჯანში დაბრუნება არ შეუძლია."*

**მერაბ მამულაშვილი**

# პირველი ლიგა

**აღმოსავლეთი ზონა**

XIV ტური

| | |
|---|---|
| ნ. დინამო/მერანი 2-ამერი 2 | 1:5 |
| გაგრა-ოლიმპი 2 | 4:3 |
| მეშაქრე-ოლიმპიკი | 1:0 |
| ვიტ ჯორჯია 2-დინამო 2 | 2:1 |
| კახეთი-ჩიხურა | 2:4 |

XV ტური

| | |
|---|---|
| კახეთი-ნ. დინამო/მერანი 2 | 5:3 |
| ოლიმპიკი-გაგრა | 2:3 |
| ჩიხურა-ვიტ ჯორჯია 2 | 3:2 |
| დინამო 2-მეშაქრე | 1:0 |
| ოლიმპი 2-ამერი 2 | 2:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გაგრა | 14 | 9 | 4 | 1 | 31-22 | 31 |
| 2. მეშაქრე | 14 | 8 | 2 | 4 | 24-16 | 26 |
| 3. ვიტ ჯორ. 2 | 14 | 7 | 4 | 3 | 23-12 | 25 |
| 4. დინამო 2 | 14 | 7 | 4 | 3 | 22-13 | 25 |
| 5. ჩიხურა | 14 | 7 | 3 | 4 | 25-21 | 24 |
| 6. ოლიმპი 2 | 14 | 5 | 3 | 6 | 17-16 | 18 |
| 7. ამერი 2 | 14 | 5 | 2 | 7 | 24-26 | 17 |
| 8. კახეთი | 14 | 4 | 3 | 7 | 20-24 | 15 |
| 9. ოლიმპიკი | 14 | 3 | 3 | 8 | 18-25 | 12 |
| 10. ნ/დინ.-მერ. 2 | 14 | 0 | 2 | 12 | 13-42 | 2 |

**დღეს**

ჩიხურა-დინამო 2

მეშაქრე-ამერი 2

**ხვალ**

ვიტ ჯორჯია 2-ოლიმპი 2

ნ. დინამო/მერანი 2-გაგრა

კახეთი-ოლიმპიკი

**დასავლეთი ზონა**

XIV ტური

| | |
|---|---|
| კოლხეთი ხ.-ფაზისი რაჭა | 3:0 |
| ტორპედო-მერანი მარტვილი | 3:1 |
| მეშახტე-სამტრედია | 5:0 |
| მაღაროელი-კოლხეთი ფ. | 2:0 |
| ზესტაფონი 2-უნივერსიტეტი ქუთ. | 2:1 |

XV ტური

| | |
|---|---|
| უნივერსიტეტი ქუთ.-მაღაროელი | 1:3 |
| კოლხეთი ფ.-მეშახტე | 1:0 |
| სამტრედია-ტორპედო | 1:2 |
| ზესტაფონი 2-კოლხეთი ხ. | 1:0 |
| მერანი მარტვ.-ფაზისი რაჭა | 4:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მაღაროელი | 14 | 12 | 2 | 0 | 33-9 | 38 |
| 2. მერანი მარტ. | 14 | 8 | 3 | 3 | 20-10 | 27 |
| 3. მეშახტე | 14 | 8 | 0 | 6 | 25-24 | 24 |
| 4. ტორპედო | 13 | 7 | 3 | 3 | 24-15 | 24 |
| 5. ზესტაფონი 2 | 12 | 6 | 2 | 4 | 19-10 | 20 |
| 6. კოლხ. ფ. | 13 | 4 | 4 | 5 | 15-17 | 16 |
| 7. კოლხეთი ხ. | 14 | 4 | 4 | 6 | 17-20 | 16 |
| 8. უნივერ/ქუთ. | 14 | 4 | 2 | 8 | 11-16 | 14 |
| 9. ფაზისი რაჭა | 14 | 2 | 2 | 10 | 16-35 | 8 |
| 10. სამტრედია | 14 | 1 | 2 | 11 | 11-35 | 5 |

**დღეს**

მეშახტე-ფაზისი რაჭა

ზესტაფონი 2-სამტრედია

უნივერსიტეტი ქ.-კოლხეთი ფ.

**ხვალ**

კოლხეთი ხ.-ტორპედო

მაღაროელი-მერანი მ.

# ასათიანი ძირითადშია

*"გულშემატკივრების წინაშე ვალში ვართ, ამ სეზონში ძალიან ცუდი შედეგები ვაჩვენეთ. ხალხი ჩვენგან რუსეთის ჩემპიონობას ელოდა და სამწუხაროდ, პრემიერლიგაში მხოლოდ მეშვიდე ადგილზე გავედით. ამ წარუმატებლობაში ბრალი აბსოლუტურად ყველას მიგვიძღვის, ქომაგებს პატიებას ვთხოვ და ვპირდები, რომ უეფას თასზე მაქსიმალური წარმატებისთვის ვიბრძოლებთ"*, - განაცხადა რუსულ პრესასთან საუბარში **მალხაზ ასათიანმა.**

დღეს მოსკოვის "ლოკომოტივი" უეფას თასის ჯგუფური ეტაპის მესამე ტურის მატჩში დანიურ "კოპენჰაგენს" მასპინძლობს. გუშინ კი რკინიგზელთა დროებითმა მთავარმა მწვრთნელმა **რინატ ბილიალეტდინოვმა** ვარჯიში ჩაატარა და გუნდის ორმხრივ თამაშში ერთმანეთს ძირითადი და სათადარიგო შემადგენლობა დაუპირისპირა. ქართველი მცველი ჯანზეა და ბუნებრივია, დანიელებთან ძირითადში ითამაშებს.

აქვე გეტყვით, რომ მომავალი სეზონისათვის მოსამზადებელ ეტაპს "ლოკომოტივი" ესპანეთში დაიწყებს, სადაც მომავალი წლის 28-31 იანვარს პატარა საკურორტო ქალაქ პეგოში საერთაშორისო ტურნირში მიიღებს მონაწილეობას. მოსკოველთა გარდა, უეფას ეგიდით ჩატარებულ გათამაშებაში ბულგარული ცსკა, რუმინული "უნირია" და ავსტრიული "კარნტენი" იასპარეზებს. მატჩების პირდაპირ ტრანსლაციას "ევროსპორტი" აწარმოებს. სავარაუდოდ, "ლოკომოტივის" ხელმძღვანელობა გუნდის ახალი მთავარი მწვრთნელის ვინაობასაც დაასახელებს, თუმცა არც ისაა გამორიცხული ბილიალეტდინოვს ნდობა ბოლომდე გამოუცხადონ.

ძნელი სათქმელია, წავა თუ არა მანამდე ასათიანი "ლოკომოტივიდან", ფაქტი ისაა, რომ საკმაო მითქმა-მოთქმის მიუხედავად, ჯერჯერობით, მის მიმართ რეალური ინტერესი ძლიერ ევროპულ კლუბებს არ გამოუთქვამთ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# კანკავას ჯგუფიდან გასვლის სჯერა


ჯაბა კანკავა

**ჯაბა კანკავას** უკრაინის ჩემპიონატის ბოლო ტურში გარჯა და ბოლო წუთზე "ხარკოვის" კარში გატანილი ერთადერთი ბურთი დაუფასეს. უკრაინულმა "სპორტ-ექსპრესმა" ის ტურის გმირებში მეორე ადგილზე დაასახელა. მას მცირედით მხოლოდ ხარკოვის "მეტალისტის" თავდამსხმელმა **ზეზემ** გადაუსწრო.

დნეპროპეტროვსკის "დნეპრის" ქართველ ლეგიონერს გაზეთმა ინტერვიუ ჩამოართვა, სადაც ჩვენთვის საინტერესო მხოლოდ რამდენიმე კითხვა აღმოჩნდა.

*"მშვენიერი განწყობა მაქვს. გადამწყვეტი ბურთი გავიტანე და გუნდს მოვაგებინე. ჩვენ მეორე ადგილი შევინარჩუნეთ და კიევის "დინამოს" და "მეტალისტს" 4 ქულით ვუსწრებთ, რაც ძალიან მახარებს. მინდიოდა რაღაც არაჩვეულებრივი გამეკეთებინა და გოლის შემდეგ ტრიბუნებს იმიტომაც მივუახლოვდი, გულშემატკივრებისთვის მადლობა გადამეხადა მხარდაჭერისთვის."*

ჯაბას კითხვა მსოფლიო ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპის წილისყრის შესახებაც დაუსვეს: *"ჯგუფში გამოკვეთილი ფავორიტი მხოლოდ იტალიაა. ჩვენ, ბულგარეთსა და ირლანდიას მეორე ადგილისთვის ბრძოლა შეგვიძლია. ვფიქრობ, საქართველოს ნაკრებს გასვლის შანსი გააჩნია."*

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკანდალი

# რედნაპი პოლიციაში მიაბრძანეს

## გამოძიება ხუთ საფეხბურთო მოღვაწეს ფინანსური მაქინაციების გამო ედავება



პორტსმუთის მტკიცებით, ჰარი რედნაპი მოწმის სტატუსით დაკითხეს

ინგლისში მორიგი სკანდალი მწიფდება. ბოლო ორი დღის განმავლობაში პოლიციამ ხუთი საფეხბურთო მოღვაწე დააკავა. „სანის“ ცნობით, დაკავებულთა შორისაა „პორტსმუთის“ მთავარი მწვრთნელი **ჰარი რედნაპი** და აღმასრულებელი დირექტორი **პიტერ სტორი**. საქმე აღძრულია ფინანსური მაქინაციების ბრალდებით. გამოძიება დაინტერესებულია 2003 წელს განხორციელებული რამდენიმე ტრანსფერით. იმ დროს „პორტსმუთის“ თავმჯდომარე **მილან მანდარიჩი** იყო. ამჟამად მანდარიჩი „ლესტერის“ მფლობელია. ხუთ დაკავებულს შორის ისიც ფიგურირებს.

„პორტსმუთმა“ დაადასტურა ბრიტანულ გაზეთებში გავრცელებული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ გამოძიება მათი დამრიგებლით დაინტერესდა. კლუბის ოფიციალურ განცხადებაში ვკითხულობთ, რომ რედნაპი პოლიციაში მიაბრძანეს არა როგორც ეჭვმიტანილი, არამედ როგორც მოწმე. სამართალდამცველებმა მწვრთნელს საეჭვო ტრანსფერების გამოძიებაში დახმარება სთხოვეს. პოლიცია **ამდი ფაიეს** ტრანსფერით დაინტერესდა. დააკავეს ფაიე და მისი აგენტი **ვილი მაკეიც**.

ივლისში სამართალდამცველებმა „ნიუკასლის“, „პორტსმუთისა“ და „რეინჯერსის“ ოფისები გაჩხრიკეს და ფინანსური დოკუმენტაცია გაიტანეს. ერთი თვის წინ ფინანსურ მაქინაციებში მონაწილეობის ბრალდებით „ტოტენჰემის“ ფრანგი მცველი **პასკალ შიმბონდაც** დაკითხვაზე ჰყავდათ მიწვეული.



ჟოზე მოურინიო

ინგლისის ნაკრები

# ვან გაალმა უარი თქვა, ჟოზე მზადაა

ინგლისში ყოველდღიურად უამრავი ჭორი ვრცელდება იმის შესახებ, თუ ვინ დაინიშნება მათი ქვეყნის საფეხბურთო ნაკრების მთავარ მწვრთნელად. სავარაუდო კანდიდატებს შორის სულ ცოტა ხნის წინათ დაასახელეს „ალკმაარის“ მოქმედი მთავარი მწვრთნელი **ლუი ვან გაალიც**. თუმცა ჰოლანდიელის განცხადებით ის არაა მზად, რომ ბრიტანელების წინადადება მიიღოს: *„ეს შესანიშნავი სამუშაოა, მაგრამ იძულებული ვარ, ასეთ პატივზე უარი ვთქვა. მე ჩემს კლუბთან კონტრაქტი 2009 წლამდე მაქვს გაფორმებული.“*

ამ დროს „ჩელსის“ ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა **ჟოზე მოურინიომ** მოუწოდა საფეხბურთო ასოციაციის შეფებს, რომ მასთან კონკრეტული მოლაპარაკებები დაიწყონ, თუკი ისინი პორტუგალიელზე სერიოზულად ფიქრობენ: „იმისთვის, რომ დავადგინო, მართლა სურთ თუ არა საფეხბურთო ასოციაციაში ჩემი ხილვა ნაკრების დამრიგებლად, მათ წარმომადგენლებთან საუბარი მომიწევს. აქამდე ისინი არ დამკავშირებიან. ამიტომ, მიზანშეუწონლად ვთვლი, სხვა კომენტარი გავაკეთო. დაე იცოდნენ, რომ მე მზად ვარ,“ - მოჰყავს მოურინიოს სიტყვები „დეილი ტელეგრაფს“.

ლივერპული

# ბენიტესს კალაძეზე ფიქრი აუკრძალეს



რაფა ბენიტესი

როგორც „ინდეპენდენტი“ წერს, „ლივერპულის“ მფლობელებმა **ტომ ჰიკსმა** და **ჯორჯ ჯილეტმა** უარი უთხრეს **რაფაელ ბენიტესს** გამოეყოთ თანხა „მილანისა“ და საქართველოს ნაკრების მცველის **კახა კალაძის** შესაძენად. არადა, მისი სატრანსფერო ღირებულება 4 მილიონ გირვანქას არ აღემატება. ამას გარდა რაფას სურს ესპანური „რასინგის“ მცველის **გარაია ესეკილის** შეძენაც. ამ ბოლო დროს ბევრი იწერება ხსენებული ბიზნესმენებისა და გუნდის მთავარი მწვრთნელის კონფლიქტის შესახებ. ვარაუდობენ, რომ ამ უკანასკნელის პოზიციები შეიძლება საგრძნობლად შეირყეს. დასაშვებია, რომ ეს ყველაფერი მისი გათავისუფლებითაც დასრულდეს. ამ ინფორმაციის შეტყობისთანავე მერსისაიდელების თავგადაკლულმა შულშემატკივრებმა გადაწყვიტეს, რომ უახლოეს თამაშებში, ტრიბუნებზე მთავარი მწვრთნელის მხარდამჭერი აქციები მოაწყონ. *„საფეხბურთო კლუბი „ლივერპული“ არსებობს არა იმისთვის, რომ აქ ვიღაცამ მხოლოდ ფული აკეთოს, ის იმისთვისაა შექმნილი, რომ მისი გულშემატკივრებისთვის დაუშრეტელი სიამაყის საფუძველს წარმოადგენდეს. რაფა ბენიტესი გუნდის უმთავრესი მამოძრავებელი ძალაა და ამაში ორი აზრი არ უნდა არსებობდეს,“* - აცხადებს გულშემატკივართა არმიის სახელით ფანკლუბის ერთ-ერთი ლიდერი **ჯონ მაკკინი**.

## ფაბრეგასის ამბავი მალე გაირკვევა

გუშინწინ, ჩემპიონთა ლიგის მეხუთე ტურის მატჩში, ესპანური „სევილიის“ წინააღმდეგ მატჩში **სესკ ფაბრეგასმა** ტრავმა მიიღო. სამედიცინო შემოწმება მან გუშინვე გაიარა. ამ დღეებში საბოლოო პასუხი გამოქვეყნდება. წინასწარი მონაცემებით მას არცთუ მძიმე ტრავმა აწუხებს. საუკეთესო შემთხვევაში ის მინდორს ერთ კვირაში დაუბრუნდება, ხოლო ყველაზე ცუდი ვარიანტი თუ მოხდა, მაშინ საშობაო არდადეგებამდე მოუწევს დასვენება. *„იმედი მაქვს, რომ მას უმოკლეს დროში ვიხილავთ მწყობრში,“* - ესლა თქვა იმედგაცრუებულმა **არსენ ვენგერმა**. იქამდე, ვიდრე ახალგაზრდა ესპანელი ტრვმას მიიღებდა, მან ბრიტანულ პრესასთან „არსენალის“ საკუთარ გეგმებთან დაკავშირებით ძალიან ოპტიმისტური განცხადება გააკეთა: *„მინდა, რომ „არსენალში“ საუკეთესო სეზონი ჩავატარო და ამით გუნდს ჩემპიონთა ლიგის მოგებაში დავეხმარო. წლეულს ჩვენ ნამდვილად შეგვიძლია ევროპულ გრანდებს კონკურენცია გავუწიოთ და მათთან გადამწყვეტი მატჩებიც მოვიგოთ“.*

## პოლ ჯუელი დერბიში

პრემიერლიგის ულაპარაკო აუტსაიდერმა „დერბი ქაუნთიმ“ როგორც იქნა მიაგნო კვალიფიციურ მთავარ მწვრთნელს. კლუბის ხელმძღვანელობამ დაადასტურა, რომ **პოლ ჯუელთან** 4,5 წლიანი კონტრაქტი გაფორმდა. ვნახოთ, უშველის თუ არა მისი მონდომება თითქმის უიმედო საქმეს. ამჟამად „დერბი“ 14 ტურში მოპოვებული სულ რაღაც 5 ქულითა და მინუს 28 ბურთების სხვაობით, უკანასკნელ ადგილზე იმყოფება. რაც შეეხება მწვრთნელს, შეგახსენებთ, რომ მას აქამდე „ბრედფორდ სიტის“, „შეფილდ უენსდისა“ და „ვიგან ატლეტიკისთვის“ უხელმძღვანელია.

## ესიენი: მსურს, კარიერა ლონდონში დავასრულო

„ჩელსის“ წამყვანმა ნახევარმცველმა **მიკაელ ესიენმა** გამოთქვა იმედი, რომ მოახერხებს და კარიერას ლონდონშივე დაასრულებს. *„შესანიშნავი იქნება, თუკი კარიერის დასრულებამდე „ჩელსიში“ დავრჩები. ეს დიდი კლუბია და თავს ისე ვგრძნობ როგორც საკუთარ სახლში. ბავშვობაში ინგლისში თამაშზე ვოცნებობდი და სწორედ ამ კლუბმა მომცა საშუალება, რომ ბავშვობის ოცნება ამესრულებინა. ახლა მსურს, კლუბის ხელმძღვანელობას ნდობისთვის მადლობა გადავუხადო,“* - მოჰყავს ესიენის სიტყვები „სქაი სპორტსს“.

## პლატინის შენიშვნა მისცეს

ბოლო დროს ხშირად გაიგონებთ, რომ ინგლისის პრემიერლიგაში ადგილობრივი ფეხბურთელების რიცხვი თანდათან მცირდება და თუ ასე გაგრძელდა, მალე წამყვან კლუბებში შეიძლება მხოლოდ ლეგიონერები დარჩნენ. ამ მოსაზრებას უეფას პრეზიდენტმა **მიშელ პლატინიმაც** დაუჭირა მხარი. მან ინგლისელებს მოუწოდა, უფრო მეტი ყურადღება დაუთმონ საკუთარი ვარსკვლავების აღზრდას. ქვეყნის საფეხბურთო ასოციაცია ფრანგი ჩინოვნიკის განცხადებას მაშინვე გამოეხმაურა: *„უმჯობესი იქნება, თუკი პლატინი საკუთარ საქმეს მიხედავს. უეფას მოვალეობაა ჩემპიონთა ლიგის, უეფას თასისა და ევროპის ჩემპიონატის ჩატარება. პრემიერლიგას ინგლისის საფეხბურთო ასოციაცია მიხედავს და მას ისევე ეფექტურად ჩაატარებს, როგორც აქამდე.“*

## შესაძლო ტურინული ტრანსფერი

„იუვენტუსი“ „ნაპოლის“ ნახევარმცველ **მარეკ ჰამშიკით** დაინტერესდა. „ბებერი ქალბატონი“ მზადაა, სოლიდური თანხა გადაიხადოს. ამას გარდა, ნეაპოლელებს დაუთმოს ურუგვაელი თავდამსხმელი **მარსელო სალაიეტა**. სალაიეტა ამ სეზონს „ნაპოლიში“ ატარებს. მას ამ კლუბთან ერთწლიანი იჯარა აკავშირებს. ჰამშიკმა სხვა გრანდების ყურადღებაც მიიპყრო. მისი შეძენა „მანჩესტერ იუნაიტედსა“ და „მილანს“ სურთ. მიმდინარე სეზონში 20 წლის ნახევარმცველმა 13 მატჩში 2 გოლი შეაგდო. „ნაპოლის“ ხელმძღვანელობა ამბობს, რომ ჰამშიკი არ იყიდება. იანვრის ტრანსფერებისას კლუბს მხოლოდ ორი ფეხბურთელი დატოვებს. მათგან ერთი **სამუელე დალა ბონაა**. ის „ბირმინგემში“ აპირებს გადაბარგებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექსპერტის მოსაზრება

# გათავისუფლების დიდი ოპერაცია

## მიატოვიჩმა გაგვლანძღა, მაგრამ ვერ უარყო, რომ იანვარში რეალში წმენდა იგეგმება



მაჰამადუ დიარა ერთ-ერთი ის ფეხბურთელია, რომელსაც მადრიდიდან აზარგებას უწინასწარმეტყველებენ

**მადრიდის „რეალი“ „გათავისუფლების“ დიდ ოპერაციას ამზადებს. „დიარიო მარკა“ საკუთარ სანდო წყაროებზე დაყრდნობით მოგახსენებთ, რომ იანვრის სატრანსფერო ბაზრის გახსნისთანავე კლუბის ხელმძღვანელობა ერთბაშად ექვს ფეხბურთელს გაყიდის. ჩვენთვის ცნობილია, რომ პრედრაგ მიატოვიჩი რამონ კალდერონსა და ბერნდ შუსტერთან შეთანხმების საფუძველზე მაჰამადუ დიარას, ირჟი დუდეკს, ჟულიო ბაპტიშტას, ხავიერ სავიოლას, რობერტო სოლდადოსა და როისტონ დრენტეს სხვა გუნდებში წასასვლელად კარს ფართოდ გაუღებს, თუმცა პრობლემა ის არის, რომ „რეალის“ დატოვება არც ერთ მათგანს სურს. მიატოვიჩს ყველაზე მეტად სოლდადოსა და დრენტეს გასხვისება ეჩქარება.**

ჩამოთვლილ ექვსივე ფეხბურთელს სამეფო კლუბთან საკმაოდ ხანგრძლივი კონტრაქტი აქვს გაფორმებული. ეს გარემოება, მათ გაშვებას ძალიან ართულებს. არადა, **შუსტერმა** ხელმძღვანელობას მკაფიო შეტყობინება გაუგზავნა - მას ეს ხალხი არ სჭირდება. ბოლოდროინდელი გამოცდილებაც ამაზე მეტყველებს, ათვალწუნებული ექვსეულის ბიჭები მოედანზე სულ უფრო და უფრო ცოტა დროს ატარებენ. რა თქმა უნდა, ეს ფაქტი მათ ხელფასზე არ აისახება. ასეთია შრომითი ხელშეკრულება, წლის განმავლობაში ერთი მატჩიც რომ არ ჩაატარონ, გასამრჯელო ბოლო ცენტამდე უნდა მიიღონ. ეს კი ჯამში 10 მილიონ ევროზე მეტს შეადგენს. ბუნებრივია, დირექტორატს ამხელა უაზრო ხარჯის გაწევა არ სურს. მართლაც, დიდი უაზრობაა გამოუსადეგარი ფეხბურთელებისთვის ისეთი ხელფასის გადახდა, როგორიც ბევრს არც კი დაესიზმრება.

სურვილი რაც არ უნდა დიდი იყოს, **მიატოვიჩი** გუნდიდან ძალით ვერავის გაუშვებს. თუ ფეხბურთელები განაცხადებენ, არა ბატონებო, ჩვენთვის „რეალი“ პრესტიჟთან არის დაკავშირებული და აზარგება არ გვსურსო, სენიორ პრედრაგი აბსოლუტურად ვერაფერს გააწყობს. ეს მას შესანიშნავად ესმის, ამიტომ მკაცრად საუბარს ალბათ ტკბილი ენით ლაპარაკს ამჯობინებს. სავარაუდოა, რომ მიატოვიჩი ხსენებულ ფეხბურთელებს აუხსნის, აქ პერსპექტივა არ გაგაჩნიათ და თქვენთვისვე სჯობს, სხვაგან ნახვიდეთო. რომ დავფიქრდეთ, მართლაც ასეა, ახალგაზრდა ბიჭებისთვის უთამაშებლობა ძალიან დიდ საფრთხესთანაა დაკავშირებული. მიგვაჩნია, რომ „რეალის“ დირექტორატი მათთან საქმიანი ურთიერთობის დამყარებას შეძლებს და საქმეც დაიძვრება.

უკვე აღვნიშნეთ, ინფორმაცია „გათავისუფლების“ დიდი პროექტის შესახებ ძალიან სანდო წყაროდან მოვიპოვეთ. საზოგადოების ცნობა თავდაპირველად გაზეთის ელექტრონული გვერდის საშუალებით მივაწოდეთ. რა თქმა უნდა, ეს არ არის „რეალის“ პრესსამსახურის მიერ გავრცელებული ინფორმაცია. გამომდინარე იქიდან, რომ საკითხი საკმაოდ დელიკატურ და სათუთ თემას ეხებოდა, ველოდით, რომ პრედრაგ მიატოვიჩი „დიარიო მარკას“ სტატიას არცთუ დიდი აღფრთოვანებით გამოეხმაურებოდა, მაგრამ გულწრფელად ვიტყვით, გენერალური დირექტორის რეაქციამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მან პირადად მითხრა, შენს გამო შემადგენლობაში სიტუაცია ძალიან დაგვეძაბა და იმდენი უნდა გესმოდეს, რომ დელიკატურ საკითხებზე დელიკატურადვე ისაუბროო. მესმის ამ ადამიანის აღშფოთება, მაგრამ ჩვენ პრესას წარმოვადგენთ. უფლებამოსილები ვართ ეთიკისა და პროფესიონალიზმის ჩარჩოებში საზოგადოებას ინფორმაცია მივაწოდოთ. არ ვნანობ, რომ „გათავისუფლების დიდი ოპერაციის შესახებ გულშემატკივრებს მოვახსენე...

მიატოვიჩი მიხვდა, რომ ინფორმაციამ გაჟონა და მისი დამუნჯება გუნდისთვის უფრო მავნებელი იქნება. ოთხშაბათს საღამოს გენერალურმა დირექტორმა საგანგებო პრესკონფერენცია გამართა და შეეცადა „რეალის“ ინტერესები და სიმშვიდე დაეცვა. ჩერნოგორიელმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ ინფორმაციის გავრცელებამ შესაძლოა, სამეფო კლუბის შემადგენლობაში განხეთქილება შეიტანოს. გულწრფელად გვაინტერესებს მაინც რატომ... მიატოვიჩს თუ დავუჯერებთ, ჩვენი სტატია ფეხბურთელებს შიშსა და ეჭვს გაუჩენს. ყველა იფიქრებს, რომ ერთ მშვენიერ დღეს შესაძლოა, მათაც მოუწიოთ ჩემოდნების ჩალაგება. მადრიდული გიგანტის მაღალჩინოსანს სურს, გუნდმა მშვიდად იცხოვროს, ფეხბურთის გარდა არაფერზე იფიქროს და არაფრის ეშინოდეს. სხვათა შორის, მან ვერ უარყო, რომ მოთამაშეთა გარკვეული ნაწილის გაყიდვის შესაძლებლობა მართლაც არსებობს. აი, რა განაცხადა სენიორ პედიამ: *„პირველ ყოვლისა, მსურს განვაცხადო, რომ „დიარიო მარკას“ სტატია ჩვენი უპატივცემულობის გამოხატულება გახლდათ. პუბლიკაციას ლაიტმოტივად გასდევდა, რომ ბიჭების ზურგს უკან გადაწყვეტილებებს ვიღებთ და მათი ბედით ვმანიპულირებთ. ცხადია, სიტყვასიტყვით ასე არ ეწერა, მაგრამ მკითხველს სწორედ ასეთი განწყობა შეექმნებოდა. მსურს, სრული სერიოზულობით განვაცხადო, სამეფო კლუბში ეგრეთ წოდებული შავი ხელი არ არსებობს. ჩვენ ტრანსპარენტულ პოლიტიკას ვაწარმოებთ. მოთამაშეებთან მუდმივი დიალოგი გაგვაჩნია. ერთმანეთს აზრებს ვუზიარებთ და ვცდილობთ, ყველას ინტერესების გამომხატველი გა- [illegible] რდება. ზოგჯერ მტკივნეული ნაბიჯების გადადგმაც გვიხდება, მაგრამ არა იმიტომ, რომ ვინმეს დაჩაგვრა გვსურს, არამედ იმ მოტივით, რომ მუდამ კლუბის ინტერესებით ვხელმძღვანელობთ. არ შემიძლია განვაცხადო, იანვრის სატრანსფერო ბაზრის გახსნის შემდეგ არავის გავყიდით-მეთქი. შეუძლებელია, წინასწარ ამის განსაზღვრა. რა თქმა უნდა, მთავარი მწვრთნელი ყველა შეგირდით თანაბრად კმაყოფილი ვერ იქნება. ისედაც ხედავთ, რომ ზოგს ძალიან იშვიათად უწევს თამაში. როგორც ჩანს მათ ნაწილს ადაპტაციისთვის მეტი დრო სჭირდება, ნაწილს კი განვითარების ნაკლები შანსი აქვს. ერთი რამ ნათელია, სენიორ შუსტერი შესაძლებლობების გამომჟღავნების საშუალებას ყველას აძლევდა და მომავალშიც მისცემს. მაგალითად, დრენტე ავიღოთ. ახლა ის ძირითადში ვერ ხვდება, მაგრამ რატომ გონია ვინმეს, რომ როისტონი სულ სათადარიგოთა შორის იქნება. დროს კიდევ მივცემთ. იმედია, გაიხსნება და შესაძლებლობებს მაქსიმალურად გამოამჟღავნებს. ცხადია, თუ ადაპტაცია უსასრულოდ გაიწელება, ადეკვატურ გადაწყვეტილებაზე ვიფიქრებთ. ალბათ, ყველა ხვდებით, რასაც ვგულისხმობ, მაგრამ იმედია, იმასაც ამჩნევთ, რომ გენერალური დირექტორი მართლაც უაღრესად დელიკატურ საკითხზე გაცილებით თავშეკავებულად საუბრობს, ვიდრე „დიარიო მარკა“. ძალიან ცუდია, რომ სტატია „ვერდერთან“ მატჩის წინ გამოქვეყნდა. იმედია, ბიჭებზე ეს ცუდად არ იმოქმედებს. მოკლედ, კარგი იქნება, თუ ერთმანეთზე მეტს ვიფიქრებთ და ზიანს არ მივაყენებთ.“*

ჩვენთვის დიდაქტიკა ყოველთვის მიუღებელი იყო. ახლაც ასეა, უბრალოდ არ შეგვიძლია, მიატოვიჩს მოკლედ არ ვუპასუხოთ: *„პედია, გვრჩება შთაბეჭდილება, რომ თავისუფალ პრესაზე სულ სხვა წარმოდგენა გაქვს. აქ ვერ ავხსნით, რისი უფლება გვაქვს და რისი არა. ეს ისედაც ყველასთვის ნათელია.* [illegible]

პრესკონფერენციაზე მიატოვიჩმა ერთ საინტერესო თემაზეც ისაუბრა. ის ინგლისის ნაკრების მწვრთნელად ბერნდ შუსტერის დანიშვნის საკითხს შეეხო. გაირკვა, რომ გერმანელ სპეციალისტს „რეალთან“ ერთობ უჩვეულო კონტრაქტი აქვს გაფორმებული. კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ შუსტერი „სანტიაგო ბერნაბეუდან“ წასვლას ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე მოისურვებს და ამის მიზეზად თუნდაც სხვა გუნდში მუშაობის დაწყებას დაასახელებს, სამეფო კლუბი კომპენსაციის სახით ცენტსაც ვერ მიიღებს. ყველას გვეგონა, რომ ასეთი კონტრაქტი ჰერ ბერნდის მოთხოვნით იქნა გაფორმებული, თუმცა არა... საქმე დირექტორატის მიერ დაშვებულ შეცდომას ეხება. ვის გამორჩა უმნიშვნელოვანესი პუნქტი, მაღალჩინოსნებს, თუ რიგით იურისტებს? ფაქტია, საკომპენსაციო გარანტიების ჩაწერა დოკუმენტში ვიღაცას გამოეპარა. კარგია, რომ მადრიდელები გვიან მაინც მიხვდნენ და ხარვეზის გამოსწორება გადაწყვიტეს. სიტუაციაში მიატოვიჩის განცხადება უკეთ გაგვარკვევს: *„ბედნიერი ვარ, რომ შუსტერს ინგლისის ნაკრებში წასვლა არ სურს. ძალიან გაგვიმართლა. უახლოეს დღეებში გერმანელთან ერთად მაგიდას მივუსხდებით და ხელშეკრულებას დავხვეწთ. თავისუფლების ხარისხის გარკვეულწილად შეზღუდვის სანაცვლოდ შესაძლოა, შუსტერის მიმართულებით საპასუხო ნაბიჯი გადავდგათ. კერძოდ, თუ მას ჩვენი ნებით გავათავისუფლებთ, ამჯამად გათვალისწინებულზე მეტ ფულს გადავუხდით. მჯერა, საქმე აქამდე არ მივა, მაგრამ პროფესიონალები ვართ და ყველაფერი სამართლებრივად უნდა იყოს გამართული. ერთი სიტყვით, ბერნდის კონტრაქტში გარკვეული კორექტივები შევა.“*

ასეა, შეცდომისგან არავინაა დაზღვეული. თუ მუშაობ, შეგეშლება კიდეც. ამ საკითხში მზად ვართ მიატოვიჩს ბოლომდე გავუგოთ. ადამიანები ვართ და ჩვენც არაერთხელ დაგვიშვია შეცდომა, ძირითადად ორთოგრაფიული ხასიათის. იმედს გამოვთქვამთ, რომ „დიარიო მარკასა“ და „რეალის“ გენერალური დირექტორის მცირე უთანხმოება დიდ დაპირისპირებაში არ გადაიზრდება და მომავალშიც ისევე ნაყოფიერად ვითანამშრომლებთ, როგორც აქამდე [illegible]

**დავიდ პადილია**
დიარიო მარკა, მადრიდი



ბერნდ შუსტერი დიდ საკადრო წმენდას გეგმავს

### ველოსა: ახლა უკვე 14 მილიონად

„მანჩესტერ იუნაიტედი“ ლისაბონის „სპორტინგს“ არ ეშვება. „ეშმაკებს“ **მიგელ ველოსას** შეძენა სურთ. ინგლისური გრანდი 14 მილიონ გირვანქას ამზადებს. ამას გარდა, თანახმაა, პორტუგალიელებს იჯარით დაუთმოს 18 წლის ბრაზილიელი ძმები - **ფაბიო და რაფაელ სილვები**. ამ ინფორმაციას „მირორი“ ავრცელებს. „იუნაიტედი“ „სპორტინგის“ გულის მოგებას დიდი ხანია, უშედეგოდ ცდილობს. ერთი თვის წინ მანჩესტერელებმა „სპორტინგს“ 11 მილიონი ევრო შესთავაზეს, მაგრამ ცივი უარი მიიღეს. ველოსა 21 წლისაა. ის პორტუგალიის ნაკრების წევრია. სამშაბათს „სპორტინგი“ „მენიუს“ ჩემპიონთა ლიგაში შეხვდა (1:2). **სერ ალექს ფერგიუსონს** კიდევ ერთხელ მიეცა სასურველ ფეხბურთელზე დაკვირვების საშუალება.

### საკიმ კორეა იუარა

**არიგო საკიმ** სამხრეთი კორეის ეროვნულ ნაკრებს უარი შეუთვალა. ეს ინფორმაცია ფიფას აგენტმა ფორნაჯელო კალიმმა გაავრცელა. კორეელებმა სინიორ საკის სარფიანი კონტრაქტი შესთავაზეს. საკიმ მათ დაფასებისათვის მადლობა გადაუხადა, მაგრამ წინადადება თავაზიანად უარყო. 61 წლის სპეციალისტს მთავარ მწვრთნელად ექვსი წელია, არ უმუშავია. ის ფაქტობრივად პენსიაშია გასული. საკის ბოლო სამუშაო მადრიდის „რეალის“ სპორტული დირექტორის პოსტი იყო. მან ეს თანამდებობა 2005 წლის დეკემბერში დატოვა. მის გარდა, კორეელები „ლივერპულისა“ და „ლიონის“ ყოფილ დამრიგებელ **ჟერარ ულიეს** და ნორვეგიის ნაკრების ყოფილ თავკაც **ეგილ ოლსენს** ეპატიჟებიან. კორეის ნაკრებს რამდენიმე თვეა, მწვრთნელი არა ჰყავს. ფეხბურთის ფედერაციამ კარისკენ მიუთითა ჰოლანდიელ **პიმ ფერბეეკს**, რომელმაც გუნდი აზიის თასზე მხოლოდ მესამე ადგილზე გაიყვანა.

### ადრიანოს ფენერშიც უხმეს

სამშაბათს „ინტერმა“ „ფენერბაჰჩეს“ უმასპინძლა და 3:0 მოუგო. იტალიაში ჩასულმა თურქების დამრიგებელმა **ზიკომ** საინტერესო კომენტარი გააკეთა. მან თანამემამულე **ადრიანოს** სტამბოლში გადასვლა შესთავაზა. ბრაზილიელ თავდამსხმელს კონტრაქტის სანაცვლოდ მაღალ ანაზღაურებას აღუთქვამენ. ადრიანო სამშობლოში იმყოფება და დეპრესიისაგან განკურნებას ცდილობს. ფეხბურთელმა ბრაზილიელ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ „ინტერში“ დაბრუნება აღარ სურს. მას შინ დარჩენა უნდა. ადრის უკვე შესთავაზა კონტრაქტი „სან პაულუმ“. თავდამსხმელს ევროპაშიც რამდენიმე საინტერესო შეთავაზება აქვს. მისი შეძენა „ვესტ ჰემსა“ და „მანჩესტერ სიტის“ სურთ. „ფენერის“ დაინტერესება სიახლეა. ადრიანოს წარმომადგენლებს კომენტარი ჯერ არ გაუკეთებიათ.

### დერბიში პოლ ინსს ელიან

ინგლისის ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი **პოლ ინსი**, შეიძლება, „დერბიში“ დაინიშნოს. გასულ უქმეებზე ამ კლუბმა კარისკენ მიუთითა მთავარ მწვრთნელ ბილი დევისს. მისი შეგირდები გასავარდ ზონაში იმყოფებიან. ახალ დამრიგებელს ფაქტობრივად სასწაულის მოხდენა მოუწევს, რათა პრემიერლიგის უსუსტეს გუნდს უმაღლეს დივიზიონში ადგილი შეუნარჩუნოს. ინსთან დაკავშირებით ოფიციალური ინფორმაცია არ გავრცელებულა, მაგრამ ეს სპეციალისტი ინგლისელი ბუქმეიქერების ფავორიტია. ბუქმეიქერებს კი არაფერი გამოეპარებათ. სხვა კანდიდატები არიან „ვიგანის“ ყოფილი თავკაცი **პოლ ჯუელი** და **სტივ მაკლარენი**. დიახ, ინგლისის ნაკრების ყოფილი თავკაცი, რომელიც კარიერის ადრეულ ეტაპზე „დერბის“ მეორე მწვრთნელი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური

# ჟუნინიოს ეფექტი

## E ჯგუფი

**ლიონი–ბარსელონა 2:2**

**ლიონი:** ვერკუტრი, რევეიერი, სკილაჩი, კლებერი, გროსო, ტულალანი, ფაბიო სანტუში (68. კალსტრიომი), ჟუნინიო, გოვუ, ფრედი (60. კეიტა), ბენ არფა (82. რემი).

**ბარსელონა:** ვალდესი, ძამბროტა (82. მარკესი), პუიოლი, მილიტო, აბიდალი, ტურე, ჩავი, ინიესტა, მესი, კრკიჩი, გუდიონსენი (71. რონალდინიო).

**გოლები:** 0:1 ინიესტა (3), 1:1 ჟუნინიო (7), 1:2 მესი (58-პენ), 2:2 ჟუნინიო (80-პენ)

**მაყურებელი:** 40 000

**არბიტრი:** სტეფანო ფარინა (იტალია)

„ბარსელონას" არ ჰყავდა **ტიერი ანრი** და **ფრანკ რიიკაარდმა რონალდინიოც** სათადარიგოთა სკამზე დატოვა (და ბრაზილიელი მოედანზე მხოლოდ 71-ე წუთზელა შეუშვა), მაგრამ კატალონიელები „ლიონთან" მაინც ფავორიტად მიიჩნეოდნენ. ისევე, როგორც პრიმერადივიზიონში, „ბარსას" ძირითად შეადგენლობაში კვლავ გამოჩნდა ახალგაზრდა **ბოიან კრკიჩი**, მაგრამ ამჯერად ბევრი ვერაფერი გააწყო. ვერ ვიტყვით, რომ „ბარსელონა" მძიმე მდგომარეობაში იყო, რადგან როგორც ხედავთ, კატალონიელებმა ფრითაც გაინაღდეს არა მარტო ჯგუფიდან გასვლა, არამედ პირველი ადგილიც, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ რიიკაარდის ბიჭებმა თითქმის ყველაფერი გააკეთეს ამ თამაშის მოსაგებად.

როგორც მოსალოდნელი იყო, მატჩი ესპანელთა უპირატესობით დაიწყო – „ბარსა" მაშინვე დაეუფლა ინიციატივას და უკვე მე-3 წუთზე ანგარიშიც გაიხსნა. **მესიმ** ბურთი მოედნის ცენტრში მიიღო, რამდენიმე მეტრი გაირბინა და კრკიჩი მოძებნა, რომელიც ასევე გადააადგილდა და კარგ პოზიციაში მყოფი **ინიესტა** მოძებნა, რომელმაც საჯარიმოს მარცხენა კუთხიდან აუღებელი დაურტყა **ვერკუტრის**. ისე ჩანდა, რომ „ლიონს" ამ თამაშში შანსი არ ექნებოდა, მაგრამ როცა გუნდში ისეთი ოსტატი გყავს, როგორიც **ჟუნინიოა**... მე-7 წუთზე „ბარსას" კარისკენ დანიშნული ჯარიმა წესით არც ისე სახიფათო იყო, რადგან ბურთი სადღაც მოედნის ცენტრსა და საჯარიმოს შუაში, **ვალდესის** კარიდან საკმაოდ შორს დაიდო, მაგრამ ბრაზილიელმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ საჯარიმო დარტყმების უბადლო ოსტატია. უნდა აღინიშნოს, რომ შეცდა ვალდესიც, მაგრამ ეს მთლიანად ჟუნინიოს დამსახურებაა, რომელმაც კატალონიელთა მეკარე დააბნია.

ტაიმის შუაში თამაში დაწყნარდა, თუმცა „ბარსელონა" კვლავ ფლობდა ინიციატივას. 28-ე წუთზე **გოვუს** შეეძლო „ლიონის" დაწინაურება, მაგრამ 10 მეტრიდან დარტყმული ბურთი ვალდესმა მოიგერია. დამატებაზე ჟუნინიომ სცადა ცარიელი კარის დალაშქვრა, მაგრამ დარტყმას **აბიდალი** გადაეღობა და ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა. პირველი ტაიმის მიწურული კი ძალიან დაძაბული და ნერვიული გახლდათ, რასაც რიიკაარდის მოედნიდან გაძევება მოჰყვა. „ბარსას" თავკაცი, რომელიც სხვა დროს სიმშვიდით გამოირჩევა ხოლმე, მსაჯ **სტეფანო ფარინას** იმდენს ეკამათა, რომ თავი გააგდებინა.

მეორე ტაიმი გაცილებით მშვიდად დაიწყო და ცხადი გახდა, რომ ახლა მთავარი ფეხბურთელების ინდივიდუალური ოსტატობა იქნებოდა. პირველად მესიმ იყოჩაღა: არგენტინელმა **სკილაჩი** ძალიან აწვალა და იძულებული გახადა, საჯარიმოში წესები დაერღვია: პენალტი თვითონ მესიმ შეასრულა და „ბარსელონა" კვლავ დააწინაურა. ამასობაში მოედანზე რონალდინიოც გამოჩნდა (**გუდიონსენის** ნაცვლად), რომელმაც თავის გუნდს ბევრი ვერაფერი შემატა და ოდენ ორი ძალიან ლამაზი და ზუსტი პასით გამოირჩა.

იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ „ლიონს" ძალა აღარ ეყოფოდა შესატევად, რადგან **ალენ პერენის** ბიჭები ძალიან გადაღლილები ჩანდნენ. და სწორედ ამ დროს, შეცვლაზე შესულმა, დასვენებულმა **კეიტამ** ივარგა, რომელმაც „ბარსას" საჯარიმოში შეაღწია, იქ კი აბიდალი აიძულა, წესები დაერღვია. პენალტის გატანა, ჟუნინიოს, ცხადია, არ გასჭირვებია. დარჩენილ დროში „ბარსელონამ" მშვიდად მიიყვანა თამაში საფინალო სასტვენამდე და ამ ფრით სანადელს მიაღწია, თუმცა თავი არ დაუზოგავს. „ლიონს" კი, ბოლო ტურში „რეინჯერსთან" (გლაზგოში) ფინალი ელოდება.

**ალენ პერენი:** *„ჩემს ფეხბურთელებზე გაბრაზებული ვარ, რადგან მათ მოგებაც შეეძლოთ. ასეთ შემთხვევაში კი, მერვედფინალში გასვლის უკეთესი შანსი გვექნებოდა. ახლა კი, „რეინჯერსს" თავისუფლად შეეძლება, მხოლოდ დაცვაზე იფიქროს, რაც მე ძალიან არ მომწონს. „ბარსელონამ" დღეს ტექნიკურად დაგვჯაბნა. ამ გუნდისთვის ბურთის წართმევა ძალიან ძნელია, მაგრამ ჩვენ ეს ორი გოლი დავიმსახურეთ. ხომ ხედავთ, ჟუნინიო არასდროს ნერვიულობს. „ბარსელონასთან" ის ჩვენი უმთავრესი იარაღი იყო და ფრეც მისი დამსახურებაა."*

**ფრანკ რიიკაარდი:** *„კარგად ვითამაშეთ, „ლიონზე" უკეთესად! ყველაზე მთავარი ის არის, რომ ერთი ტურით ადრე გავინაღდეთ პირველ ადგილზე გასვლა. ვფიქრობ, „ლიონს" შეუძლია გლაზგოში მოგება. რეინჯერსი-ლიონი შესანიშნავი თამაში იქნება!"*



ლიონი-ბარსელონა. ჟუნინიოს პენალტი და 2:2

**შტუტგარტი–რეინჯერსი 3:2**

**შტუტგარტი:** შეფერი, ბეკი, ფერნანდო მეირა, დელპიერი, მანინი, პარდო, ჰილბერტი (83. ევერტონი), ჰიტცლშპერგერი, ხედირა (46. ანტონიო), მარიკა, კაკაუ (88. ტასკი).

**რეინჯერსი:** მაკგრეგორი, ჰატონი, უეირი, კუელიარი, პაპაჩი, ემდანი, ბიზლი (49. ნეისმიტი), ფერგიუსონი, ტომსონი, მაკკალოხი (26. ადამი), დარშევილი (82. კუზენი).

**გოლები:** 0:1 ადამი (27), 1:1 კაკაუ (45), 2:1 პარდო (62), 2:2 ფერგიუსონი (70), 3:2 მარიკა (85)

**მაყურებელი:** 51 300

**არბიტრი:** დარკო ჩეფერინი (სლოვენია)

როგორც ჩანს, „შტუტგარტი" უკვე საბოლოოდ გამოსწორდა და კალაპოტში ჩადგა, რადგან ბუნდესლიგაში მოპოვებულ ზედიზედ ოთხ გამარჯვებას, რაც ჩემპიონთა კრიზისის ფონზე დიდი მიღწევა იყო, შვაბებმა ჩემპიონთა ლიგაშიც მოიგეს! „შტუტგარტს" პირველი ოთხი მატჩი წაგებული ჰქონდა და ამ გუნდისთვის დამთავრებული იყო ბრძოლა როგორც ფლეი ოფისთვის, ასევე მესამე ადგილისთვისაც, მაგრამ გერმანელებმა მაინც იბრძოლეს – იბრძოლეს პირველ რიგში პრესტიჟისთვის, მერე კი უეფას რეიტინგისთვის, სადაც გერმანიის ბუნდესლიგას ბოლო დროს არც ისე კარგად აქვს საქმე.

„რეინჯერსისთვის" ამ თამაშის წაგება არაფრისდიდებით არ შეიძლებოდა, მაგრამ შოტლანდიური კლუბის მდგომარეობა ძალიან არ გართულდა, რადგან ვერ მოიგო „ლიონმაც". „შტუტგარტს" კი მაინც ვერ დაეხმარა **მარიო გომესი,** რომელიც საბოლოოდ რუმინელმა **ჩიპრიან მარიკამ** შეცვალა და თანაც, საკმაოდ კარგად. გლაზგოელები 27-ე წუთზე, **ადამის** გოლით დაწინაურდნენ, რომელმაც **შეფერის** კარი 4 მეტრიდან დალაშქრა (საჰაერო ორთაბრძოლა **მეირას** მოუგო). შვაბებმა წონასწორობა პირველი ტაიმის მიწურულს აღადგინეს: **პარდოს** პასით **კაკაუმ** იხეირა – 10 მეტრიდან ძალიან ლამაზი გოლი გაუტანა **მაკგრეგორს**. 62-ე წუთზე პარდომ უკვე თვითონ გაიტანა და „შტუტგარტი" წინ გაიყვანა – 20 მეტრიდან დაურტყა მაკგრეგორს და აღსანიშნავია, რომ „რეინჯერსის" მეკარე შეცდა. 70-ე წუთზე, შოტლანდიელებმა შვაბთა მეკარე შეფერის შეცდომის შემდეგ გაათანაბრეს (**ფერგიუსონი;** შეფერმა ბურთი უაზროდ მოიგერია), რასაც 15 წუთში მარიკას გამარჯვების გოლი მოჰყვა (**მანინის** პასით). ეს იყო შტუტგარტის პირველი, მაგრამ სატურნირო თვალსაზრისით უკვე აღარაფრისმომტანი გამარჯვება.

**არმინ ფეე:** *„მოტივაცია წესით აღარ უნდა გვქონოდა, მაგრამ ბიჭებმა დაამტკიცეს, რომ ვაჟკაცები არიან. სამწუხაროა, რომ „ბარსელონასთან" და „ლიონთან" ბევრი მოთამაშე გვაკლდა. ვფიქრობ, წელს მეტი შეგვეძლო."*

**უოლტერ სმიტი:** *„იმედგაცრუებული ვარ! ვიცოდი, რომ ძალიან რთული მატჩი გველოდა და რომ „შტუტგარტი" ასპარეზობას უქულოდ არ დაასრულებდა, მაგრამ ეს ჩვენს მარცხს არ ამართლებს. „ლიონთან" სასურველ შედეგს უნდა მივაღწიოთ."*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 5 | 3 | 2 | 0 | 9-2 | 11 |
| 2. რეინჯერსი | 5 | 2 | 1 | 2 | 7-6 | 7 |
| 3. ლიონი | 5 | 2 | 1 | 2 | 8-10 | 7 |
| 4. შტუტგარტი | 5 | 1 | 0 | 4 | 6-12 | 3 |

## F ჯგუფი

**დინამო–რომა 1:4**

**დინამო:** რიბკა, დოპილკა, გავრანჩიჩი, ვაშჩუკი, ნესმაჩნი, გიოანე, გუსევი, ნინკოვიჩი (55. შაცკიხი), როტანი (46. ბელკევიჩი), რინკონი (69. მილევსკი), ბანგურა.

**რომა:** დონი, პანუჩი, ჟუანი, ფერარი, ტონეტო, კასეტი, პისარო, დე როსი (61. ბარუსო), ტადეი (46. ესპოზიტო), ჟიული, ვუჩინიჩი (84. სისინიო).

**გოლები:** 0:1 პანუჩი (4), 0:2 ჟიული (32), 0:3 ვუჩინიჩი (36), 1:3 ბანგურა (63), 1:4 ვუჩინიჩი (78)

**მაყურებელი:** 15 000

**არბიტრი:** ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)

„რომა" მოგების შემთხვევაში მერვედფინალის საგზურს ინაღდებდა, რაც საბოლოოდ მოახერხა კიდეც, კიევის „დინამო" კი ევროპაში კიდევ ერთხელ შემრცხვა, წააგო რა ხუთივე მატჩი! ჩემპიონთა ლიგაში უკრაინული გრანდის უკანასკნელი გამარჯვება სწორედ „რომასთან" მოგება იყო (სამი წლის წინათ). კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ „დინამოს" ძალიან მძიმე დროება უდგას. კიევის „ოლიმპიისკიზე" ამ მატჩის სანახავად ოდენ 15 000 მაყურებელი მივიდა, თანაც, მატჩს თოვლი და წვიმა დაემთხვა. რომაელებმა ანგარიში მე-4 წუთზე გახსნეს და ძალიან მალევე ცხადი გახადეს, რომ სამი ქულა ჯიბეში ედოთ: **პანუჩიმ** მარჯვენა ფლანგიდან ჩააწოდა და ბურთი კარში ისე შევარდა, რომ არავინ შეხებია. კიეველთა მეკარე **რიბკა,** რომელიც **შოვკოვსკიც** ცვლიდა, აშკარად შეცდა.

კიეველი ფეხბურთელები უამრავ შეცდომას უშვებდნენ და რომაელებს უკვე მე-10 წუთზე შეეძლოთ ანგარიშის გაზრდა, მაგრამ პანუჩის თავური დარტყმის შემდეგ ბურთი კარს მცირე მანძილით ასცდა. კიეველი ფეხბურთელების შიშნარევი თამაში მეკარესაც გადაედო – რიბკა ძალიან ნერვიულობდა და შეცდომას შეცდომაზე უშვებდა. „დინამო" ძალიან იშვიათად უტევდა და როცა უტევდა, კიეველთა ნებისმიერი პასი იოლად გაშიფრვადი გახლდათ რომაელთათვის. ტაიმის შუანელს „რომამ" ინიციატივა დათმო, მაგრამ კიეველებმა ვერც ამით იხეირეს. 33-ე წუთზე **ჟიული** მცველებს გაექცა, მეკარეც მოატყუა და ცარიელ კარში გაიტანა – 0:2. ფრანგის გოლმა „დინამო" სულ დააბნია, რასაც მალევე მოჰყვა მესამე გოლი: რომაელები კიეველბთან სამი სამზე გავიდნენ, რასაც **ვუჩინიჩის** მიმართულებით გაკეთებული ჭკვიანური პასი მოჰყვა, ამ უკანასკნელმა კი უპრობლემოდ გაიტანა შორეულ კუთხეში.

მეორე ნახევარი ორივე გუნდმა ცვლილებებით დაიწყო. იტალიელებმა თამაში მშვიდად განაახლეს, რადგან უკვე 3:0-ს იგებდნენ და ძალების დაზოგვა შეეძლოთ. „რომა" ბურთის კონტროლზე გადავიდა. მაგრამ 65-ე წუთზე **ლუჩანო სპალეტის** გუნდმა ერთი გოლი მაინც გაუშვა: **შაცკიხის** პასით **ბანგურამ** 18 მეტრიდან გაუტანა დონის. გაშვებული გოლის შემდეგ რომაელები ისევ გააქტიურდნენ და მალევე ვუჩინიჩს შეეძლო გატანა, მაგრამ ვერ ივარგა. თუმცა, ჩერნოგორიელმა თავდამსხმელმა შეცდომა მალე გამოასწორა და კიდევ ერთხელ დაამწუხრა რიბკა, ანგარიში კატასტროფული გახადა, თვითონ კი დუბლი მიითვალა.

ამრიგად, „რომამ" მერვედფინალის საგზური მოიპოვა და ამ ჯგუფში უკვე აბსოლუტურად ყველაფერი გარკვეულია. მართალია, წინ კიდევ ერთი ტურია, მაგრამ უკვე ვიცით, რომ პირველი ადგილი „მანჩესტერისაა", მეორე რომაელების, მესამე, ანუ, უეფას თასზე გადამსვლელი „სპორტინგის", მეოთხე კი კიევის „დინამოსი".

**ოლეგ ლუჟნი:** *„ამ შეხვედრაში ყველა ის ფეხბურთელი ვათამაშე, ვინც მზადყოფნაში იყო. წავაგეთ იმიტომ, რომ პირველი წუთებიდანვე გვაკლდა კონცენტრაცია. ამას გარდა, ძალიან ცუდად ვითამაშეთ დაცვაში. სამწუხაროდ, ჩვენ არ გვყავს სხვა ფეხბურთელები და ჩვენ საკუთარ თავს და უკრაინის ჩემპიონატის დონეს ვერ გადავახტებით."*

**ლუჩანო სპალეტი:** *„ამ შეხვედრაში ჩვენ ისე კარგად ვითამაშეთ, რომ ვფიქრობ, გაცილებით მეტს ვიმსახურებდით, ვიდრე ჯგუფში მეორე ადგილის დაკავებაა. ძალიან მინდოდა, რომ ბოლო ტურში, „მანჩესტერთან" პირველი ადგილისთვის ბრძოლა გვქონოდა. არა უშავს, საკუთარი ღირსებისთვის ვიბრძოლებთ!"*

**მანჩესტერი–სპორტინგი 2:1**

**მანჩესტერი:** კუშჩაკი, ო'ში, ვიდიჩი, ფერდინანდი, ევრა, კრისტიანო რონალდო, ქერიკი, ფლეტჩერი (46. ტევესი), ანდერსონი, ნანი (46. გიგზი), საა (79. ჰარგრივსი).

**სპორტინგი:** რუი პატრისიო, აბელი, ანდერსონ პოლგა, ჰადი, ტონელი, იზმაილოვი (82. პერეირინია), ველოზო, რომანიოლი (68. ვუკჩევიჩი), მუტინიო, ლიდსონი, პუროვიჩი (82. ფარნერუდი).

**გოლები:** 0:1 აბელი (21), 1:1 ტევესი (61), 2:1 კრისტიანო რონალდო (90)

**მაყურებელი:** 67 688

**არბიტრი:** კლაუს ბ. ლარსენი (დანია)



მანჩესტერი-სპორტინგი. ტონელი საას შეჩერებას ცდილობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მანჩესტერ იუნაიტედს" განაღდებული ჰქონდა მერვედფინალში თამაში, მაგრამ მანკუნიანელები ამ მატჩს ზერელედ მაინც არ მიუდგნენ და ლისაბონის „სპორტინგი" 2:1 დაამარცხეს. **სერ ალექს ფერგიუსონის** გუნდი ჯერ კიდევ მეოთხე ტურის შემდეგ ერთადერთი იყო მთელს ტურნირში, რომელსაც ოთხივე თამაში მოგებული ჰქონდა, ახლა კი, „მენიუს" ხუთივე მატჩი მოგებული აქვს, რაც მართლაც გრანდიოზული შედეგია. საინტერესოა ისიც, რომ „წითელმა ეშმაკებმა" ჩემპიონთა ლიგაში ზედიზედ რვა საშინაო თამაშის მოგება მოახერხეს, რაც ბრიტანული საკლუბო ფეხბურთის რეკორდია. და ბარემ აქვე გეტყვით იმასაც, რომ „მანჩესტერს" საკუთარ „ოლდ ტრაფორდზე" ჩემპიონთა ლიგის ეგიდით 11 მატჩიანი წაუგებელი სერია აქვს – „მენიუ" შინ ბოლოს 2005 წელს დამარცხდა („მილანთნ" 0:1).

ფერგიუსონი გულშემატკივრებს ამცნობდა, „სპორტინგთან" ახალგაზრდა ფეხბურთელებს თავის გამოჩენის შანსს მივცემ, მაგრამ **კრისტიანო რონალდოსა** და **ნემანია ვიდიჩს** კი აუცილებლად ვათამაშებო. „მანჩესტერი" მთელი მატჩის განმავლობაში ფლობდა უპირატესობას, თუ არ ჩავთვლით იმ მომენტს, როცა გოლი გაუშვა (25-ე წუთზე, **აბელი**). მანკუნიანელებმა თამაში მეორე ტაიმში შემოატრიალეს, ჯერ **ტევესმა** აილო ლისაბონელთა კარი, მერე კი რონალდომ შეაგდო საუცხოო გოლი – ულამაზესი საჯარიმო დარტყმით. მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ფერგიუსონმა ძალიან დიდხანს ისაუბრა რონალდოზე და პორტუგალიელი ნახევარმცველი ქებით ცაში აიყვანა. „სპორტინგის" თავკაც **პაულუ ბენტუს** კი იმით უწევს დაკმაყოფილება, რომ მისი გუნდი უეფას თასზე გააგრძელებს ასპარეზობას.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერი | 5 | 5 | 0 | 0 | 12-3 | 15 |
| 2. რომა | 5 | 3 | 1 | 1 | 10-5 | 10 |
| 3. სპორტინგი | 5 | 1 | 1 | 3 | 6-8 | 4 |
| 4. დინამო | 5 | 0 | 0 | 5 | 4-16 | 0 |

## G ჯგუფი

### ინტერი–ფენერბაჰჩე 3:0

**ინტერი:** ჟულიო სეზარი, მაიკონი, კორდობა, სამუელი, კივუ, ძანეტი, სტანკოვიჩი (89. მატერაცი), კამბიასო, მაქსველი (72. ხიმენესი), იბრაჰიმოვიჩი (78. სუასო), კრუსი.

**ფენერბაჰჩე:** ვოლქანი, გიოქან გონული, ლუგანო, ედუ, რობერტო კარლოსი, სელჩუკი, ალექსი, აურელიო (62. აპია), ვედერსონი, დეივიდი (83. თუმერი), სემიჰი (66. ქაზიმი).

**გოლები:** 1:0 კრუსი (55), 2:0 იბრაჰიმოვიჩი (66), 3:0 ხიმენესი (90)

**მაყურებელი:** 25 798

**არბიტრი:** კონრად პლაუტცი (ავსტრია)

„ინტერმა" პირველ ტურში სწორედ „ფენერბაჰჩესთან" წააგო (0:1), მაგრამ მერე ზედიზედ სამი გამარჯვება მოიპოვა და თურქულ კლუბთან მეორე მატჩს ლიდერის რანგში შეხვდა. პირველი წუთიდან ძალიან საინტერესო ბრძოლა გაჩაღდა, ორივე გუნდმა შემტევი ტაქტიკა აირჩია, რითაც „სან სიროზე" შეკრებილი ქომაგები უკმაყოფილოები ვერ დარჩებოდნენ. პირველი სახიფათო მომენტი მასპინძლებმა შექმნეს: კუთხურის შემდეგ, **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** „ფენერის" კარს საჯარიმოს ხაზიდან დაემუქრა, მაგრამ **ვოლქანის** კარს ბურთი მცირე მანძილით აცილა. თურქებმა მომენტს მომენტით უპასუხეს: **რობერტო კარლოსის** უძლიერესი და რაც მთავარია, ზუსტი დარტყმა, **ჟულიო სეზარმა** მოიგერია. ამის შემდეგ „ინტერმა" აქცენტი ფლანგებზე გადაიტანა, განსაკუთრებით **ხავიერ ძანეტი** აქტიურობდა, რომლის თითოეული ჩაწოდება ძალიან სახიფათო იყო, მაგრამ „ფენერბაჰჩეს" მცველები მოწოდების სიმაღლეზე იდგნენ. სტუმრების იარაღი კი **აურელიოს** შორეული დარტყმები იყო, რასაც შედეგი არ მოჰყოლია – მას სიზუსტე აკლდა. 28-ე წუთზე „სან სირომ" შვებით ამოისუნთქა: **დეივიდის** ჩაწოდებას **შენთურქი** გამოეხმაურა, მაგრამ მისი თავური სეზარის კარის ხარიხას სანტიმეტრებში ასცდა. ამ მომენტს მილანელებმა **კრუსის** ორი დარტყმით უპასუხეს, მაგრამ პირველ მომენტში „ფენერი" ვოლქანმა გადაარჩინა, მეორე მომენტში კი არგენტინელს უმტყუნა სიზუსტემ. ტაიმის მიწურულს კი, რობერტო კარლოსი კიდევ ერთხელ დაემუქრა სეზარის კარს, მაგრამ მილანელთა მეკარე მოწოდების სიმაღლეზე იდგა.

მეორე ტაიმი, ყველასათვის მოულოდნელად, თურქების იერიშებით დაიწყო. იტალიის მოქმედ ჩემპიონებს ნერვიულობა არ დასტყობიათ, თამაში მშვიდად განაგრძეს და 55-ე წუთზე სწრაფი და გააზრებული შეტევა ანგარიშის გახსნით დააგვირგვინეს: კრუსი ვოლქანის საჯარიმოში შეიჭრა და მოხდენილი დარტყმით ბურთი შორეულ კუთხეში გადაგზავნა. „ფენერბაჰჩემ" შეტევებს უმატა და ცოტა ხანში დეივიდს შეეძლო ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ კარგ პოზიციაში მყოფს მიზანმა უმტყუნა. სტუმრები არ დაცხრნენ და შეტევები გააგრძელეს, მაგრამ მალე კონტრიერიში გამოეპარათ, რითაც იბრაჰიმოვიჩმა ისარგებლა, რომელმაც საჯარიმოს ხაზიდან უძლიერესი და უზუსტესი დარტყმით სხვაობა ორამდე გაზარდა. დარჩენილ დროში თამაში დაწყნარდა - როგორც ჩანს, თურქები მარცხს შეეგუენ. „ნერაძურიმ" კი, მატჩის მიწურულს კიდევ ერთი გოლის გატანა მოახერხა (ხიმენესი). ფინალურმა სასტვენმა გვამცნო, რომ „ინტერი" ჯგუფში პირველ ადგილზე გავიდა, ხოლო „ფენერბაჰჩეს" კი თავისი ბედის გარკვევა ბოლო ტურში მოუწევს. „ფენერი" ცსკა-ს უმასპინძლებს, ინტერი კი ეინდჰოვენში ჩავა.

**რობერტო მანჩინი:** *„ეს არ იყო იოლი გამარჯვება და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მეტოქეს კლასით ვაჯობეთ. მიხარია, რომ პირველი ადგილი გავინაღდეთ. ახლა მთლიანად სერია A-ზე გადავერთვებით."*




ინტერი-ფენერბაჰჩე. რობერტო კარლოსმა კრუსს დაასწრო

**ზიკო:** *„სამწუხაროდ, ჩემს ფეხბურთელებს დაავიწყდათ, რომ მატჩი 90 წუთს გრძელდება და არა 45 წუთს. პირველ ტაიმში ძალიან კარგად ვითამაშეთ და მეტოქეს ჯეროვანი წინააღმდეგობა გავუწიეთ. მეორე ნახევარში კი სამი შეცდომა დავუშვით და სამივე გაშვებული გოლის ფასად დაგვიჯდა."*

### ცსკა–ეინდჰოვენი 0:1

**ცსკა:** აკინფეევი, ვ. ბერეზუცკი, იგნაშევიჩი, ა. ბერეზუცკი, რაჰიმიჩი (86. გრიგორიევი), შემბერასი, ალდონინი, დუდუ (73. ოდია), ჟირკოვი, რამონი (61. კანერი), იანჩიკი.

**ეინდჰოვენი:** გომეში, მარსელისი, სალსიდო, ალსიდესი, ზონეველდი, მენდესი, რაიკოვიჩი, ბაკალი (77. კულინა), აფელაი, ფარფანი (81. კუვერმანსი), ლაზოვიჩი (84. პერესი).

**გოლი:** 0:1 ფარფანი (39)

**მაყურებელი:** 23 000

**არბიტრი:** მანუელ მ. გონსალესი (ესპანეთი)

„ეინდჰოვენმა" მოსკოვის ცსკა-ს ურთულესი თამაში მოუგო და მერვედფინალში გასვლის შანსი შეინარჩუნა. ჰოლანდიელებს ახლა იმის იმედი უნდა ჰქონდეთ, რომ „ფენერბაჰჩე" ბოლო ტურში საკუთარ მოედანზე უმოტივაციო ცსკა-ს ვერ მოუგებს, ხოლო თვითონ კი, ასევე უმტივაციო „ინტერს" დაამარცხებენ. პსვ-მ მოსკოვში **ჯეფერსონ ფარფანის** გოლის წყალობით იმარჯვა. ეს გოლი მან 39-ე წუთზე გაიტანა. მიუხედავად იმისა, რომ რუსები მთელი მატჩის განმავლობაში სათამაშო უპირატესობას ფლობდნენ, ეს უპირატესობა გოლით მაინც ვერ ასახეს. ამრიგად, **ვალერი გაზაევის** გუნდმა ბოლო ადგილზე გასვლა „გაინაღდა" და ვერც უეფას თასზე გადაინაცვლებს.

იმის გამო, რომ მოსკოვში თოვდა, გუნდებს საკმაოდ დიდი დრო დასჭირდათ იმისათვის, რომ თავიანთი თამაში ეპოვათ. შესაბამისად, მატჩი ძალიან გვიან გახურდა. პირველი რეალური საგოლე მომენტი მასპინძლებს შეექმნათ, როდესაც **შემბერასმა** დასარტყმელ პოზიციაზე გაიყვანა **რამონი**, რომელმაც დარტყმა დააგვიანა. პსვ-ს აშკარად ეტყობოდა კაპიტან **სიმონსისა** და მის შემცვლელ **ვან დერ ლეეგტეს** არყოფა, ასევე ისიც, რომ **ერიკ ადო** დისკვალიფიცირებული იყო. ცოტა ხანში კი რამონის მეწყვილე **დავიდ იანჩიკს** მართებდა გომეშის დამწუხრება, მაგრამ მანაც აცილა – რამონი და იანჩიკი თავდასხმაში **ვაგნერ ლავს** და **ჟოს** ცვლიდნენ.

ცოტა ხანში ეინდჰოვენელები ძალიან ანერვიულდნენ, რადგან ფარფანმა ტრავმა მიიღო და შეცვლას ითხოვდა, მაგრამ ექიმებმა დროზე უშველეს და მანაც თამაშის გაგრძელება შეძლო. ცსკა-ს უპირატესობა ერთი წუთითაც არ დაუთმია – **გაზაევის** გუნდი ყველანაირად ცდილობდა, გომეშის კართან სახიფათო მომენტები შეექმნა. ერთ-ერთ ასეთ ეპიზოდში **იგნაშევიჩის** შორეული დარტყმა ჰოლანდიელთა კარს მცირე მანძილით ასცდა. მერე იყო ფარფანის გოლი: ეინდჰოვენის ახალგაზრდა ნახევარმცველმა **დირკ მარსელისმა** მარჯვენა ფლანგიდან ჩააწოდა, იგნაშევიჩი ბურთის გამოტანას შეეცადა, მაგრამ ეს არ გამოუვიდა, მისგან კი ბურთი ფარფანს მიუვიდა, რომელმაც ერთი მეტრიდან უპრობლემოდ დალაშქრა **აკინფეევის** კარი. მეორე ტაიმში მოსკოველები ბევრს ეცადნენ, მაგრამ ანგარიშის გათანაბრება ვერ მოახერხეს.

**ვალერი გაზაევი:** *„ჩვენ დღეს უამრავი საგოლე მომენტი ვერ გამოვიყენეთ, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ მხრივ სერიოზული პრობლემა გვაქვს. მაგრამ ჩემს შეგირდებზე ცუდს მაინც ვერაფერს ვიტყვი, რადგან მათ ყველაფერი გააკეთეს ამ თამაშის მოსაგებად. კარვალიო, კრაშიჩი და ჟო ტრავმრების გამო გვაკლდნენ, ვაგნერ ლავს კი ოჯახში ჰქონდა პრობლემები. ამ ფეხბურთელებს რომ ეთამაშათ, დარწმუნებული ვარ, მომენტების გამოყენების პროცენტული მაჩვენებელი 100 პროცენტამდე იქნებოდა."*

**იან ვოუტერსი:** *„პირველ ტაიმში დაცვაში პრობლემები გვქონდა. მეორე ნახევარში შედარებით უკეთესად ვითამაშეთ, მაგრამ მატჩის მიწურულს ისევ შეგვექმნა პრობლემები. საერთო ჯამში ცუდად არ გვითამაშია, რასაც შედეგიც მოწმობს."*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 5 | 4 | 0 | 1 | 11-4 | 12 |
| 2. ფენერბაჰჩე | 5 | 2 | 2 | 1 | 5-5 | 8 |
| 3. ეინდჰოვენი | 5 | 2 | 1 | 2 | 3-5 | 7 |
| 4. ცსკა | 5 | 0 | 1 | 4 | 6-11 | 1 |

## H ჯგუფი

### სევილია–არსენალი 3:1

**სევილია:** პალოპი, დანიელ ალვეში, ფაციო, დრაგუტინოვიჩი, ხოსე კრესპო (64. მოსკერა), ნავასი, პოულსენი, კეიტა, კორეია (90. მარტი), ლუიშ ფაბიანო (75. კერჟაკოვი), კანუტე.

**არსენალი:** ალმუნია, ჰოიტი (66. სანია), ტურე, სენდეროსი, ტრაორე, ებუე (78. ულკოტი), ფაბრეგასი (56. როსიცკი), ჟილბერტო, დენილსონი, ედუარდო, ბენდტნერი.

**გოლები:** 0:1 ედუარდო (11), 1:1 კეიტა (24), 2:1 ლუიშ ფაბიანო (34), 3:1 კანუტე (89-პენ)

**მაყურებელი:** 39 000

**არბიტრი:** ერიკ ბრამჰაარი (ჰოლანდია)

„სევილიამ" „არსენალს" რევანში აუღო. ამ გუნდების ლონდონურ მატჩში მასპინძლებმა სამი უპასუხო გოლი გაიტანეს. „არსენალი" ოთხშაბათის შეხვედრაშიც დაწინაურდა. მე-11 წუთზე **ედუარდო და სილვამ** ანგარიში გახსნა. მაგრამ „სევილია" ის „სევილია" აღარ არის, რომელმაც სეზონის დასაწყისში უმძიმესი კრიზისი გამოიარა. **მანოლო ხიმენესმა** გუნდი გამოაცოცხლა. ანდალუსიელებმა პირველსავე ტაიმში გაიტანეს ორი გოლი. საფინალო სასტვენამდე ერთი წუთით ადრე „სევილიამ" „მეთოფეები" მესამედ დაამწუხრა.

„არსენალმა" 28-მატჩიანი წაუგებელი სერია შეწყვიტა. ის იმ გუნდთან დამარცხდა, რომელიც ჩემპიონთა თასზე 50-წლიანი პაუზის შემდეგ ასპარეზობს. სევილიელებმა ყველაზე პრესტიჟულ საკლუბო ტურნირში უკანასკნელად 1958 წელს ითამაშეს. გუშინწინდელი გამარჯვებით, მათ ერთი ტურით ადრე გაინაღდეს ფლეი ოფის საგზური. „სევილიამ" ხუთ თამაშში 12 ქულას მოუყარა თავი. „არსენალი" მას ორი ქულით ჩამორჩა, თუმცა „სტიაუასა" და „სლავიას" შორის დაფიქსირებული 1:1 იმას ნიშნავს, რომ ფლეი ოფში „არსენალიც" ითამაშებს.

ახლა ორიოდე სიტყვით გოლები ავწეროთ. და სილვამ **ნიკოლას ბენდტნერის** პასით იხეირა. სევილიელებმა ხორვატი თავდამსხმელი უმეთვალყურეოდ დატოვეს. მას საკმარისი დრო აღმოაჩნდა ბურთის დასამუშავებლად და დასარტყმელად. **ანდრეს პალოპმა** ვერაფერი გააწყო, 0:1. ეს მე-11 წუთზე მოხდა. 24-ე წუთზე მასპინძლებმა ანგარიში გაათანაბრეს. **ჟილბერტო სილვა ხესუს ნავასის** ჩაწოდებულ ბურთს ვერ შესწვდა. ის **კეიტას** მიუგორდა. მალელმა ნახევარმცველმა აღარ დააყოვნა და საჯარიმოს ხაზიდან მაღალ კუთხეში დასცხო. **მანუელ ალმუნიას** ვერ დავადანაშაულებთ. ესპანელმა მეკარემ ჩემპიონთა ლიგაში 384-წუთიანი მშრალი სერია შეწყვიტა. თუმცა ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. ათ წუთში **ლუიშ ფაბიანომ** მეორე გოლი გაიტანა. ფაბიანო ესპანეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირია. მას პრიმერა დივიზიონში 8 გოლი აქვს გატანილი. გუშინწინ ბრაზილიელმა თავდამსხმელმა თავითბ 10 მეტრიდან გაიტანა. ის **დანიელ ალვეშის** ფლანგულ გადაცემას გამოეხმაურა და „სევილია" წინ გაიყვანა. დასკვნით ათწუთიან მონაკვეთში ორივე გუნდს შეეძლო გატანა. და სილვას და კანუტეს მეკარეებმა აჯობეს.

მეორე ტაიმის შუაში საინტერესო ამბავი მოხდა. ჰოლანდიელმა არბიტრმა **ერიკ ბრაამჰაარმა** ლონდონელთა კარში პენალტი დანიშნა. მან ჩათვალა, რომ საკუთარ საჯარიმოში წაქცეული **ფილიპ სენდეროსი** ბურთს ხელით შეეხო. „არსენალის" ფეხბურთელებმა ხმაური ატეხეს. მათ მხსნელად მოევლინათ თანამსაჯი. მასთან ხანგრძლივი მოთათბირების შემდეგ ბრაამჰაარმა შეცდომა აღიარა და სადაო ბურთი ააგდო. მაგრამ „არსენალი" პენალტსა და გოლს მაინც ვერ გადაურჩა. 89-ე წუთზე **კოლო ტურემ** და **ლასანა დიარამ ფრედერიკ კანუტე** შუაში მოიმწყვდიეს და ერთობლივი ძალისხმევით ძირს დაანარცხეს. 11-მეტრიანი ეჭვს არ იწვევდა. ბრაამჰაარმა თამამად გაიშვირა ხელი ნიშნულისაკენ. დაზარალებულმა კი საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

**არსენ ვენგერმა** მარცხს დიდი მნიშვნელობა არ მიანიჭა. გავითვალისწინოთ, რომ მწვრთნელმა მთელი რიგი წამყვანი ფეხბურთელები დაასვენა. *„ჩემპიონთა ლიგაში წაუგებელი სერია როდისღაც შეწყდებოდა. მთავარი იყო მომდევნო ეტაპზე გასვლა. მიზანს მივაღწიეთ. ახლა კი პრემიერლიგაზე უნდა ვიფიქროთ,"* - თქვა ფრანგმა სპეციალისტმა ნამატჩევს.

### სტიაუა–სლავია 1:1

**სტიაუა:** საპატა, გოიანი, რადა, ემეგარა, ნესუ, პეტრე, ლოვინი (65. ბიკფალვი), ნეაგა, კროიტორიუ (76. სურდუ), ბადეა (89. კრისტოჩეა), დიკა.

**სლავია:** ვანიაკი, ტავარესი, სუჩი, ბრაბეცი, კრაიჩიკი, ჰუბაჩეკი, შვეცი (30. ბელაიდი), შენკერიკი, პუდილი, ვოლეშაკი (61. შურეკი), გაუჩო (77. ნესიდი).

**გოლები:** 1:0 ბადეა (12), 1:1 შენკერიკი (78)

**მაყურებელი:** 10 000

**არბიტრი:** ალენ ჰამერი (ლუქსემბურგი)

მეორე ტაიმში **ზდენეკ შენკერიკის** გოლმა პრაღის სლავიას მესამე ადგილი გაუნაღდა. გუნდი ჩემპიონთა ლიგას გამოეთიშა, სამაგიეროდ, გაზაფხულიდან უეფას თასზე ითამაშებს. ბუქარესტის „სტიაუამ" კი ევროპული კამპანია უსახელოდ დაასრულა. რუმინელებმა პირველი ქულა სამშაბათს მოიპოვეს. ერთი ტურით ადრე „სლავიამ" 5 ქულას მოუყარა თავი. ამ ჯგუფში, ფაქტობრივად, ყველაფერი გარკვეულია. გასარკვევია მხოლოდ პირველი და მეორე ადგილოსნის ვინაობა, ესეც იმიტომ, რომ კენჭისყრაზე პირველ ან მეორე კალათაში მოათავსონ. სენკერიკმა გოლი 79-ე წუთზე თავით გაიტანა. ანგარიში **ვალენტინ ბადეამ** მე-11 წუთზე გახსნა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სევილია | 5 | 4 | 0 | 1 | 11-7 | 12 |
| 2. არსენალი | 5 | 3 | 1 | 1 | 12-3 | 10 |
| 3. სლავია | 5 | 1 | 2 | 2 | 5-13 | 5 |
| 4. სტიაუა | 5 | 0 | 1 | 4 | 3-8 | 1 |



ცსკა-ეინდჰოვენი. აფელაის (მარცხნივ) პირველად მარსელისმა მიულოცა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბარსელონელები სამუელ ეტოოს დაბრუნებას მოუთმენლად ელოდებიან

ბარსელონა. ახალი ამბები

# ეტოო მალე დაბრუნდება

## დღეს თუ არა ხვალ, ხვალ თუ არა ზეგ...

გამპერის თასზე მიღებული სერიოზული ტრავმიდან ზუსტად სამი თვის შემდეგ **სამუელ ეტოო** ფართო საზოგადოების წინაშე საგანგებო პრესკონფერენციით წარდგა და განაცხადა, რომ მოედანზე დასაბრუნებლად მზად არის. კამერუნელი ფორვარდის თქმით მას უკვე შაბათს, კატალონიურ დერბიშიც კი შეუძლია თამაში: „შესანიშნავად ვგრძნობ თავს. რეაბილიტაციის ბოლო ეტაპის დასრულების შემდეგ ნაყოფიერად ვმუშაობდი. ძალიან სერიოზულად ვვარჯიშობ. მიმაჩნია, რომ სასურველ კონდიციებამდე ბევრი აღარ მიკლია. უამრავ ადამიანს აინტერესებს, გავალ თუ არა შაბათს მინდორზე. თანამედროვე ფეხბურთი ისეთი რთული რამ არის, რომ წინასწარ, თუნდაც ერთი დღით ადრე ვერაფერს განჭვრეტ. მე მხოლოდ ის ვიცი, რომ თავდაუზოგავად ვმუშაობ. შეუძლებელია, ამ შემართებამ და შრომამ მყისიერი შედეგი არ გამოიღოს. დღეს თუ ვერ დავბრუნდები, ეს ხვალ აუცილებლად მოხდება. უკიდურეს შემთხვევაში კი ზეგ! მთავარია, რომ ტრავმა მოვიშუშე და ჩვეული შემართებით ვარჯიში დავიწყე. მომავალს იმედიანად ვუყურებ. მჯერა, ძალიან მალე დავბრუნდები და „ბარსელონას" გოლებით დავეხმარები. არ დავიწყებ იმაზე დაწვრილებით ლაპარაკს, რომ ჩემი საქმე ძალიან მომენატრა. ფეხბურთის გარეშე ცხოვრება ძალიან მიჭირს. მადლობა ღმერთს, ჯოჯოხეთს თავს ვაღწევ. სულ ცოტაც და მოწინააღმდეგეთა კარს შევუტევ. გულშემატკივრებს ვპირდები, რომ ამას გაათმაგებული ენერგიითა და ენთუზიაზმით გავაკეთებ."

შეგახსენებთ, ეტოომ სეზონის დაწყების წინ „ინტერთან" მატჩში მარჯვენა მუხლის ჯვარედინი მყესების ტრავმა მიიღო. სხვათა შორის, იმავე მუხლზე ერთი წლის წინ მან მენისკის უმძიმესი ტრავმაც მიიღო და ლაზარეთში თითქმის ხუთი თვე გაატარა. მართალია, სამუელი თამაშის წყურვილითაა შეპყრობილი, მაგრამ ამავდროულად აცნობიერებს, რომ გარისკვა არაფრით არ შეიძლება: „ერთ წელიწადში ერთსა და იმავე ფეხზე ორი უმძიმესი ტრავმა მივიღე. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ ჩემი ექიმების რჩევები გავითვალისწინო. თუ ისინი დაასკვნიან, რომ კიდევ უნდა მოვიცადო, ძალიან მეწყინება, მაგრამ ექიმების ნების წინააღმდეგ არ წავალ. მჯერა, საქმე ამდენად არ გართულდება. ვიმეორებ, გასული დღეების განმავლობაში ძალიან დიდი დატვირთვით ვვარჯიშობდი და ამ პროცესში არანაირი პრობლემა არ შემქმნია. ფეხი ოდნავადაც არ ამტკივებია. იმედია, ყველაფერი გეგმა-ზომიერად წარიმართება."

კამერუნელს ჟურნალისტებმა „ბარსელონის" მინი კრიზისზეც ჰკითხეს. ჩვენს კოლეგებს აინტერესებდათ, რას ფიქრობს ეტოო გასვლით შეხვედრებში არსებული მწვავე პრობლემების შესახებ. სამუელს ფრიად საინტერესო პასუხი აღმოაჩნდა: „შინ თამაში ყოველთვის უფრო იოლია, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში მხოლოდ ამაში არ არის საქმე. მოგეხსენებათ, „კამპ ნოუზე" ძალიან ფართო და გრძელი მოედანია. ეს სტადიონი საშუალებას გვაძლევს, თამაში გავხსნათ და თავისუფლად ვიმოქმედოთ. სხვა მოედნები კი გაცილებით უფრო პატარაა. ამის გამო, საშუალება არ გვეძლევა, ჩვენი ტაქტიკით ვიასპარეზოთ, კერძოდ, მოწინააღმდეგეს მისივე საჯარიმოს მისადგომებთან ავართვათ ბურთი და სწრაფი კომბინაცია გავათამაშოთ. პატარა მოედანზე საკმარისია მეტოქემ ბურთი მოიცილოს, რომ ის უმალ ჩვენს ნახევარზე ვარდება... რა თქმა უნდა, ეს არ არის მოუგვარებელი პრობლემა. მთავარია, „ბარსელონას" შრომა არ დაეზაროს. „რეკრეატივოსა" და „ლიონთან" მატჩებში ყველამ ნახა, რომ ბიჭები წინ გაუჩერებლად დარბოდნენ და მეტოქეს პირველ დაბრკოლებას მათზავე საჯარიმოში უქმნიდნენ. ეს შესანიშნავი ტენდენციაა. დარწმუნებული ვარ, მომავალშიც ასე ვითამაშებთ და ყველა პრობლემას მოვაგვარებთ."

ეტოოს საჩემპიონთალიგო პერიპეტიებზეც ჰკითხეს: „მიხარია, რომ ჯგუფში პირველი ადგილი გავინაღდეთ. ეს საშუალებას გვაძლევს, ფლეი ოფში საპასუხო მატჩები „კამპ ნოუზე" ჩავატაროთ. ვფიქრობ, სერიოზულ უპირატესობას ვფლობთ. როგორც ყოველთვის, ახლაც ყველაფერი მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული. დედამიწაზე არ არსებობს გუნდი, რომელიც იმ „ბარსელონას" გაუმკლავდება, რომელიც შესაძლებლობებს მაქსიმალურად ავლენს."

პრესკონფერენციის მიწურულს ეტოომ **ედმილსონის** სკანდალური განცხადების მიზეზით ატეხილ აჟიოტაჟსა და ცალკეული თანაგუნდელების მდგომარეობაზე ისაუბრა: „სასურველია, რომ ნაკლები ხმაური ავტეხოთ, თუმცა ედმილსონი თავისუფალი ადამიანია და მას პირს ვერავინ ამოუკერავს. იმედია, საქმე არ გამწვავდება. ჩვენ ყველა ვალდებული ვართ, რომ პირველ რიგში „ბარსელონის" კეთილდღეობისთვის ვიბრძოლოთ, თუმცა ისიც ფაქტია, რომ მიზნის შესასრულებლად ხშირად სხვადასხვა გზას ვხედავთ ხოლმე. რამდენიმე სიტყვით შემადგენლობის შესახებაც მსურს ვისაუბრო. ბევრს ლაპარაკობენ რონალდინიოზე. მას ხშირად აკრიტიკებენ და ამბობენ, რომ ცუდად თამაშობს. სასიხარულოა, რომ თავად გაუჩო ამ ყველაფერს ძალიან მშვიდად ხვდება და არ ღელავს. რთული დრო ყველას გვიდგება ხოლმე. ასეთ დღეებში ერთმანეთს მხარში უნდა დავუდგეთ და მაქსიმალურად დავეხმაროთ. განა ყველამ არ ვიცით, რა შეუძლია რონალდინიოს? ის გენიოსია. ჩემი აზრით, ასეთი ნიჭიერი ფეხბურთელი დედამიწაზე მეორე არ არსებობს და ძალიან გთხოვთ, თავზე ნუ გადაუვლით. დაბოლოს, ბოიანსაც ვახსენებ. მისი სახით „ბარსელონას" ცივსისხლიანი, გონიერი „მკვლელი" ეზრდება. ბოიანმა „რეკრეატივოს" უკვე შასცა მომაკვდინებელი ლახვარი. ჯერ სად ხართ, ყველაფერი წინაა."

ვარსკვლავი

# ფაბიო კაპელოს მუდმივი ფავორიტი

## კრისტიან პანუჩი? ეს რაღაც განსაკუთრებული მოვლენაა

**„რომას" მარჯვენა მცველი კრისტიან პანუჩი „უხსოვარი" დროიდან გამოდის იტალიის ნაკრებში - მისი დებიუტი „აძურიში" 1994 წლის სექტემბერში შედგა სლოვენიის ნაკრების წინააღმდეგ, ეს იყო 1996 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩი. თუმცა ეროვნულ გუნდში 13 წლის განმავლობაში მის ანგარიშზე სულ 53 მატჩი დაგროვდა. მისდა საუბედუროდ, მისი თაობის ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი მცველი, თითქმის 3 წლის განმავლობაში იძულებული იყო ნაკრებზე ფიქრი დაევიწყებინა. 1999\2000 წლების სეზონში მილანის „ინტერში" ერთობლივი მუშაობისას მასა და მარჩელო ლიპის შორის კონფლიქტი მოხდა, რის გამოც, შემდგომში, მაესტრომ ფეხბურთელს ნაკრების კარი დაუხშო. ასე რომ, პანუჩი მსოფლიოს ჩემპიონი ვერ გახდა. ახლა „აძურის" რობერტო დონადონი ავარჯიშებს და ისიც დაუბრუნდა გუნდს. დაუბრუნდა და გლაზგოში უკანასკნელ წუთზე გატანილი გოლის წყალობით იტალიას ევრო 2008-ის საგზური საბოლოოდ დაუჯავშნა.**

ეს ფეხბურთელი ზოგს არ უყვარს, ზოგს კიდევ ძალიან ეჯავრება. ზურგს უკან მას Grinta-ს (ქართულად ბოღმას ნიშნავს) უწოდებენ და არამხოლოდ სახის შესაბამისი გამომეტყველების გამო. თამაშის მისეული სტილი სავსებით ეხამება ამ ზედმეტსახელს. **კრისტიან პანუჩიმ** საკუთარ თავში თითქოს სპეციალურად გააერთიანა ფეხბურთის თამაშის ყველა ის სპეციფიკური წვრილმანი, რაც ასე გამოარჩევთ იტალიელებს სხვა ერის შვილებისგან: ფანტასტიკური ტექნიკური მონაცემები, არაჩვეულებრივი ფიზიკური მომზადება და შესანიშნავი ტაქტიკური ალღო მასში ჰარმონიულად ერწყმის საფეხბურთო პროვოკატორის ბრწყინვალე ჩვევებს. ისტორიულმა გოლმა შოტლანდიის კარში საგზური გაუნაღდა არამხოლოდ მის სამშობლოს მთავარ გუნდს, არამედ საფრანგეთსაც. ამის მიუხედავად, „სამფეროვანთა" დამრიგებელმა **რაიმონ დომენეკმა** განაცხადა: „რა თქმა უნდა, მე მას მადლობა უნდა ვუთხრა, მიუხედავად იმისა, რომ არ მიყვარს ეს ფეხბურთელი. მას ცუდი ფეხბურთელისთვის დამახასიათებელი ყველა თვისება აქვს. ის ყველაზე დიდი აფერისტია მათ შორის ვინც ოდესმე მე მინდორზე მინახავს. საერთოდ იტალიელებს ეს სჩვევიათ, მაგრამ პანუჩი? ის რაღაც განსაკუთრებული ფენომენია."

როგორც ასეთ დროს იტყვიან ხოლმე, ძაღლი ყეფს, ქარავანი კი მიდის. კრიატიანი საპატიო ასაკის მიუხედავად ჯერ არ გეგმავს პენსიაში გასვლას. მისი მიზანია რაც შეიძლება დიდი ხანი გამოდიოდეს „რომასა" და ნაკრების ფორმით. ის არ მალავს, რომ ფეხბურთის თამაშისგან დღემდე დიდ სიამოვნებას ღებულობს: „მართლა კარგ ფორმაში ვარ და ბავშვური ხალისით ვთამაშობ ფეხბურთს. სეზონის დასაწყისში იყო პრობლემები - ჯერ ხერხემალი მაწუხებდა, მერე ტერფი, მაგრამ ახლა თავს შესანიშნავად ვგრძნობ, რაც ჩემს ფიზიკურ მზადყოფნაზეც აისახება. 34 წლის ასაკში გარკვეულ მაღალ დონეს იმიტომ ვინარჩუნებ, რომ მუშაობა ჩემი ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილია. არ ვამბობ, რომ გართობაზე საერთოდ უარს ვამბობ, მაგრამ ისე ვიქცევი, როგორც ეს პროფესიონალს შეეფერება. ვფიქრობ, შოტლანდიისთვის გატანილი გოლი მთელი კარიერის განმავლობაში გაწეული კატორღული სამუშაოს ღირსეული დაფასება იყო."

პანუჩის არ უყვარს საუბარი მასა და იტალიის ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელის **მარჩელო ლიპის** შორის არსებულ დაძაბულ ურთიერთობაზე. ძნელია კონკრეტული მიზეზი დავასახელოთ იმისა, თუ რა გახდა მათი უბრობის საფუძველი. „ინტერში" მათი გზები სწორედ მაშინ გადაიკვეთა, როცა ეს კლუბი უმძიმეს კრიზისში იყო. ლიპი, მთელი მისი ბრწყინვალე სამწვრთნელო ალღოს მიუხედავად, ვერ ახერხებდა სიტუაციის დასტაბილურებას. კონკრეტული გზა, რომელიც **მასიმო მორატის** გუნდს ჩიხიდან გამოიყვანდა, არ ჩანდა... მოკლედ, ამაზე მარჩიელობა არაფერს მოგვიტანს. მხარეები კი ამაზე დუმილს ამჯობინებენ. პანუჩის „ნერაძურის" გახსენებაზე მხოლოდ ნაღვლიანად ელიმება: „ამბობენ, რომ „ინტერი" ერთი დიდი ოჯახია, მაგრამ საქმე სულ სხვაგვარადაა. ძალიან დიდ პატივს ვცემ პრეზიდენტ მორატის, როგორც პიროვნული თვისებების, ისე კლუბისადმი საოცარი ერთგულების გამო, მაგრამ მისი გარემოცვა ცალკე სასაუბრო თემაა... შემიძლია კონკრეტული ფაქტები მოვიხმო: რაც უნდა დიდი ვარსკვლავი ტოვებდეს „ინტერს", გამონაკლისის გარეშე, მიდის ან ძალიან უკმაყოფილო, ან კიდევ უფრო უარესი, მიდის სკანდალით. მე ორმაგად გულდაწყვეტილი ვარ. რაც თავი მახსოვს, მას შემდეგ ამ გუნდს ვგულშემატკივრობდი, სულ ვოცნებობდი შავცისფერი მაისურის მორგებაზე. მე პატარაობიდანვე ჯოვანი ტრაპატონის გუნდს ვეტრფოდი, იმ დროს ხომ „ინტერი" რეკორდს რეკორდზე ამხობდა. ნებისმიერ ფასს გადავიხდიდი, ოღონდ მაშინდელ ვარსკვლავებთან ერთად ბურთის მეგორებინა. სწორედ „ნერაძურის" სიყვარულის გამო დავტოვე მადრიდის „რეალი". დღემდე ალბათ ერთადერთ ფეხბურთელად ვრჩები, ვინც სამეფო კლუბი საკუთარი ნებით დატოვა, მაგრამ აქედან რა გამოვიდა, კარგად ხედავთ..."

კრისტიან პანუჩის კარიერის შავ პერიოდს (ზემოხსენებული კონფლიქტი ლიპისთან) დაერთო წარუმატებლობები პირად ცხოვრებაშიც - ის ცოლს გაეყარა. ამ მძიმე წუთებში უდიდესი დახმარება გაუწია დედამ. ამბობენ, რომ ფეხბურთელის მშობელი შვილის არცერთ თამაშს, გასვლითი მატჩების ჩათვლით, არ ტოვებსო. ეს ღირსეული ქალბატონი ჯერ კიდევ ძალიან პატარა იყო, როცა მშობლიური პრალა მიატოვა და მეუღლესთან ერთად საცხოვრებლად იტალიის პატარა ქალაქ სავონაში გადავიდა. კრისტიანის უფროსი ძმის დაბადებისას ის სულ რაღაც 18 წლისა იყო. ფეხბურთელი ამბობს: „დედა ჩემი საუკეთესო მეგობარია. ამ ადამიანმა ყველაზე დიდი გავლენა იქონია ჩემს ადამიანად ჩამოყალიბებაზე. ცხოვრების ყველაზე მძიმე მომენტებში სწორედ ის იდგა ჩემ გვერდით." კრისტიანს ახლა მეორე მეუღლე ჰყავს, რომელიც დედის მსგავსად არაა იტალიელი. წყვილმა ერთმანეთი მადრიდში გაიცნო. მომხიბლავ ესპანელ მეუღლესთან პანუჩის 2001 წელს შვილი შეეძინა.




უბერებელი კრისტიან პანუჩი

შეიძლება ვარსკვლავის უხიაგი ხასიათი სერიოზულ პრობლემებს უქმნიდეს მის გარშემომყოფთ ცხოვრებაში, მაგრამ მინდორზე ის ყოველთვის პროფესიონალიზმის მაგალითია. ამის დასტურად შარშანდელი წელი გამოდგება. „რომასთვის" არცთუ იოლ სეზონში მან 8 გოლის გატანა მოახერხა, რითიც მცველებს შორის შედეგიანობის საკლუბო რეკორდი დაამყარა.

ფეხბურთელის ოჯახში კალჩო ყოველთვის აქტუალური იყო, რადგან მისი მამა წარსულში ასევე ბურთს აგორებდა. ის თავდამსხმელის პოზიციაზე გამოდიოდა. შვილიც მამის კვალს გაჰყვა და პროფესიონალი ფეხბურთელის გზა აირჩია. 16 წლისა, 1989 წელს ის მშობლიური ქალაქის გუნდში ჩაირიცხა, ერთი წლის შემდეგ „ჯენოას" დუბლებში გადავიდა, ხოლო პირველი სეზონი პროფესიულ კარიერაში ისევ და ისევ „ჯენოას" რიგებში ჩაატარა. მისი გენიური კარიერა 1991\1993 წლებში გაგრძელდა, რაც 1993 წლის ზაფხულზე **ფაბიო კაპელოს** დიად „მილანში" გაგრძელდა. ის ყოველთვის ერთნაირად ძლიერი იყო როგორც მარჯვენა მცველად, ასევე ცენტრში, დღემდე კარგად თამაშობს დაზღვევაზე, მას მშვენიერი პირველი პასი და საკმაოდ დაყენებული დარტყმა აქვს. „მილანიდან" ის „რეალში" გადავიდა. 1999 წელს მადრიდიდან აბარგების შემდეგ მის კარიერაში კლუბები კალეიდოსკოპური სისწრაფით იცვლებოდა: „ინტერი", „ჩელსი", „მონაკო" ორი სეზონის განმავლობაში. 2001 წელს მან მის მამობილის - კაპელოს „რომას" მიაშურა და მას მერე დედაქალაქიდან ფეხი არ მოუცვლია.

ფეხბურთელს მართლაც რომ საამაყოდ აქვს საქმე. მის კოლექციას უთვალავი ტიტული ამშვენებს: იტალიის ჩემპიონი (1994, 1996), იტალიის თასის მფლობელი (2007), იტალიის სუპერთასის გამარჯვებული (1993, 1994, 2007), ესპანეთის ჩემპიონი (1997), ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული (1994, 1998), ევროპის სუპერთასის მფლობელი (1994), საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი (1998), ევროპის ასაკობრივი ჩემპიონატების გამარჯვებული (1994, 1996), ოლიმპიური თამაშების მონაწილე (1996).

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

# დენგმა თავი შეგვახსენა

ზაზა ფაჩულიამ კოჭის ტრავმის შემდეგ პარასკევს პირველი მატჩი ჩაატარა. იგი „ატლანტა ჰოქსთან" ჩიკაგოს ესტუმრა და „ბულზთან" 78:90 დამარცხდა. ანგარიშის მიხედვით დაგრჩებოდათ შთაბეჭდილება, თითქოს მატჩი მეტ-ნაკლებად თანაბრად მიდიოდა, მაგრამ რეალურად საქმე ასე არ ყოფილა - მეოთხე პერიოდის წინ მასპინძლებმა 19-ქულიანი ფორა (70:51) დაიბევეს და ბოლო რაუნდში ჯორჯიელებს თავი აღარ შეაკლეს.

„ატლანტას" დამარცხებაში პირველი დამნაშავე ჩიკაგოელი **ლუოლ დენგი** იყო, რომელმაც 22 ქულა და 9 მოხსნა მიითვალა. შეგახსენებთ, რომ ლუოლმა ამ ზაფხულს საქართველოს ნაკრებთანაც გაიბრწყინა - ორიდან ერთი ამხანაგური მატჩი პირადად დენგმა მოგვიგო. პირველში იგი საიმედოდ ამოკეტა მანუჩარ მარკოიშვილმა და საქართველომაც გაიმარჯვა.

ლუოლისა და ზაზას გუშინდელი მონაგარი ამ ზაფხულისასგან საგრძნობლად განსხვავდებოდა - ფაჩულიამ მხოლოდ 8 წუთი ითამაშა (შეცვლაზე), ერთადერთი ორქულიანი სტყორცნა და მასზეც **ბენ უოლასმა** დაუფარა. ზაზას მსგავსად კაპიტან **ჯო ჯონსონს** (21 ქულა) მხარი ვერავინ აუბა და ჯორჯიელთა ნაგებაც ლოგიკური იყო.

ამ მარცხმა სამხრეთ-აღმოსავლეთის დივიზიონის სატურნირო ცხრილში არანაირი ცვლილება არ გამოიწვია. „ჰოქსი" 13 მატჩში 5 მოგებით ხუთ გუნდს შორის მეოთხე პოზიციაზეა. მის წინაა ექვსმოგებიანი „შარლოტ ბობქეთსი". დღეს გამთენიისას „ატლანტა ჰოქსი" ზაზას ყოფილ კლუბ „მილუოკი ბაქსს" სტუმრობდა.

ჩიკაგოში გაფრენის წინა დღეს ზაზა ატლანტას ელიტარულ ლონისძიებას დაესწრო. ამის შესახებ იგი საკუთარ ვებ-გვერდზე (www.zazapachulia.com) საუბრობს:

*„ჟურნალი „ჟეზებელი" ყოველწლიურად 50 მიმზიდველ ატლანტელს ასახელებს. ჩემთვის დიდი პატივი იყო წლეულს ამ ნომინაციაში მოხვედრა. „ჟეზებელმა" ამ აღიარებას საინტერესო წვეულება დაურთო, სადაც უამრავი ცნობილი სახე შეიკრიბა. სასიამოვნო იყო ის ფაქტი, რომ ყველას, ვისაც შევხვდი, მიცნობდა და ნათელი წარმოდგენა ჰქონდა ჩემი საქმიანობის შესახებ, თუმცა გასაკვირი ის იქნებოდა რომ ვერ მიხვედრილიყვნენ 212 სმ. სიმაღლის კაცი საიდან უნდა ვყოფილიყავი. „ატლანტა ჰოქსს" აქ ყველა ქომაგობს. გართობის პარალელურად ეს წვეულება ჩემთვის საინტერესო იმითაც იყო, რომ ყველას შესანიშნავად ეცვა და შეიძლებოდა ნებისმიერის გემოვნებაზე ვრცლად მსჯელობა."*

**ვახტანგ ტყეშელაშვილი**

| ჩიკაგო-ატლანტა | 90:78 |
|---|---|

13:17, 21:13, 36:21, 20:27

ჩიკაგო: ჰინრიხი (4ქ), გორდონი (21ქ), ტომასი (8ქ, 12 მ), დენგი (22ქ, 9მ), უოლასი (6ქ, 12მ), დუჰონი (11ქ), ნოჩიონი (11ქ, 8მ), ნოა (5ქ), სეფოლოშა (2ქ)

ატლანტა: ე. ჯონსონი (7ქ), ჯ. ჯონსონი (21ქ, 5პ), ჯ. სმიტი (12ქ, 7მ), მ. უილიამსი (7ქ), ზაზა ფაჩულია (8 წუთი, 1 შეცდომა), ჰარფორდი (8ქ, 14მ), ჩილდრესი (9ქ, 5მ), ლიუ (2ქ), სტაუდმაიერი (10ქ), უესტი (2ქ), ჯონსი

**ფაჩულიას მონაგარი**

| | |
|---|---|
| **I პერიოდი** | |
| 3:54 | ფაჩულიამ ჰარფორდი შეცვალა |
| 0:29 | შეცდომა: 1 (ფარზენი) |
| 0:01 | ფაჩულია სმიტმა შეცვალა |
| **III პერიოდი** | |
| 7:30 | ფაჩულიამ ჰარფორდი შეცვალა |
| 4:09 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 3:03 | ფაჩულია უილიამსმა შეცვალა |

ატლანტა: 5 მოგება, 8 ნაგება. მე-4 ადგი-



ზაზა ფაჩულია 50 მიმზიდველი ატლანტელის სიაში მოხვდა



## საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეს რელიზი

28 ნოემბერს გაიმართა საქართველოს კალათბურთის ფედერაციის გამგეობის სხდომა, რომელსაც გამგეობის 11 წევრიდან 10 დაესწრო.

გამგეობის გადაწყვეტილებით, საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრების მთავარ მწვრთნელად კვლავ დავით უსტიაშვილი დაინიშნა. აღნიშნული ნაკრები ითამაშებს ევროპის ჩემპიონატის A დივიზიონში. ჩემპიონატი 2008 წლის 1-10 აგვისტოს ლატვიის ქალაქ ვენტსპილსში გაიმართება.

საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნა მიხეილ კობეშავიძე. ეს ნაკრები იასპარეზებს ევროპის ჩემპიონატის B დივიზიონში, რომლის მატჩებიც 2008 წლის 25 ივლისიდან 3 აგვისტოს ჩათვლით უნგრეთის ქალაქ სომბათჰეიში გაიმართება.

საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნა გელა წულაძე. 16-წლამდელთა ნაკრები მონაწილეობას მიიღებს ევროპის ჩემპიონატის A დივიზიონში. ეს შეჯიბრება 2008 წლის 15-24 აგვისტოს იტალიის ქალაქებში, კიეტისა და პესკარაში გაიმართება.

გამგეობის გადაწყვეტილებით, ფედერაციის მსაჯთა კომიტეტს მურმან ქურიძის ნაცვლად უხელმძღვანელებს ანტონ კაზანჯიანი, ხოლო კაზანჯიანის ადგილს ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობაზე გია მიქაძე დაიკავებს.



## გარდაიცვალა ვალერი ალთაბაევი

67 წლის ასაკში გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი კალათბურთელი ვალერი ალთაბაევი.

ვალერი ალთაბაევმა თამაში დაიწყო ბათუმის სპორტსკოლაში 1953 წელს. 1959-69 წლებში გამოდიოდა თბილისის „დინამოში", აგრეთვე თბილისის და საქართველოს ნაკრებ გუნდებში.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების ოქროს (1968), სამი ვერცხლის (1960, 1961, 1969) და ბრინჯაოს (1965) მედლების მფლობელი, სსრკ თასის (1969) და ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის (1962) მფლობელი. საბჭოთა კავშირის სპარტაკიადის ვიცე-ჩემპიონი (1959), ქალაქების მატჩის გამარჯვებული (1959), მეორე (1960) და მესამე (1967) პრიზიორი, ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა გათამაშების ფინალისტი (1969).

1996-2000 წლებში მუშაობდა მწვრთნელად ბათუმში, შექმნა გუნდი, რომელმაც შემდგომში შეადგინა საქართველოს ჩემპიონის, „ბასკოს" ბირთვი.

### ქართველები ევროთასებზე

# მანუს პირველი ნაგება

მანუჩარ მარკოიშვილის „კიევმა" მიმდინარე სეზონში მე-12 მატჩი ჩაატარა და პირველი მარცხი იწვნია. უკრაინელთა წაუგებელი სერია ბულგარეთის „აკადემიკთან" შეწყდა. სოფიაში გამართულ ულების თასის მატჩში მასპინძლებმა რის ვაი-ვაგლახით 95:87 გაიმარჯვეს.

გთავაზობთ რამდენიმე ამონარიდს ულების თასის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული მიმოხილვიდან: *„ულებზე ბულგარელთა მეორე გამარჯვება ლეგიონერებმა განაპირობეს. სერბმა პერო ანტიჩმა 33 ქულა ჩააგდო, მაკედონელმა რისტე სტეფანოვმა - 18, ამერიკელმა დონტა სმიტმა - 12. უკრაინელთა მხრიდან ასევე ლეგიონერი მანუჩარ მარკოიშვილი გამოირჩა. ქართველმა ფორვარდმა 19 ქულას 5 შედეგიანი გადაცემა და 4 ჩაჭრა მიამატა.*

*პირველ მეოთხედში ანგარიში გარდამავალი უპირატესობით მიდიოდა, ვიდრე ფეისონმა და მარკოიშვილმა სამქულიანები არ მიაყოლეს - 31:25 კიევის სასარგებლოდ. მეორე ათწუთეულში უპირატესობა ხელთ ბულგარელებმა იგდეს და ნენად სენაკის ორქულიანის შემდეგ 43:35 დაწინაურდნენ. მასპინძელთა რვაქულიანი წინსვლა წამიერი აღმოჩნდა - კრავცოვისა და მარკოიშვილის შორეული ტყორცნების შემდეგ ანგარიში გათანაბრდა - 45:45.*

*ქართველი ფორვარდის განზრახ ჯარიმის (რაც უკრაინელებს საეჭვოდ ეჩვენათ და დიდ ხანს აპროტესტებდნენ, წერია „კიევის" ვებ-საიტზე) შემდეგ რისტო სტეფანოვმა 10:0 სპურტს ჩაუყარა საფუძველი და - 56:49. სტუმართა მხრიდან არ ნებდებოდა მანუჩარ მარკოიშვილი, რომელმაც მორიგი სამქულიანით სხვაობა ქულამდე შეამცირა - 58:59. ასე თანაბარ ბრძოლაში მიილია მთელი მატჩი. ბოლო წუთებზე კიეველებს სამქულიანების სროლის საშუალება აღარ ეძლეოდათ და ულების თასზე პირველი მატჩი წააგეს."*

როგორც ხედავთ, მანუჩარს მატჩის გმირობამდე მხოლოდ მოგება დააკლდა, მაგრამ არც ესაა სანერვიულო - მთავარია, რომ „კიევი" H ჯგუფში პირველობას ინარჩუნებს, ხოლო მარკოიშვილი გუნდის ლიდერად ყალიბდება. მანუმ „ნიკოლაევთან" მატჩის მსგავსად „აკადემიკთანაც" აკურატულად ისროლა - 6-დან 4 სამქულიანი გამოიყენა.

„კიევი" ულების თასზე მორიგ მატჩს შინ გერმანიის „არტლანდ დრაგონსთან" ჩაატარებს. თუ ცხრილს გადახედავთ, იოლად დარწმუნდებით, რომ ამ შეხვედრის მოგებას უკრაინელთათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. „კიევი"-"არტლანდის" მატჩი 4 დეკემბერს გაიმართება.

**ვაჟა სიმონიშვილი**

| | |
|---|---|
| აკადემიკი (ბულ)-კიევი (უკრ) | 95:87 |
| რიგა (ლატ)-პო ორტეზი (საფ) | 80:60 |
| არტლანდი (გერ)-ბენეტონი (იტ) | 84:79 |

**H ჯგუფი**

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. კიევი | 4 | 3 | 1 | 7 |
| 2. არტლანდი | 4 | 3 | 1 | 7 |
| 3. აკადემიკი | 4 | 2 | 2 | 6 |
| 4.რიგა | 4 | 2 | 2 | 6 |
| 5. ბენეტონი | 4 | 1 | 3 | 5 |
| 6. პო ორტეზი | 4 | 1 | 3 | 5 |

## ჩოგბურთი

# ერთი წრე გაიარა

ამერიკაში გრძელდება ედი ჰერის საერთაშორისო ტურნირი ახალგაზრდა ჩოგბურთელთა შორის. ტურნირი, რომელიც პირველი კატეგორიისაა და „ორანჯ ბოულის" მთავარ რეპეტიციად მიიჩნევა, 12, 14, 16 და 18 წლამდელ ჩოგბურთელთა შორის იმართება. 18-წლამდელთა შორის მხოლოდ ერთი მონაწილე გვყავდა - **ეკა გორგოძე**, რომელმაც ორი საკვალიფიკაციო წრის გავლის შემდეგ წააგო და შეჯიბრებას გამოეთიშა.

16 წლამდელთა ძირითად ბადეში ორი ქართველია. ბიჭებში მე-14 ნომრად განთესილმა **ნიკოლოზ ბასილაშვილმა** 6:1, 7:5 დაამარცხა ბულგარელი **ცვეტან მიჰოვი**. მეორე წრეში ქართველი ავსტრიელ **პეტერ ტაუხნერს** შეხვდება. გოგონებში **მარი სამადაშვილმა** პირველივე წრეში წააგო მექსიკელ **ვიქტორია ლოზანოსთან** - 1:6, 0:6.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

2007 წლის 21 დეკემბერს გაიმართება საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის საანგარიშო-საარჩევნო კონფერენცია.

კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად, გთხოვთ 20 დეკემბრამდე გაიაროთ წინასწარი რეგისტრაცია. სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციაში გაწევრიანების მსურველებს ვთხოვთ ასევე 20 დეკემბრამდე წარმოადგინონ შესაბამისი საბუთები.

ველით თქვენს წინადადებებს კონფერენციის დღის წესრიგთან დაკავშირებით. წესდების შესაბამისად, ასოციაციის ხელმძღვანელ ორგანოებში ასარჩევად კანდიდატურები შეგიძლიათ წარმოადგინოთ 6 დეკემბრამდე.

**თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 49 ა.** ტელეფონი: 42 12 88, 23 26 34. მობ. 877 48 88 44.

*სსჟა-ს აღმასკომი*

საქართველოს კალათბურთის ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 67 წლის ასაკში გარდაიცვალა 1962 წლის ჩემპიონთა თასის მფლობელი, 1968 წლის სსრკ ჩემპიონი და 1969 წლის სსრკ-ს თასის მფლობელი

ვალერი ალთაბაევი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

„ლელოს" რედაქცია მწუხარებას გამოთქვამს გამოჩენილი კალათბურთელის

ვალერი ალთაბაევის

გარდაცვალების გამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელბურთი



წინა პლანზე - მეკარე შოთა თევზაძე. მარჯვნივ - მამია ტულუში

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

ეროვნული ნაკრები

# თურქეთში ლეგიონერები არ გვეყოლება



იმედო ფხაკაძე

საქართველოს ხელბურთელთა ნაკრებმა გუშინ 23-კაციანი შემადგენლობით დაიწყო ვარჯიში ტექნიკური უნივერსიტეტის დარბაზში. როგორც უკვე იცით, გუნდში თავმოყრილია საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრების კანდიდატები, რომლებიც 16 დეკემბერს, თურქეთში გაემგზავრებიან იქაურ ეროვნულ და ახალგაზრდულ გუნდებთან ამხანაგური მატჩების სათამაშოდ.

რაკილა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მესამე წრე საგაზაფხულოდ გადაიდო, ხელბურთის ფედერაციამ და ნაკრების ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, აქ მოთამაშე ხელბურთელებს ვარჯიშებით შეუნარჩუნოს ფორმა. სწორედ ამიტომ დაიწყო ასე ადრე სამზადისი სათურქეთოდ და 20 იანვარს გასამართი „ჩელენჯ ტროფის“ ფინალისთვის.

გუშინდელი ვარჯიში ნაკრების ახალმა ფიზმომზადების მწვრთნელმა, მძლეოსნობის ცნობილმა სპეციალისტმა **მამია ტულუშმა** გახსნა. ამის შემდეგ კი ხელბურთელები ეროვნული ნაკრების თავკაცმა **იმედო ფხაკაძემ** გადაიბარა, რომელმაც შეგირდები მსუბუქად ავარჯიშა.

ამიერიდან, გუნდი ერთი კვირის განმავლობაში, დღეში ერთჯერადი ვარჯიშებით შემოიფარგლება, რის შემდეგაც შეკრებაზე გადავა და უფრო ინტენსიურ წვრთნას შეუდგება.

ვარჯიშის დამთავრების შემდეგ, **იმედო ფხაკაძეს გავესაუბრეთ.**

- ჯერჯერობით, გუნდს მე ვავარჯიშებ მამია ტულუშთან ერთად. ერთ კვირაში კი ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი დაინიშნება და ერთად მოვამზადებთ თურქეთში წამსვლელ შემადგენლობას. გადავწყვიტეთ, რომ არ გავიყოთ და ორივე გუნდი ერთად ვავარჯიშოთ. ორიოდე დღეში, ჩემს სამწვრთნელო შტაბსაც დავაკომპლექტებ.

**- „ჩელენჯ ტროფიმდე“ ტექნიკური უნივერსიტეტის ბაზაზე მოემზადებით?**

- არა, აქ თურქეთში წასვლამდე და წლის ბოლომდე ვივარჯიშებთ. ახალი წლების შემდეგ კი, თელავში გავივლით დასკვნით შეკრებას.

**- ლეგიონერები როდის შეუერთდებიან გუნდს?**

- ფაქტობრივად, გადაწყვეტილია, რომ თურქეთში ულეგიონერებოდ გარეშე წავალთ. ყოველ შემთხვევაში, წამყვანი ლეგიონერები ნამდვილად არ გვეყოლება. ვლადიმერ რუსია, რატი მსხვილიძე და რეზო ჭანტურია დეკემბრის ბოლომდე ვერ ჩამოდიან, ხოლო სერგო დათუკიშვილი ნაახალწლევს, ბოლო შეკრებაზე შემოგვიერთდება.

**- ამ ოთხეულის გარდა, კიდევ რომელი ლეგიონერების მოწვევას აპირებთ?**

- ის ხელბურთელები, რომლებმაც ახლახან „ჩელენჯ ტროფის“ თბილისურ ეტაპზე ითამაშეს, კვლავ განიხილებიან ნაკრების კანდიდატებად - შოთა გრიშიკაშვილი, გიორგი კვერნაძე და ანდრო ანდრიაშვილი. თუმცა, სამივეს გამოვიძახებთ თუ არა, ჯერ არ გადაგვიწყვეტია. არაა გამორიცხული, გუნდში დავაბრუნოთ გაქართველებული ბელარუსი სერგეი კირილოვი, რომელიც მაკედონიიდან ბელარუსის ჩემპიონატში გადავიდა.

ამას გარდა, ახალგაზრდული ნაკრებისთვის ვიწვევთ უკრაინული „ბროვარის“ ახალგაზრდული გუნდის ხელბურთელ დავით სულიკაშვილს. უკრაინაშივე, ახლა კლუბის ძიებაშია აკაკი ტალახაძე. როდესაც იგი საკლუბო პრობლემებს მოაგვარებს, მასაც ვუხმობთ.

**- ეროვნული ნაკრების პლიუს-მინუსებზე რას იტყვით, რომელი კომპონენტის დახვეწა სჭირდება ყველაზე მეტად გუნდს?**

- თანამედროვე ხელბურთში, ყველაზე მთავარი საიმედო დაცვაა და ჩვენც სწორედ ამ კომპონენტის დახვეწაზე უნდა ვიმუშაოთ ყველაზე მეტი.

**კობა ხატისაშვილი**

# ჭანტურიას ესპანელები ერგო

ევროპის ხელბურთის ფედერაციამ თავისი სახელობის თასის გათამაშების მერვედფინალური ეტაპის წილისყრა გამართა. როგორც იცით, ევროთასებს ერთადერთი ქართველის - რეზო ჭანტურიას კლუბილა შემორჩა და ჩვენც სწორედ რეზოს მაკედონიური „მეტალურგის“ მეტოქის ვინაობა გვაინტერესებდა.

„მეტალურგს“ ევროპის ერთ-ერთი გრანდის - ესპანეთის წარმომადგენელი „ფრაიკინ გრანოლერსი“. „მეტალურგისა“ და „ფრაიკინ გრანოლერსის“ მატჩები გაიმართება 2008 წლის 9 ან10 და 16 ან17 თებერვალს.

ციგურაობა

# ტოკიოში, იტალიის საგზურისთვის

დღეიდან ტოკიოში იწყება ფიგურულ ციგურაობაში ISU-ს გრან-პრის მორიგი ტურნირი, NHK ტროფი. ქალთა შორის 11 მონაწილეს შორის 17 წლის ქართველი **ელენე გედევანიშვილია.** თავიდან „სკეიტ ამერიკის“ დარად იაპონიაშიც 12 მოციგურავე მიიწვიეს, თუმცა აქაც ფინელი გამოაკლდათ, ამჯერად **სუზანა პოიკიო.** მონაწილეთა შორის სამი იაპონელია: **მიკი ანდო, მაი ასადა** და **ნანა ტაკედა.** მათ გარდა ისრიალებენ: კანადელი **ლესლი ჰოუკერი,** ჩინელი **იან ლიუ,** ფინელი **ლაურა ლეპისტო,** იტალიელი **კაროლინა კოსტნერი,** კორეელი **ჩაე-ჰვა კიმი,** შვეიცარიელი **სარა მაიერი** და ამერიკელი **ალისა შისნი.** ელენე მეორე ჯგუფში მოხვდა, სადაც მეორე ნომრით ისრიალებს. პირველ ჯგუფში მოხვდნენ: კიმი, ჰოუკერი, ლიუ, ასადა და ლეპისტო. შესვენების შემდეგ ყინულზე ტაკედა გავა, ელენეს შემდეგ კი შისნი, კოსტნერი, მაიერი და ასადა აღნიშნული თანამიმდევრობით იასპარეზებენ. ქალთა მოკლე პროგრამა ხვალაა, გედევანიშვილი „კაბარეს“ მუსიკაზე ისრიალებს. 1 დეკემბერს ელენე გედევანიშვილი თავისუფალ პროგრამას „სასიყვარულო ისტორიის“ ფონზე შეასრულებს. გუშინ ტოკიოში გახსნის ცერემონიალი გაიმართა, მანამდე კი მონაწილეებმა ივარჯიშეს.

ტოკიოს ეტაპი გრან-პრის სერიის ბოლო ეტაპია, აქამდე ხუთი ეტაპი გაიმართა, პირველი კი „სკეიტ ამერიკა“ იყო. ელენემ სწრედ პირველში იასპარეზა. სულ თითოეულ სპორტსმენს სერიის ექვსიდან მხოლოდ ორ ეტაპზე ინვევენ. ამერიკაში ქართველმა მოკლე პროგრამა ჩააგდო, თუმცა შემდეგ ძალიან კარგად ისრიალა საბოლოოდ მე-6 ადგილი დაიკავა. გრან პრის ჩათვლაში გედევანიშვილს ხუთი ქულა და ნაკლები შანსი აქვს დეკემბერში გასამართ ფინალურ გრან-პრიზე მოხვდეს, რომელიც იტალიაში გაიმართება. ამისთვის მას იაპონიაში ალბათ პოდიუმზე მოხვედრა დასჭირდება. NHK ტროფის საპრიზო ფონდი 180 ათასი დოლარია.



ელენე გედევანიშვილი

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სუმო



ტოჩინოშინი (მარცხნივ)

# ქართველი გოლიათის გული

გუშინ ხუთმა სუმოისტმა ოფიციალურად მიიღო სეკიტორის რანგი. მათ შორის ერთი 20 წლის **ლევან გორგაძეა,** ვინც იაპონიაში **ტოჩინოშინ ცუიოშის** საბრძოლო სახელით ასპარეზობს. სეკიტორი ყველა ის რიკიშია, ვინც ორ ელიტურ დივიზიონში ჭიდაობს: მაკუუჩიში და ძურიოში, მათი რიცხვი დაახლოებით 70-ია. სეკიტორი უბრალო სუმოისტისგან ბევრი რამით განსხვავდება, ეს შეეხება ანაზღაურებას, ცქიფიტოს ანუ მოახლის ყოლის უფლებას და სხვა. სეკიტორები ბაშოზე 15-დღიან ბრძოლებს მართავენ - მოკლედ ლევან გორგაძისთვის ნამდვილი სუმო ახლა იწყება. პირველად ქართველებს ორი სეკიტორი გვეყოლება, **კოკაი (ლევან ცაგურია)** უმაღლეს დივიზიონში და ტოჩინოშინი მეორეში.

ტოჩინოშინთან ერთად ძურიოში გადაიყვანეს მისი კლუბელი 26 წლის **კიმურიამა,** 23 წლის მონღოლი **ტამავაში,** 23 წლის **ვაკაროუ** და 24 წლის **კირინოვაკა.** როგორც ხედავთ, დაწინაურებულთა შორის ყველაზე ახალგაზრდა ქართველია. ლევან გორგაძე საქართველოში სამბოსა და ძიუდოს ჭიდაობდა. ჯერ კიდევ 2005 აპრილში მან ბაქოს საერთაშორისო ტურნირი მოიგო ძიუდოში. იმავე წლის ივლისში მოყვარულ სუმოისტთა ახალგაზრდულ მსოფლიო ჩემპიონატზე ვერცხლის მედალი მოიგო. 2006 წლის მარტიდან ის პროფესიონალი გახდა და კასუგანოს ბეიაში (კლუბი) ჩაირიცხა.

ახლა ავხსნათ რას ნიშნავს შიკონა (საბრძოლო ნიშანი) ტოჩინოშინი. პირველი იეროგლიფი საერთო კლუბურია, კასუგამოს ბეიას სიმბოლოა და ქართულად ცხენის წაბლს ნიშნავს. მეორე იეროგლიფი გულის აღმნიშვნელია, რაც იმის ნიშანია, რომ კლუბი იმედოვნებს, ქართველი გოლიათი მალე ნამდვილი იაპონელი გახდება. ტოჩინოშინი 191 სმ სიმაღლისაა და 142 კილოს იწონის. კარიერაში მან 66 ორთაბრძოლიდან 54 მოიგო, 15 წააგო და ერთხელ ტრავმის გამო არ გავიდა დოჰიოზე. ნოემბრის ბაშოზე ლევანი მესამე დივიზიონ მაკუშიტაში აღმოსავლეთის პირველი ნომერი იყო, ანუ დივიზიონში ყველაზე მაღალი რანგი ჰქონდა. ქართველს უბრალო დადებითი ბალანსიც ჰყოფნიდა, თუმცა მან ბაშო უკეთ, 5-2 შედეგით დაასრულა. 54 მოგებული ორთაბრძოლიდან უმეტესში (24) მან იორიკირის ილეთი გამოყენა, 5-5-ჯერ კი ოშიდაში და იორიტაოში. მარცხშიც იორიკირი და ოშიდაში ჭარბობს - 3-3. ლევანს ერთ ბაშოზე ორზე მეტჯერ არასოდეს წაუგია. მან 11 ბაშოში შეძლო ძურიოს დივიზიონში გადასვლა, რაც ძალიან კარგი შედეგია. ტამავაშის და ტოჩინოშინის აღზევებით ახალი რეკორდი დამყარდა - უცხოელი სეკიტორების რიცხვი 21 გახდა. ამათგან 13 მონღოლია, სამი რუსი, ორი ქართველი, თითო ბულგარელი, ესტონელი და კორეელი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაგბი — ლეგიონერები



მარჯვნივ აქსენტი გიორგაძე

LOYALCAPITAL group
ქვარციტი QUARTZITE
BTA Silk Road Bank

# ლაბაძე ისევ ლიდერია

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატი ორკვირიანი საევროთასო პაუზის შემდეგ განახლდა. I დივიზიონში სამი ტურის შემდეგ ლიდერთა შორის ქართველ მორაგბეთა არცერთი გუნდი არაა, სატურნირო ცხრილის ბოლო ორი საფეხური კი „ქართულ გუნდებს“, „ბრივსა“ და „ოშს“ უჭირავთ.

**მამუკა მაგრაქველიძის** „ოში“ მესამე ტურში **ირაკლი გიორგაძის** „დაქსს“ სტუმრობდა და 6:16 დამარცხდა. გიორგაძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა, მაგრაქველიძე განაცხადში არ იყო.

სტუმრად „ალბისთან“ გაიმარჯვა **დავით ზირაქაშვილისა და გოდერძი შველიძის** „კლერმონმა“ 12:6 და საგრძნობლად გაიუმჯობესა სატურნირო მდგომარეობა. ზირაქაშვილი თამაშში 36-ე წუთიან ჩაერთო, შველიძე განაცხადში არ იყო.

**მამუკა გორგოძის** „მონპელიემ“ საკუთარ მოედანზე დაარცხა **აქსენტი გიორგაძის** „კასტრი“ 25:9. გორგოძე შეხვედრაში 68-ე წუთიდან ჩაერთო, გიორგაძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა.

**დავით ხინჩაგიშვილის** „ბრივი“ სტუმრად ვერაფერს გახდა „მონტობანთან“ 13:43. ხინჩაგიშვილი ტრავმირებულია და თამაშში მონაწილეობა არ მიუღია. ასევე სტუმრად წააგო **ავთანდილ კოპალიანის** „ბაიონმა“ ქვეყნის ჩემპიონ „სტად ფრანსესთან“ 6:46. ამ შეხვედრამაც ქართველი მორაგბის გარეშე ჩაიარა.

კრიზისულ მდგომარეობაშია საფრანგეთის ბოლო წლების ერთ-ერთი აღიარებული ლიდერი, **გიორგი ჟღენტის** „ბიარიცი“. ბასკურმა გუნდმა თავისთვის უჩვეულოდ წარუმატებელი სტარტი აიღო. მესამე ტურში ისინი შინ დამარცხდნენ „ტულუზთან“ 6:18. ამ შეხვედრაში სერიოზულად დაშავდა ქართული წარმოშობის 9 ნომერი **დიმიტრი იაშვილი**, რომელიც ამ ტრავმის გამო „ბიარიცს“ ორი თვით დააკლდება. რაც ამ გუნდის არცთუ სახარბიელო მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს.

საფრანგეთი. I დივიზიონი. III ტური. **სტად ფრანსე-ბაიონი 46:6, ბიარიცი-ტულუზი 6:18, პერპინიანი-ბურგუენი 3:3, მონტობანი-ბრივი 43:13, მონპელიე-კასტრი 25:9, დაქსი-ოში 16:6, ალბი-კლერმონი 6:12.**

სატურნირო მდგომარეობა: **1. ტულუზი - 13 ქულა, 2. მონტობანი - 10, 3. ბურგუენი - 10, 4. სტად ფრანსე - 9, 5. კლერმონი - 9, 6. ბაიონი - 9, 7. მონპელიე - 8, 8. ალბი - 7, 9. ბიარიცი - 6, 10. კასტრი - 5, 11. დაქსი - 5, 12. პერპინიანი - 4, 13. ბრივი - 2, 14. ოში - 1.**

II დივიზიონში ხუთი ტურის შემდეგ ისევ დაუმარცხებლად ლიდერობს **გია ლაბაძის** „ტულონი“. ლაბოს გუნდმა ამჯერად შინ სძლია „ბორდოს“ 37:7. ლაბაძე განაცხადში არ იყო.

მოულოდნელად შინ დამარცხდა **ლევან ლვაბერიძის** „გრენობლთან“ მატჩში ერთ-ერთი ლიდერი, **გიორგი კუთარაშვილის** „ნარბონი“ -12:23. კუთარაშვილი თამაშში 59-ე წუთიდა ჩაერთო. ლვაბერიძეს ისევ არ უთამაშია.

კვლავ წარმატებით ასპარეზობს **მერაბ კვირიკაშვილის** „პო“. მეკოს გუნდმა შინ **იგორ ბარბაქაძის** „ტარბი“ დაამარცხა 19:7. ქარველებს თამაშში მონაწილეობა არ მიუღიათ. სტუმრად მინიმალური ანგარიშით 14:15 დამარცხდა „ლიმოჟთან“ **ირაკლი მაჩხანელის** „მონ დე მარსანი“. მაჩხანელმა თაიდან ბოლომდე ითამაშა.

ასევე სტუმრად წააგო „მეტრო რასინგთან“ **დავით აშვეთიას** „ოიონაქსმა“ 10:19. აშვეთია 53-ე წუთზე შეცვალეს. **მალხაზ ურჯუკაშვილის** „ორიაკმა“ კი შინ მოუგო „ლიონს“ 29:21. მახო ჯერ ისევ ტრავმას იშუშებს.

II დივიზიონი. V ტური. **ნარბონი-გრენობლი 12:23, ლა როშელი-ბლანიაკი 28:11, ტულონი-ბორდო 37:7, პო-ტარბი 19:7, მეტრო რასინგი-ოიონაქსი 19:10, ლიმოჟი-მონ დე მარსანი 15:14, ორიაკი-ლიონი 29:21**

სატურნირო მდგომარეობა: **1. ტულონი - 23 ქულა, 2. აჟენი - 17, 3. მეტრო რასინგი - 16, 4. პო - 15, 5. მონ დე მარსანი - 14, 6. ორიაკი - 13, 7. ლა როშელი - 13, 8. გრენობლი - 13, 9. ნარბონი - 12, 10. ლიონი - 10, 11. ბეზიე - 10, 12. ოიონაქსი - 9, 13. ლიმოჟი - 7, 14. ბორდო - 6, 15. ბლანიაკი - 3, 16. ტარბი - 3.**

## რაგბის კავშირი აზუსტებს

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში დაიბეჭდა ინფორმაცია რაგბის კავშირის მიერ ასაკობრივ ნაკრებების მწვრთნელების დანიშვნის შესახებ. კავშირის ხელმძღვანელების განმარტებით მწვრთნელების ოფიციალურად, ბრძანებით დანიშვნა მომავალი წლის იანვარში მოხდება. მანამდე კი გამორიცხული არაა, გარკვეული ცვლილებები მოხდეს.

ჭადრაკი — მსოფლიოს ასაკობრივი ჩემპიონატები

# პაიკიძე და ნანალაშვილი მსოფლიო ჩემპიონები არიან

**გუშინ თურქეთის კურორტ ანთალიაში დასრულდა მსოფლიო ჩემპიონატი ასაკობრივ ჯგუფებში და ჩვენდა გასახარად საქართველოში ორი მსოფლიო ჩემპიონი დაბრუნდება: 14 წლამდელებში ნაზი პაიკიძემ იპირველა, 16 წლამდელებში კი ქეთი ნანალაშვილი გახდა უძლიერესი.**

როგორც ჩვენი მიმოხილვებიდან იცოდით, ნაზიც და ქეთიც მთელი ტურნირის მანძილზე ლიდერობდნენ და მხოლოდ ერთი-ორჯერ თუ მოგვცეს დაეჭვების საფუძველი, როცა მეტოქეები მიუახლოვდნენ. ნანალაშვილს ორჯერ ჩამოართვეს კიდეც პირველობა. განსაკუთრებით შეგვაშფოთა ქეთის პოზიციამ, როცა ბოლო ტურის წინ მისი გადასწრება რუსმა ოლგა გირიამ შეძლო: ქეთიმ მეათე ტურში თეთრებით უკრაინელი ოლგა ივანენკოს დამარცხება ვერ შეძლო, ხოლო გირიამ გამარჯვება მოახერხა და ქართველს ნახევარი ქულით გადაუსწრო.

მეთერთმეტე ტურში რუსი შავებით ხვდებოდა თურქ კუბრა ოზთურქს, ქეთი კი, ასევე შავებით, ყაზახ გულისრან ნახბაევას დაუპირისპირდა. სიმართლე ითქვას, აღარ გვეჯერა ქეთის ჩემპიონობისა, თუმცა, კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ თურქული ჭადრაკი ალმავლობას განიცდის და მათი ანგარიშში ჩათვლაც საჭიროა: კუბრამ ოლგა დაამარცხა და ამით დიდებული საჩუქარი გაუკეთა ნანალაშვილს. თუმც, თურქის მოგება ყველაფერს არ ნიშნავდა - ქართველს თავადაც უნდა ევაუკაცა - არ უნდა წაეგო; ამ შემთხვევაში გირიას ქულებით გაუსწორდებოდა და რახან კოეფიციენტი ყველაზე კარგი ჰქონდა უპირატესობა მიენიჭებოდა. ქეთიმაც ყაზახ მეტოქეს ყაიმი შესთავაზა. საბოლოოდ ოთხმა მოჭადრაკემ დააგროვა 8,5 ქულა, მაგრამ დამატებითი მაჩვენებლით ჩემპიონად ქეთი ნანალაშვილი გამოცხადდა.

არანაკლები ინტრიგა ახლდა 14-წლამდელ გოგონათა შორის მიმდინარე ტურნირს. აქ ქართველთა საერთო უპირატესობა თავიდანვე აშკარა იყო: რეიტინგით პირველი **ნაზი პაიკიძე** სულ ლიდერობდა, მაგრამ გარდა ნაზისა კიდევ ორი ჩვენებური - **მარიამ დანელია** და **მერი არაბიძე** აცხადებდნენ ჩემპიონობაზე პრეტენზიას. ბოლო ტურის წინ გადამწყვეტ ბრძოლაში დანელია თეთრებით პაიკიძეს დაუპირისპირდა; არაბიძე კი - ასევე თეთრებით პერუელ დეისი კორის. პერუელი მოჭადრაკე მეორე ადგილზე იყო 8 ქულით; პაიკიძეს - 8,5 ჰქონდა და თუკი დანელიასთან დამარცხდებოდა და პერუელი არაბიძეს მოუგებდა, პირველობას ვკარგავდით. თავის მხრივ დანელიასაც ჰქონდა ამბიცია - პაიკიძეს ერთი ქულით ჩამორჩებოდა და თუკი მოუგებდა, გაუთანაბრდებოდა, მხოლოდ ვერ გადაასწრებდა - ისევ და ისევ ცუდი კოეფიციენტის გამო. საბედნიეროდ, არაბიძემ მისხალი შანსიც არ მისცა მეტოქეს და მოუგო; 8,5 ქულა დააგროვა და პირველ დაფაზე მიმდინარე შეხვედრის ანგარიშს დაელოდა. მის ინტერესში უკვე პაიკიძის მოგება იყო, რადგანაც მეორე ადგილს ინაღდებდა. ცხადია, არაბიძის გამარჯვებამ პაიკიძეს ფსიქოლოგიური ტვირთი მოხსნა და დაპირისპირება სრული სცენარით წარმართა - ყველაზე საინტერესო ქართული დერბი ნაზის გამარჯვებით დასრულდა და მსოფლიოში უძლიერესის სახელი მოიპოვა. ქულათა მარაგიც შესანიშნავია - 9,5 ქულა 11 შესაძლებლიდან. მეორე ადგილი არაბიძეს ერგო და ესეც დიდებულია. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მეტი საპრიზოს მოპოვება ქარველმა დელეგაციამ ვერ შეძლო.

ქვემოთ ყველა ჩვენებურს შედეგებს ჩამოვწერთ და კარგად დავინახავთ, რომ რამდენიმეს შეეძლო საპრიზოზე გასვლა, მაგრამ ბოლო მომენტში ვერ ივარგა. საერთო ჯამში ქართველთა გამოსვლა მაინც დადებითად უნდა შეფასდეს - 2 ოქროდა ერთი ვერცხლი ყველა წარუმატებლობას გადაწონის. თუმც იმასაც კარგად შეამჩნევს დაკვირვებული თვალი, რომ რამდენიმე გამონაკლისის გარდა, რეიტინგის მიხედვით წინასაშეჯიბროდ მიკუთვნილი ადგილები ჩვენებურებმა გააუმჯობესეს. შესაბამისად მოიმატეს რეიტინგებშიც. ყველას მაჩვენებელს აქ ვერ ჩამოვთვლით, მაგრამ ჩემპიონების რეიტინგის მატებას მოგახსენებთ: ნაზი პაიკიძემ 8 პუნქტი შეიმატა, ქეთი ნანალაშვილმა კი - 33!

ამ კუთხით ქართველებში საუკეთესო მაჩვენებელი **თინათინ ბერიძეს** აქვს - +46. თინათინი 16-წლამდელებში თამაშობდა და შესანიშნავად ჩატარებული პირველი ნაწილის შემდეგ, ბოლოსკენ უკლო, საბოლოოდ კი მეთორმეტე ადგილზე გავიდა 7 ქულით. ამ ასაკში შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონი **სოფიკო გურამიშვილი** თამაშობდა. ამჯერად სოფომ პირველობა ვერ შეძლო, მაგრამ ფინიშის სწორზე ოდნავ გამოასწორა თამაში და ზედიზედ რამდენიმე გამარჯვებით 8 ქულას მოუყარა თავი, ცხრილშიც საკმაოდ მაღალი ადგილი დაიკავა - მეექვსე. სუსტად ითამაშა **სალომე ხაჟომიამ**, რომელიც ამავე ასაკში ცდიდა ძალებს. სალომემ შარშან მესამე ადგილი დაიკავა, ამჯერად - მეოცე, რაც რეიტინგში 15 პუნქტის დაკარგვად დაუჯდა.

მეათე ტურში რომ თეთრებით არ წაეგო **ლევან ბრეგაძეს**, რომელიც 16 წლამდელებში გამოდიოდა, დიდი შანსი ჰქონდა ჩემპიონობისა. სამწუხაროდ, დამარცხდა და ბოლო ტურში მოგებამ მხოლოდ მეექვსე ადგილი არგუნა.

ასეთივე შანსი ჰქონდა 12-წლამდელებში მოთამაშე **ირაკლი ბერაძეს**, მაგრამ ბოლო ტურში უკრაინელ **ილია ნიჟნიხთან** ბოლო ტურში თეთრებით დამარცხდა და მეშვიდე ადგილით დაკმაყოფილდა. არადა, რომ მოეგო, მინიმუმ ვერცხლს ინაღდებდა.

ასეთი დანაკარგები, სამწუხაროდ, იყო და ახლა არაფერი ეშველება. ერთი კი არის: ქართველ გულშემატკივარს ნამდვილად შეიძლება ჰქონდეს მომავლის იმედი და თუკი ამ ნიჭიერ ბავშვებს ქვეყანა სათანადოდ მიხედავს, უფრო დიდი გამარჯვებებიც არ დაახანებს. უცნაურია, მაგრამ სრული უყურადღებობის პირობებში ბავშვები მაინც ახერხებენ და მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები ხდებიან. ვინმეს ყურს ეგებ ეხამუშოს ამ სიტყვების მოსმენა, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონატზე ქართული დელეგაცია - 60 კაცი, ერთი ავტობუსით გაემგზავრა და გზაში 40 საათი გაატარა...

გუშინ ჩვენები სწორედ ამ დამღლელ, ორი დღის სავალ გზას დაადგებოდნენ და სამშობლოში ხვალ სალამოსთვის ჩამობრძანდებიან. სამწუხაროდ, მათ შორის ვერ იქნება ნაზი პაიკიძე, რადგანაც ის უკვე მეორე წელია მოსკოვში ცხოვრობს და უკანვე გაბრუნდება. შეგახსენებთ, ნაზიმ ორი თვის წინ ხორვატიის ქალაქ შიბენიკში ამავე ასაკში ევროპის ჩემპიონის ტიტულიც მოიპოვა. ასე რომ, წლევანდელი წელი მისთვის ყველაზე წარმატებული იყო.

ზვიად შათირიშვილი

| |
|---|
| **8 წლიანები. ბიჭები:** |
| 1. კონსტანტინ სავენკოვი (რუს) - 10 |
| 49. ალექსანდრე ფანსენკო - 6 |
| 116. ნიკოლოზ [illegible]ანტურია - 2,5 |
| **გოგონები:** |
| 1. მარია ფურტადო (ინდ) - 9 |
| 15. თინათინ ლალაძე - 7 |
| 17. ნინო ჯალაღონია - 7 |
| 10 წლამდელები. ბი[illegible]ები: |
| 1. ტინკ სენ ვანკი (ჩინ) - 10 |
| 24. ნიკოლოზ ქუმსიაშვილი - 7 |
| 56. ნოე თუთისანი - 6 |
| 112. მამუკა ანთაძე - 4,5 |
| **გოგონები:** |
| 1. ანა სტიაჟკინა (რუს) - 9,5 |
| 7. მარიამ [illegible]ოლაძე - 8 |
| 55. ნინო ხომერიკი - 5,5 |
| 12 წლამდელები. ბი[illegible]ები: |
| 1. დანიელ ნაროდიცკი (აშშ) - 9,5 |
| 7. ირაკლი ბერაძე - 8 |
| 46. აკაკი რუხაძე - 6,5 |
| **გოგონები:** |
| 1. მარსელ ეფროიმსკი (ისრ) - 9,5 |
| 12. ნანი უნაფქოშვილი - 7,5 |
| 28. ანა კუ[illegible]ავა - 6,5 |
| 32. ანა შამათავა - 6,5 |
| 37. ნატო იმნაძე - 6,5 |
| 14 წლიანები. ბი[illegible]ები: |
| 1. სანან ჟუგიროვი (რუს) - 9 |
| 25. გიორგი ნიკოლიშვილი - 7 |
| 26. ზურაბ ჯავახაძე - 7 |
| 106. გიორგი ცირეკიძე - 4,5 |
| **გოგონები:** |
| 1. ნაზი პაიკიძე - 9,5 |
| 2. მერი არაბიძე - 8,5 |
| 9. მარიამ დანელია - 7,5 |
| 36. ნათია ჯალაბაძე - 6 |
| 37. ლელა უგულავა - 6 |
| 16 წლიანები. ბი[illegible]ები: |
| 1. იონ კირილა (რუმ) - 8,5 |
| 6. ლევან ბრეგაძე - 8 |
| 16. დავით ბენიძე - 7 |
| 25. დავით ლომსაძე - 7 |
| **გოგონები:** |
| 1. ქეთი ნანალაშვილი - 8,5 |
| 6. სოფიკო გურამიშვილი - 8 |
| 12. თინათინ ბერიძე - 7 |
| 20. სალომე ხაჟომია - 7 |
| 29. სალომე სირაძე - 6,5 |
| 18 წლიანები. ბი[illegible]ები: |
| 1. ივან პოპოვი (რუს) - 9 |
| 21. გიორგი მარგველაშვილი - 1,5 |
| **გოგონები:** |
| 1. ვალენტინა გუნინა (რუს) - 9 |
| 12. მირანდა მიქაძე - 7 |
| 21. მერი ყორყოლიანი - 6,5 |
| 23. ქრისტინე მჟავია - 6,5 |

ძიუდო

# წლეულს ბოლო, იანვარში პირველი...

საქართველოს ძიუდოს ეროვნულმა ფედერაციამ, როგორც „ლელოს“ მკითხველებისთვის კარგადაა ცნობილი, წარმატებით დაამთავრა მიმდინარე სპორტული სეზონი, ჩვენი ძიუდოს რეპუტაცია ამაღლდა და განმტკიცდა საერთაშორისო სპორტულ სარბიელზე. წლეულს, სპორტული კალენდრით ჩასატარებელი დარჩა მხოლოდ ერთი საშინაო ასპარეზობა - საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი, რომელსაც 8-9 დეკემბერს ვერის ბაღის სპორტული დარბაზი უმასპინძლებს.

ახალი, 2008 წლის სპორტული სეზონი გაიხსნება თბილისის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირით, რომელიც, როგორც ცნობილია, მსოფლიო თასის რანგისაა და პირველია იმ ხუთი საოლიმპიადო სალიცენზიო ტურნირიდან, რომელიც გაისად გაიმართება. ტურნირის მაღალ და გამორჩეულად ორგანიზებულ დონეზე ჩასატარებლად სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტთან ერთად, აქედანვე აქტიურად შეუდგა მუშაობას ძიუდოს ეროვნული ფედერაცია. ტურნირამდე უკვ ერთ თვეზე ნაკლები (26-27 იანვარი, 2008 წ) რჩება. ასპარეზობა ჩატარდება თბილისის სპორტის სასახლეში და, ამიტომაც, ბუნებრივია, ეს სპორტული ობიექტია ახლა, ძირითადად, ყურადღების ცენტრში.

გუშინ, ფედერაციის ხელმძღვანელებმა სპორტის სასახლის მუშაკებთან ერთად, გულდასმით დაათვალიერეს ჩვენი ქვეყნის ეს მთავარი ჭერქვეშა სარბიელი და დაწვრილებით შეისწავლეს ტურნირის მაღალ დონეზე მასპინძლობასთან დაკავშირებული საკითხები. „მთავარი გათბობაა, რაც უახლოეს პერიოდში მოგვარდება, ამის შესახებ გარანტია მივიღეთ სასახლის დირექციისგან. სხვა დანარჩენი რიგითი საკითხია, რომლებიც უპრობლემოდ მოგვარდება“, - გვითხრა ძიუდოს ეროვნული ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **ანზორ მარტყოფლიშვილმა**.

როგორც ცნობილია, სპორტის სასახლის იჯარა დღეში 20 ათასი ლარი ჯდება. ორდღიანი ტურნირისთვის საჭირო იქნება 40 ათასი. განა შეძლებს ფედრეაცია ასეთი სოლიდური თანხის გადახდას? ანზორ მარტყოფლიშვილმა კომენტარისგან თავი შეიკავა. მხოლოდ ის თქვა, რომ ფედერაციას სპორტის დეპარტამენტის და თბილისის მერიის თანადგომის იმედი აქვს.

NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ბოსტონის ტრიოს კლივლენდისამ აჯობა




ძალიან სახალისო რეგულარული მიდის. იმათ, ვისაც დამსახურებული პენსია გამოუწერეს, არ ბერდებიან და პირიქით, წინა წლებზე პროდუქტიულად თამაშობენ, ხოლო ვეება ავანსების მიმღებ ვასკვლავებს კი, არასტაბილურობა დასჩემდათ და ეს მათი გუნდების გამოსვლაზეც აისახება. იგივე შეიძლება ითქვას გუნდებზეც - „მაიამი“ და „ჩიკაგო“ წესით, აღმოსავლეთს უნდა აზანზარებდნენ, მაგრამ ცხრილის ფსკერზე (ალბათ, მაინც დროებით) არიან მოკალათებულნი, სხვები კი ნაბიჯ-ნაბიჯ წინ მიიწევენ და კაცმა არ იცის, ამ გაუგებრობაში ბოლოს თავისას ვინ გაიტანს.

დაბეჩავდნენ უძლიერესი დაცვის მქონე გუნდებიც, ხოლო შეტევაში კი ისეთებიც გამოსწორდნენ, ვისაც თუნდაც შარშან არაფერი გამოსდიოდათ. მოკლედ, საინტერესო და ძნელად პროგნოზირებადი სეზონია და იმედი ვიქონიოთ, ბოლომდე ასე გასტანს.

საინტერესო შეხვედრა გაიმართა ისტ-რუზერფორდში, სადაც **ჯეისონ კიდმა** კარიერაში 91-ე (!) სამმაგი დუბლი გააკეთა, **ვინს კარტერმა** მიმდინარე რეგულარულში საუკეთესო მატჩი ჩაატარა, **რიჩარდ ჯეფერსონმა** თავისი წილი ქულები ამჯერადაც უპრობლემოდ მოიხვეჭა, თუმცა „ნეტსი“ მაინც დამარცხდა.

ამ მატჩამდე „ნიუ ჯერსის“ ზედიზედ სამი შეხვედრა მოეგო, ხოლო „მემფისს“ კი გასვლაზე მიყოლებით ხუთი მატჩი ჰქონდა წაგებული. ორივე სერია დასრულდა.

„ნიუ ჯერსიმ“ მძიმედ, ბევრი შეცდომით დაიწყო შეხვედრა და თითქმის მთელი მატჩი მდევრის როლში იყო, ხოლო ძირითადის დასრულებამდე 5 წუთით ადრე კი, **გასოლის** საშუალო სროლით „მემფისი“ 95:87 დაწინაურდა.

ამას ჯეფერსონისა და კარტერის ზედიზედ ორი ზუსტი სროლა მოყვა და სამ წუთში „ნეტსი“ უკვე მინიმუმამდე (98:99) მიუახლოვდა ოპონენტს, მაგრამ ნავაროს ზედიზედ ოთხმა ქულამ შეხვედრას საბოლოო წერტილი დაუსვა.

■ ■ ■

გადავინაცვლოთ კლივლენდში, სადაც **ლებრონ ჯეიმსმა** მორიგი სპექტაკლი დადგა, რომლის მსხვერპლიც იქამდე ერთადერთხელ დამარცხებული „ბოსტონ სელტიქსი“ გახდა.

„დიდი სამეულებიდან“ „სელტიქსის“ ტრიო (**კევინ გარნეტი, რეი ალენი** და **პოლ პირსი**) ლიგაში ერთ-ერთი საუკეთესოა, თუმცა ნამატჩევს ლებრონი ხუმრობდა - ასეთი ტრიო ჩვენც გვყავს, თუმცა ჟურნალისტებს ჩვენს შესახებ წელს ერთხელაც არ გისაუბრიათო. „კავალიერსის“ ლიდერმა საკუთარი თავი, **ჟიდრუნას ილგაუსკასი** და **დრიუ გუდენი** იგულისხმა.

„კლივლენდის“ ტრიო „ბოსტონის“ მეგავარსკვლავებთან იქნებ სახსენებელიც არ იყოს, მაგრამ ამ დღეს, აღმოსავლეთის საუკეთესო გუნდთან ბრძოლას მარტო ლებრონი ვერ მოაგებდა.

„კლივლენდმა“ მაქსიმალურად შეუზღუდა სათარეშო ზონა სტუმართა მთავარ „მკვლელს“, გარნეტს, რომელმაც თავისი საშუალო შედეგიანობა კი დააფიქსირა, მაგრამ მხოლოდ 5 მოხსნა მიითვალა და აქტიურ გუდენთან და „გამგელებულ“ ლებრონთან ჭიდილში 5 ფოლიც მიიღო, რის გამოც გადამწყვეტი წუთები ფრთხილად, ჩვეული აგრესიულობის გარეშე ჩაატარა.

საბოლოოდ, „კავალიერსისა“ და „სელტიქსის“ სამეულების ჭიდილში მასპინძლებმა 77:64 იმარჯვეს.

ლებრონი „ბოსტონთან“ მატჩს არაჩვეულებრივი სტატისტიკით შეხვდა. „სელტიქსთან“ დაპირისპირებამდე, ჯეიმსი ბოლო 6 მატჩში საშუალოდ 37.2 ქულა, 10.2 მოხსნასა და 9.5 შედეგიან გადაცემას უყრიდა თავს, რაც ლიგის ისტორიაში ლებრონამდე მხოლოდ **უილტ ჩემბერლენსა** (1964) და **ოსკარ რობერტსონს** (1965) გაუკეთებიათ.

**კლივლენდ-ბოსტონი 109:104 (ო)**

26:20, 20:29, 28:23, 18:20, 17:12

**კლივლენდი:** ლ. ჯეიმსი (38 ქ. 13 პ. 4 მ. 2 ჩ. 2 დ), გუდენი (24 ქ. 13 მ), პავლოვიჩი (16 ქ. 5 მ. 3 ჩ), ილგაუსკასი (15 ქ. 14 მ. 5 პ. 4 დ).

**ბოსტონი:** რ. ალენი (29 ქ. 7 მ. 5 პ. 2 ჩ), გარნეტი (19 ქ. 5 მ. 5 პ. 3 დ), პირსი (16 ქ. 6 მ. 5 პ), პერკინსი (11 ქ. 3 დ. 2 ჩ), პოუსი (11 ქ. 6 მ).

**ნიუ ჯერსი-მემფისი 103:110**

25:28, 20:30, 31:23, 27:29

**ნიუ ჯერსი:** ვ. კარტერი (32 ქ. 9 მ. 7 პ), რ. ჯეფერსონი (27 ქ. 5 პ. 2 ჩ), ა. რაიტი (13 ქ), კიდი (12 ქ. 15 მ. 12 პ).

**მემფისი:** გასოლი (22 ქ. 6 მ. 5 პ), მ. მილერი (19 ქ. 9 პ), ნავარო (16 ქ. 11 მ. 4 პ), დ. სტაუდმაიერი (13 ქ. 6 პ), ლოური (10 ქ. 6 მ).

**მაიამი-შარლოტი 110:90**

23:15, 32:28, 31:19, 24:28

**მაიამი:** რ. დევისი (23 ქ. 3 ჩ), კუკი (19 ქ), შ. ონილი (15 ქ. 6 მ. 3 დ), ჰასლემი (14 ქ), უეიდი (13 ქ. 4 პ. 3 ჩ).

**შარლოტი:** ჯ. უოლასი (16 ქ. 5 მ. 2 ჩ), კეროლი (15 ქ), ფელტონი (14 ქ. 7 პ. 6 მ. 2 ჩ), ჯ. რიჩარდსონი (10 ქ).

**მილუოკი-ფილადელფია 99:114**

18:32, 34:24, 24:29, 23:29

**მილუოკი:** რედი (17 ქ. 8 მ. 3 პ. 2 ჩ), ვილიანოვა (16 ქ), მო უილიამსი (14 ქ. 9 პ. 2 ჩ), ქსიანლიანი (13 ქ).

**ფილადელფია:** დალემბერი (22 ქ. 8 მ. 3 დ), იგუოდალა (20 ქ. 11 პ. 4 მ), კორვერი (20 ქ), ა. მილერი (18 ქ. 9 პ. 8 მ), უ. გრინი (15 ქ. 3 ჩ).

**ჩიკაგო-ატლანტა 90:78**

13:17, 21:13, 36:21, 20:27

**ჩიკაგო:** დენგი (22 ქ. 9 მ), გორდონი (21 ქ. 6 მ), ნოჩიონი (11 ქ. 8 მ), დიუჰონი (11 ქ. 7 პ), ბ. უოლასი (6 ქ. 12 მ).

**ატლანტა:** ჯო ჯონსონი (21 ქ. 5 პ), ჯოშ სმიტი (12 ქ. 7 მ. 6 დ. 4 პ), ს. სტაუდმაიერი (10 ქ), ჰორფორდი (8 ქ. 14 მ).

**დენვერი-ინდიანა 110:112**

25:31, 25:25, 33:26, 27:30

**დენვერი:** აივერსონი (26 ქ. 8 პ. 7 მ. 3 ჩ), ენტონი (25 ქ. 7 მ), ე. კარტერი (17 ქ. 8 მ. 6 პ. 5 ჩ), კლეიზა (14 ქ), ჯეი. არ. სმიტი (13 ქ), ნახერა (10 ქ), კემბი (5 ქ. 12 მ. 5 პ. 5 დ).

**ინდიანა:** მ. დანლივი-უმცროსი (30 ქ), ს. უილიამსი (21 ქ. 11 მ), მ. დენიელსი (15 ქ. 8 პ. 5 მ), ტინსლი (15 ქ. 11 პ. 8 მ. 4 ჩ), მერფი (10 ქ. 8 მ. 2 დ), ფოსტერი (6 ქ. 10 მ).

**ლეიკერსი-სიეტლი 106:99**

30:25, 24:29, 31:19, 21:26

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (35 ქ. 8 მ. 6 პ), ოდომი (20 ქ. 8 მ), ფიშერი (14 ქ. 8 პ), ბინუმი (12 ქ. 10 მ).

**სიეტლი:** დიურანი (25 ქ. 2 დ), უილკოქსი (18 ქ. 7 მ. 2 ჩ), უოტსონი (16 ქ. 6 მ. 6 პ), უილკინსი (10 ქ), კურტ ტომასი (7 ქ. 13 მ. 2 დ).

ავტოსპორტი

ფორმულა 1

# ალონსოს ფერარი უნდა, მაგრამ...

„ფერარის“ ტესტ-პილოტი **მარკ ჟენე** გამოეხმაურა **ფერნანდო ალონსოს** ბოლოდროინდელ განცხადებას - ესპანელმა 2009 წელს „ფერარის“ შემადგენლობაში ჩაირიცხვის სურვილი გამოთქვა. ჟენე მიესალმება ესპანელის მისწრაფებას, მაგრამ იქვე ამბობს, რომ 2009 წელს ასეთი ტრანსფერის განხორციელება შეუძლებელი იქნება. შეგახსენებთ, რომ ალონსო 2008 წლისთვის რომელიმე გუნდთან ერთწლიანი კონტრაქტის გაფორმებას და შემდეგ „სკუდერიაში“ გადასვლას ვარაუდობს.

*„ჩვენს გუნდს უკვე ჰყავს ორი საპრიზო პილოტი. კიმი რაიკონენს „ფერარისთან“ კიდევ ორწლიანი თანამშრომლობა აკავშირებს, ფელიპე მასას - სამი. გუნდი ამ კონტრაქტებს პატივისცემით ეპყრობა და ამიტომაც, 2010 წლამდე „ფერარიში“ ვაკანსიები არ არსებობს. თუმცა მე მესმის ალონსოს მისწრაფება - ნებისმიერი პილოტი ოცნებობს იტალიურ გუნდში მოხვედრაზე“*, - მოჰყავს ჟენეს სიტყვები F1magazin-ს.

■ ■ ■

ერთ-ერთი ის გუნდი, რომელსაც ალონსო თავის კარიერის საშუალო ეტაპად განიხილავდა, „რედ ბული“ გახლდათ.

მაგრამ ამ საჯინიბოს მფლობელმა **დიტრიხ მატეშიცმა** Motorsport Aktuell-სთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ მომავალი სეზონისთვის გამორიცხულია მის გუნდში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის გამოჩენა.

როგორც აღმოჩნდა, მატეშიცს უკვე ჰქონია კონტაქტი „მაკლარენის“ ექსპილოტთან. ალონსოს არ გამოუთქვამს „რედ ბულთან“ მრავალწლიანი კონტრაქტის გაფორმების სურვილი. მატეშიცს კი, თავის მხრივ, ესპანელის ერთი სეზონით დამატება არ უნდა.

*„ფერნანდოს წინადადება ჩვენ არ გვაწყობს. „რედ ბული“ მინიმუმ მომავალი ორი სეზონისთვის ეძებს პილოტს, რათა უკვე 2009 წლის ჩემპიონატში საპრიზო ადგილი დაიკავოს“*, - ამბობს მატეშიცი.



სხვადასხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი

## ლეჰტონენი მალე დაბრუნდება

„ატლანტას“ ძირითადი მეკარე **კარე ლეჰტონენი** გამოჯანმრთელდა და დღეიდან საწვრთნელ პროცესს განაახლებს. ფინელი გოლკიპერი სათამაშო პრაქტიკის აღსადგენად ფარმ-კლუბში გაუშვეს და ის მალე დაუბრუნდება რეგულარული ჩემპიონატის მატჩებს.

შეგახსენებთ, საზარდულის ტრავმის გამო, ლეჰტონენმა 16 მატჩი გამოტოვა. 24 წლის ჰოკეისტის ანგარიშზე NHL-ში ჩატარებული 115 მატჩი მოდის. კარეს კარიერაში 7 შატაუტი აქვს შესრულებული, საშუალოდ მატჩში კი, 2.84 შაიბას უშვებს.

## ეიბიშერი სამშობლოში დაბრუნდა

როგორც ადრე ვიტყობინებოდით, „ფინიქს კოიოტზის“ გოლკიპერმა **დევიდ ეიბიშერმა** ევროპაში დაბრუნება გადაწყვიტა და შვეიცარიის „ლუგანოსთან“ გააფორმა კონტრაქტი.

გაირკვა, რომ ამერიკულმა კლუბმა 29 წლის ჰოკეისტი არენდით გაუშვა შვეიცარიაში. ეიბიშერის კუთვნილ წლიურ ხელფასს (600 ათასი დოლარი) მთლიანად შვეიცარიული გუნდი გადაიხდის.

ეიბიშერს NHL-ში 7 სეზონი აქვს გატარებული. ის „კოლორადოს“, „მონრეალისა“ და „ფინიქსის“ ღირსებას იცავდა და საშუალოდ მატჩში 2.52 შაიბას უშვებდა. შვეიცარიელი „კოლორადოს“ რიგებში სტენლის თასის მფლობელიც იყო.

კალათბურთი

## პიპენი შვედეთში ითამაშებს

NBA-ის ექვგზის ჩემპიონმა **სკოტი პიპენმა** კონტრაქტი გააფორმა შვედურ კლუბ „სუნდსვალ დრეგონზთან“. ამ გუნდის ოფიციალური ვებ-გვერდი იტყობინება, რომ ხელშეკრულების თანახმად, ლეგენდარული ამერიკელი „დრაკონების“ რიგებში ერთ თამაშს ჩაატარებს. 42 წლის ფორვარდს 11 იანვარს, შვედეთის ჩემპიონატში „აკროპოლის“ წინააღმდეგ მოუწევს თამაში.

შეგახსენებთ, რომ NBA-ის ყველა დროის ერთ-ერთმა საუკეთესო კალათბურთელმა მუხლის ტრავმის გამო 2004 წელს დაასრულა კარიერა.

## ჯორჯი პარკეტს უბრუნდება

„დალას მავერიქსის“ ფორვარდი **დევეინ ჯორჯი** რეგულარულ ჩემპიონატს უბრუნდება. კალათბურთელმა მარცხენა ფეხის ტრავმის გამო, ამ სეზონის პირველი 14 მატჩი გამოტოვა, მაგრამ ახლა უკვე შეუდგა სრულფასოვან ვარჯიშებს და უახლოეს მატჩში, მისი დებიუტიც შედგება.

30 წლის ჯორჯი „დალასში“ შარშან ჩაირიცხა, ამ გუნდში 60 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 6.4 ქულასა და 3.6 მოხსნას აგროვებდა.

## გარბახოსა ოპერაცია ვერ გადაურჩა

როგორც უკვე ვიტყობინებოდით, „ტორონტო რეპტორზის“ ესპანელ ლეგიონერს სამედიცინო შემოწმება უნდა გაევლო, რის შემდეგაც დადგინდებოდა, სჭირდებოდა თუ არა მას ტრავმირებულ მარცხენა ფეხზე ოპერაცია. გარბახოსასთვის სამწუხაროდ, ექიმებმა დაადგინეს, რომ კალათბურთელს ოპერაცია უნდა გაუკეთდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ესპანელს სავარაუდოდ სეზონის დარჩენილი ნაწილის გამოტოვება მოუწევს.

ამ სეზონში, გარბახოსა მოედანზე საშუალოდ 10 წუთს ატარებდა, რომლის დროსაც ის 3.1 ქულას და 2.1 მოხსნას ითვლიდა.

## პიტს ბოიკინსი არ სჭირდება

„მაიამი ჰიტის“ ხელმძღვანელობამ უარყო ხმები იმის შესახებ, თითქოს ეს გუნდი 31 წლის გამთამაშებლის, **ირლ ბოიკინსის** დამატებას აპირებდეს.

ბოიკინსმა ამ ზაფხულს თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვა „მილუოკი ბაქსი“ და დღემდე უკლუბოდაა. კალათბურთელს, რომელიც ზუსტი სამქულიანებით არის განთქმული, NBA-ში 484 მატჩი აქვს ჩატარებული. მისი საშუალო სტატისტიკური მონაცემები 14.0 ქულას, 4.5 პასსა და 2.2 მოხსნას უტოლდება.

## სიქსერზი მწვრთნელს არ გაუშვებს

„ფილადელფია სიქსერზის“ შეფობა არ აპირებს გუნდის მთავარ მწვრთნელთან, **მორის ჩიქსთან** განშორებას.

ჩიქსის სავარაუდო წასვლის შესახებ ჭორები მას შემდეგ გაჩნდა, რაც „ფილადელფიამ“ სეზონის სტარტი ჩააგდო. „სიქსერზი“ ატლანტიკის დივიზიონში ბოლო ადგილზე იმყოფება.

„ფილადელფიას“ პრეზიდენტმა და გენერალურმა მენეჯერმა **ბილი კინგმა** განაცხადა, რომ ჩიქსს ხელმძღვანელობისგან სრული ნდობა აქვს მიღებული.

## ჯექსონი ლეიკერსის წინადადებას ელის

„ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ მთავარმა მწვრთნელმა **ფილ ჯექსონმა** გაზეთ Los Angeles Times-სთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ კლუბთან ახალი კონტრაქტისთვის ჯერ არ მოუწერია ხელი.

როგორც იცით, 62 წლის სპეციალისტის 30-მილიონიანი კონტრაქტი სამი წლის იყო გაფორმებული და მას ვადა ამ ჩემპიონატის შემდეგ გასდის. სხვათა შორის, ჯექსონის პიროვნებით „ნიუ იორკ ნიქსია“ დაინტერსებული.

## კლივლენდი კურტ ტომასით დაინტერესდა

„კლივლენდ კავალიერზი“ კვლავაც ცდილობს გაფიცული **ანდერსონ ვარეჟაოს** სხვა კლუბში დასაქმებას. მორიგი ვარიანტია ბრაზილიელის „სიეტლ სუპერსონიქსში“ გაშვება, მის ნაცვლად კი, ვეტერანი ფორვარდის, **კურტო ტომასის** (ამ სეზონში საშუალოდ 5.0 ბქულა და 7.2 მოხსნა) მიღება.

ტომასის კონტრაქტს ამ სეზონის ბოლოს გასდის ვადა და „სიეტლი“ არ მალავს, რომ მზად არის ამ კალათბურთელის გასაცვლელად.

ჩოგბურთი

## ანენი სიდნეიში დაიწყებს

მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა და წლევანდელი სეზონის ტრიუმფატორმა **ჟუსტინ ანენმა** 2008 წლის პირველი ნახევრის გეგმები გააცნო საზოგადოებას. კერძოდ, ბელგიელი ჩოგბურთელი ახალ სეზონს 7 იანვარს დაიწყებს. სწორედ ამ დღეს აიღებს სტარტს სიდნეიში Medibank International-ის ტურნირი.

*„სიდნეიში დაბრუნებას მოუთმენლად ველი. ყველამ იცის, რომ პირადი მიზეზებით, შარშან სეზონის სტარტი გამოვტოვე. ძალიან მეწყინა, ავსტრალიაში თამაშის საშუალება რომ არ მომეცა, რადგან იქ ბევრი რამ მომწონს. სამაგიეროდ, მომავალ წელს ამ დანაკლისს სრულად ავანაზღაურებ“*, - ამბობს ბელგიელი ჩოგბურთელი.

სხვათა შორის, ჟუსტინ ანენს Medibank International ორჯერ - 2004 და 2006 წლებში აქვს მოგებული.

## ცურვა

ახალი ამბები

# პინგისის ახალი დაბრკოლება



ჩოგბურთიდან წასული **მარტინა ჰინგისი** სპორტის ახალ სახეობაში - ცხენოსნობაში შეეცდება ძალების მოსინჯვას. მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს გადაწყვეტილი აქვს კონკურის საერთაშორისო ტურნირში მიიღოს მონაწილეობა. ეს შეჯიბრება ესპანეთის ქალაქ ბარსელონაშია დაგეგმილი.

შვეიცარიის საცხენოსნო ფედერაციამ ჰინგისი და მისი 12 წლის ცხენი - ლეტიცია უკვე გაამგზავრა ბარსელონაში. ტურნირის ჩატარება 7-9 დეკემბერს არის დაგეგმილი. შვეიცარიელ ჩოგბურთელს საკმაოდ სერიოზული გამოცდა ელის, რადგან მარტინას და მის ბედაურს 130 სანტიმეტრი სიმაღლის ბარიერების დაძლევა მოუწევს.

ცნობილია, რომ 27 წლის ჰინგისი საცხენოსნო სპორტით ბავშვობიდან არის გატაცებული. ბოლო დროს კი, ჩოგბურთელმა საკუთარი პირადი ცხოვრებაც ამ სპორტს დაუკავშირა. როგორც უკვე ვიუწყებოდით, მარტინას ახალი ბოი-ფრენდია 38 წლის უკრაინელი მილიონერი **ალექსანდრ ონიშჩენკო**, რომელიც უკრაინის საცხენოსნო სპორტს ფედერაციის პრეზიდენტია.

# ჩოგბურთი და უძრავი ქონება



თავის დროზე, ესპანელი **ხუან კარლოს ფერეროსა** და ამერიკელი **ანდრე აგასის** საჩოგბურთო გზები ხშირად იკვეთებოდა. სხვადასხვა დროს, ისინი ATP-ის რეიტინგში პირველ ადგილსაც იკავებდნენ. ახლა კი, როცა აგასი დიდი სპორტიდან წასულია, ფერერომ გადაწყვიტა ამერიკელს სხვა საქმეში გაეჯიბროს. კერძოდ, ესპანელმა გაიზიარა ანდრეს გატაცება უძრავი ქონების მიმართ. ხუან კარლოსმა ვალენსიას ახლოს საკუთარი სასტუმრო გახსნა. შეგახსენებთ, რომ ანდრე აგასი და მისი მეუღლე **შტეფი გრაფი**, კოსტა რიკაში და აიდაჰოს შტატში აშენებული სასტუმროების მფლობელები არიან.

ოთხი წლის წინ, თავისი მწვრთნელის **ანტონიო მარტინესის** რჩევით, ფერერომ მე-19 საუკუნის შენობა და 120 ათასი კვადრატული ფუნტის ოდენობის მიწის ნაკვეთი შეიძინა. რეკონსტრუქციას სამი წელი დასჭირდა და საერთო ჯამში, ამისთვის 11 720 000 დოლარი დაიხარჯა. სასტუმრო 12 აპარტამენტისგან შედგება, მას აქვს საცურაო აუზი, ორი რესტორანი და რაც მთავარია, შესანიშნავი საჩოგბურთო კორტები. ნომრის ფასი ერთ ღამეში 250-დან 990 ევრომდე მერყეობს.

ფერეროს იმედი აქვს, რომ ეს სასტუმრო დაკავშირებული იქნება მის მეორე ბიზნეს-პროექტთან. ეს გახლავთ ATP-ის ტურნირი - Open de Tenis de la Comunidad Valenciana, რომლითაც იწყება ხოლმე ევროპაში თიხნარის ტურნირების სეზონი. ფერერო ვარაუდობს, რომ შეჯიბრების სტუმრების ნაწილი მის სასტუმროში გაჩერდება.

# ნალბანდიანი ავტომრბოლია

ცნობილია, რომ თავიანთი უშუალო პროფესიის გარდა, ჩოგბურთელებს სხვადასხვა გატაცებები აქვთ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, **მარტინა ჰინგისს** ცხენოსნობა იტაცებს, ესპანელი **რაფაელ ნადალი** ხშირად თამაშობს ფეხბურთს, რაშიც მას თავისი ბიძა, „ბარსელონას" და ესპანეთის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი **მიგელ ანხელ ნადალი** ეხმარება. რაც შეეხება წლევანდელი სეზონის დასკვნითი ნაწილის ტრიუმფატორს, ზედიზედ ორი მასტერსის მომგებ **დავიდ ნალბანდიანს**, მისი მეორე გატაცება ავტოსპორტია და ის უკვე რბოლებშიც მონაწილეობს.

ამ დღეებში, არგენტინელმა ჩოგბურთელმა თავის მეგობართან, რალის მრბოლელ **მარკოს ლიგატოსთან** ერთად არგენტინაში ძალიან პოპულარულ რბოლაში - 1000 Miles Sport-ში მიიღო მონაწილეობა. ეს ასპარეზობა ყოველწლიურად აერთიანებს კლასიკური და სპორტული მანქანების ასობით მოყვარულს. მანქანები 1920-81 წლების პერიოდშია დამზადებული და მონაწილეები სხვადასხვა კატეგორიებში ეჯიბრებიან ერთმანეთს. დისციპლინები მანქანების გამოშვების პერიოდების მიხედვით არის დაყოფილი.

ნალბანდიანმა და ლიგატომ ძველი მანქანა აირჩიეს, პატაგონიის სილამაზით დატკბნენ და ფოტოკამერების წინაც პოზირებდნენ.



## ჭადრაკი

შემთხვევა

# ფიშერი კლინიკაში მოხვდა

ლეგენდარული ამერიკელი მოჭადრაკე **ბობი ფიშერი**, თირკმლის შეტევით ისლანდიის დედაქალაქ რეიკიავიკის ერთ-ერთ კლინიკაში გადაიყვანეს. როგორც ცნობილია, ფიშერი უკვე ორი წელია რეიკიავიკში ცხოვრობს, იმ ქალაქში, სადაც 1972 წელს გაიმართა ამერიკელის სახელგანთქმული მატჩი **ბორის სპასკისთან.**

64 წლის ფიშერი ტრადიციას არ ღალატობს და ისლანდიაშიც გაურბის ადამიანებთან ურთიერთობას. საავადმყოფოში მოთავსების შემდეგაც, ბობიმ უარი თქვა მკურნალობაზე და მხოლოდ უახლოეს მეგობრებს ესაუბრება.

ბოლო წლების განმავლობაში, ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი მხოლოდ რამდენიმეჯერ გამოვიდა იატაკქვეშიდან. ამას იმისთვის აკეთებდა, რომ თავისი სამშობლო - ამერიკა გაეკრიტიკებინა, ქვეყანა, რომლის მოქალაქედაც ის დღემდე რჩება. სხვათა შორის, 30 წლის წინ, ფიშერი ასეთი მწვავე კრიტიკით საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გამოდიოდა.

## ველოსპორტი

დოპინგი

# ტელეკომი ველოს დაშორდა

გერმანულმა კომპანია Telekom-მა ცნობილი ველოსაჯინიბოს, T-Mobile-ის სპონსორობა შეწყვიტა. ცნობისათვის, ეს ურთიერთობა ჯერ კიდევ 1991 წლიდან იღებდა სათავეს.

ამგვარი გადაწყვეტილების მიზეზი გახდა მთელი წყება დოპინგ-სკანდალებისა, რომელშიც გუნდის ლიდერები იყვნენ გარეულნი. კერძოდ, წლევანდელი ტურ დე ფრანსის დროს, გერმანელი **პატრიკ სენკევიჩის** დოპინგ-ტესტმა დადებითი შედეგი აჩვენა. მოგვიანებით, ამ სპორტსმენმა საქვეყნოდ გამოაცხადა, რომ T-Mobile-ში ფართოდ იყო გავრცელებული დოპინგის მიღება, ჯერ კიდევ იმ დროიდან მოყოლებული, როცა გუნდის ლიდერი **იან ულრიხი** გახლდათ.

სხვათა შორის, სამი თვის წინ, Telekom-მა 2010 წლის ბოლომდე გააგრძელა კონტრაქტი T-Mobile-თან, მაგრამ ხელშეკრულებაში ჩადებული იყო პუნქტი, რომლის მიხედვითაც, ახალი დოპინგ-სკანდალის შემთხვევაში, კომპანიას კონტრაქტის გაუქმების უფლება ჰქონდა. სწორედ ამ პუნქტით ისარგებლა Telekom-მა.

„*ეს რთული გადაწყვეტილება იყო და ის მაინც მივიღეთ, რათა ჩვენი ბრენდი ველოსპორტში დოპინგისგან დაგვეცილებინა*", - წერია Telekom-ის ოფიციალურ განცხადებაში.

სავარაუდოდ, T-Mobile-ს 2008 წლის სეზონში ახალი სახელი იქნება - Team High Road.

## TV სპორტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**29 ნოემბერი. ხუთშაბათი**

**I არხი**

22:45 არენა - სპორტული ტოქ-შოუ.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. სელტიკი-შახტარი.
15:15 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. რუსენბორგი-ჩელსი.
17:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:25 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ვერდერი-რეალი.
19:20 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ბენფიკა-მილანი.
21:20 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
21:40 უიქ ენდის მატჩების ანონსი.
21:45 ტოქ-შოუ - 2:1.
22:30 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტურის მიმოხილვა.
00:45 არგენტინის ჩემპიონატი. ლანუსი-ხიმნასია.
02:45 პირდაპირი ხაზი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

06:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დეტროიტი-კალგარი.
09:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტურის მიმოხილვა.
11:05 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ვალენსია-შალკე.
12:55 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ლაციო-ოლიმპიაკოსი.
14:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. რუსენბორგი-ჩელსი.
16:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ბენფიკა-მილანი.
18:45 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-ტამპა ბეი.
20:35 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
20:45 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:15 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. მიმოხილვა.
22:15 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. მიმოხილვა.
22:45 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
23:00 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ტაუგრესი-ცსკა (LIVE).
01:00 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
01:15 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტურის მიმოხილვა.
02:40 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ფენერბაჰჩე-პანათინაიკოსი.
04:30 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ოტავა-ნეშვილი (LIVE).
07:00 სპორტის სამყარო

**EUROSPORT**

11:30 ციგაობა. მსოფლიო თასი. კალგარი. კანადა.
12:00 მულტისპორტი.
12:15 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ბოლესლავი (ჩეხეთი)-ვილიარეალი (ესპანეთი).
13:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ბრიტანეთი.
13:30 ბიატლონი. მსოფლიო თასი. ქალები. ინდივიდუალური რბოლა. კონტიოლაჰტი. ფინეთი (LIVE).
15:15 ტრამპლინიდან ხტომა. 4 ერის გრან-პრი. HS134. ზაკოპანე. პოლონეთი.
16:00 ტრამპლინიდან ხტომა. ადამ მალიში.
16:30 ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. ინდივიდუალური რბოლა. კონტიოლაჰტი. ფინეთი (LIVE).
18:15 ბოულინგი. შოტლანდიის ღია პირველობა (LIVE).
20:15 ტრამპლინიდან ხტომა. ადამ მალიში.
20:45 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
21:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS142. კვალიფიკაცია. კუუსამო. ფინეთი (LIVE).
22:00 მთის თხილამურები. მსოფლიო თასი. მამაკაცები. კომბინაცია (სწრაფდაშვება). ბივერ კრიკი. აშშ (LIVE).
23:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS142. კვალიფიკაცია. კუუსამო. ფინეთი.
00:15 პროფესიული კრივი. საშუალო წონა. ხ. კასტილიო (ესპანეთი)-მ. კარერა (არგენტინა).
01:30 მთის თხილამურები. მსოფლიო თასი. მამაკაცები. კომბინაცია (სლალომი). ბივერ კრიკი. აშშ (LIVE).
02:15 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. III ტურის მიმოხილვა.
03:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტურის მიმოხილვა.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
13:00 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ჯგუფური ეტაპი. I ტური. ანკარა (თურქეთი)-ნოვარა (იტალია).
14:00 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ჯგუფური ეტაპი. I ტური. ფენერბაჰჩე (თურქეთი)-კალიში (პოლონეთი).
15:00 ახალი ამბები.
17:00 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. II ტური.
18:45 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ჯგუფური ეტაპი. I ტური. ანკარა (თურქეთი)-ნოვარა (იტალია).
21:00 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ჯგუფური ეტაპი. I ტური. ფენერბაჰჩე (თურქეთი)-კალიში (პოლონეთი).
21:00 ახალი ამბები.
21:30 სერფინგი. ევროპის ტური. პორტუგალია.
22:00 სნოუბორდი. შვედეთი.
22:30 ახალი ამბები.
23:00 დარტსი. მსოფლიო თასი. ჰოლანდია.
00:00 ბოულინგი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. ფინალი. სანკტ-პეტერბურგი. რუსეთი.
01:00 ხელბურთი. ჩემპიონთა თასი. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ჰამბურგი (გერმანია)-ზაპოროჟიე (უკრაინა).
02:00 ახალი ამბები.
02:15 სუპერკროსი. იტალია.
03:15 ახალი ამბები.

## ჰოკეი

# NHL რეგულარული ჩემპიონატი

**ვანკუვერი-ანაჰაიმი 4:0**

0:0, 3:0, 1:0

**გოლები:** 1:0 ნესლუნდი-11 (დ. სედინი-14, ჰ. სედინი-18), 2:0 კესლერი-6 (ნესლუნდი-11, ჰ. სედინი-19), 3:0 კუკი-4 (ედლერი-6, ოლუნდი-4), 4:0 კესლერი-7 (კუკი-2, ოლუნდი-5).

**დეტროიტი-კალგარი 5:3**

2:1, 1:1, 2:1

**გოლები:** 0:1 რეგერი-3 (კონროი-7, იგინლა-18), 1:1 დაციუკი-6 (ჰოლმსტრიომი-12, ზეტერბერგი-17), 2:1 დრეიპერი-6 (მიოლტბი-3, კრონვალი-5), 3:1 ჰოლმსტრიომი-13 (დაციუკი-19, ლიდსტრიომი-18), 3:2 ფანოფი-5 (იგინლა-19, ჰუსელიუსი-11), 4:2 დაციუკი-7 (რაფალსკი-17, ლიდსტრიომი-19), 4:3 ტანგეი-6 (იგინლა-20, ა. ერიქსონი-5), 5:3 ფილპულა-4 (ჰუდლერი-8, სამუელსონი-10).

**ტორონტო-მონრეალი 3:4 (ბ)**

0:0, 2:2, 1:1, 0:0

**გოლები:** 1:0 ტაკერი-3 (პოლი-4, ჯ. ბლეიკი-14), 1:1 კოვალიოვი-11 (მარკოვი-12, შტრაიტი-11), 2:1 კილგერი-5 (ვოჟნიევსკი-5, მაკეიბი-7), 2:2 ლატენდრესი-5 (ს. კოივუ-15, ჰიგინსი-6), 2:3 კოვალიოვი-12 (სმოლინსკი-9, მარკოვი-13), 3:3 სუნდინი-12 (ჯ. ბლეიკი-15, ანტროპოვი-12).

**ბულიტები გაიტანეს:** კოვალიოვი (მონრეალი), სუნდინი (ტორონტო), კოსტსიცინი (მონრეალი).

**მთის თხილამურები**

## სვინდალი სტარტზე ვერ გავა

დღეს, ამერიკის კურორტ ბივერ-კრიკში სამთო თხილამურებში მსოფლიო თასის მორიგი ეტაპი გაიმართება - მამაკაცები კომბინაციაში შეეჯიბრებიან ერთმანეთს.

სავარაუდოდ, ამ ეტაპზე ვერ შეძლებს ტრასაზე გასვლას შარშანდელი მსოფლიო თასის მფლობელი **აქსელ ლუნდ სვინდალი**. ნორვეგიელი ერთ-ერთი ბოლო ვარჯიშისას დაეცა, ტრავმები მიიღო და ის საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ჯერჯერობით უცნობია ექიმების საბოლოო დიაგნოზი.

**ოლიმპიზმი**

## ხელბურთი ოლიმპიადის მიღმა?

საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა შესაძლოა სკანდალური გადაწყვეტილება მიიღოს. საქმე ეხება 2012 წელს, ლონდონის ოლიმპიური თამაშების პროგრამიდან ხელბურთის ამოღებას.

ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ხელბურთელთა საერთაშორისო კავშირი (IHF) არ გააუქმებს 2008 წლის ოლიმპიადის შესარჩევი მატჩის შედეგს, რომელშიც ქუვეითმა 28:20 დაამარცხა სამხრეთ კორეის ნაკრები და პეკინში გამგზავრების უფლება მოიპოვა.

როგორც აღმოჩნდა, იმ მატჩში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი იორდანიელმა არბიტრებმა, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს ქუვეითელთა გასამარჯვებლად. სწორედ ამ სკანდალურ მსაჯობას აპროტესტებს ოლიმპიური კომიტეტი.

**ფორმულა 1**

## სუტილს ფორს ინდია ურჩევნია

„ფორს ინდიას" ახალგაზრდა პილოტმა **ადრიან სუტილმა** დაადასტურა, რომ მომავალ წელს არ აპირებს გუნდის შეცვლას. როგორც იცით, გერმანელ პილოტს „მაკლარენში" გადასვლას უწინასწარმეტყველებენ.

„*მომავალი წლისთვის კონტრაქტი გაფორმებული მაქვს და ახალ ვარიანტებს არ ვეძებ. „ფორს ინდიას" ახალი ხელმძღვანელები გუნდში გამოცდილი პილოტის მოწვევას აპირებენ, ამიტომაც, ჩემი პარტნიორი შეიძლება გახდეს კრისტიან კლინი ან ვიტანტონიო ლიუცი. მათ კარგად იმუშავეს ტესტებზე და იმსახურებენ ადგილს ფორმულა 1-ში*" - ამბობს სუტილი.

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| | |
|---|---|
| **ინგლისი** | |
| ბლექბერნი-ასტონ ვილა | 0:4 |
| **ჩემპიონატი** | |
| პლიმუტი-ვესტ ბრომვიჩი | 1:2 |
| ვულვზი-კოლჩესტერი | 1:0 |
| **საფრანგეთი** | |
| ლანსი-კაენი | 1:1 |
| **სლოვაკეთის თასი** | |
| არტმედია-ინტერი | 2:1 |
| სლოვანი-კოშიცე | 0:0 |
| **პოლონეთი** | |
| **ლიგის თასი** | |
| გურნიკი-ვისლა | 0:1 |
| სოსნოვეცი-ბელხატოვი | გადაიდო |
| **ხორვატიის თასი** | |
| ზაგრები-სეგესტა | 3:2 |
| დინამო-სლოვანი | გადაიდო |
| **სერბეთი** | |
| პაიდუკი-ცრვენა ზვეზდა | 0:2 |

**კალათბურთი**

| | |
|---|---|
| **ევროლიგა** | |
| ციბონა-ლე მანი | 91:71 |
| არისი-ეფეს პილსენი | 67:64 |
| პროკომი-სიენა | 59:84 |
| რომა-ბარსელონა | 65:74 |
| ბამბერგი-პარტიზანი | 78:62 |
| უნიკახა-ლეტუვოს რიტასი | 71:69 |
| **ULEB-ის თასი** | |
| აკესოფტი-გალათასარაი | 81:83 |

**ჰოკეი**

| | |
|---|---|
| **შვეიცარია** | |
| ჟენევა-ლუგანო | 3:3 პენ. 4:3 |

# ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური

## A ჯგუფი

### ბეშიქთაში–მარსელი 2:1

**ბეშიქთაში:** რუშთუ, ალი, ბაქი, იბრაჰიმ თორამანი, იბრაჰიმ უზულმეზი, სერდარი (76. ნობრე), ე. სისე (20. ქორაი), რიკარდინიო (67. იბრაჰიმ აქინი), ტელო, დელგადო, ბობო.

**მარსელი:** მანდანდა, ზუბარი (46. ტაივო), ჟივე, როდრიგესი, ბონარი, ნასრი (26. ჯ. სისე), კანა, ვალბუენა, შეირუ, ზენდენი (54. აიევი), ნიანგი.

**გოლები:** 1:0 ტელო (27), 1:1 ტაივო (65), 2:1 ბობო (88)

**მაყურებელი:** 32 000

**არბიტრი:** ლუის მ. კანტალეხო (ესპანეთი)

სტატისტიკა

| | | |
|---|---|---|
| | **მატჩი დაიწყო:** ბეშიქთაში | |
| | **პირველი ჯარიმა:** მარსელი | |
| | **პირველი კუთხური:** ბეშიქთაში | |
| | **პირველი გაფრთხილება:** მარსელი | |
| 12 (7) | **დარტყმა** | 17 (4) |
| 2 | **გაფრთხილება** | 5 |
| 18 | **ჯარიმა** | 14 |
| 8 | **კუთხური** | 10 |
| 48% | **ბურთის ფლობა** | 52% |

### ლივერპული–პორტუ 4:1

**ლივერპული:** რეინა, ფინენი, ჰიიპია, კარაგერი, არბელოა, ბენაიუნი (71. კრაუჩი), ჯერარდი, მასკერანო, ბაბელი (85. კუიტი), ვორონინი (63. კიუელი), ფერნანდო ტორესი.

**პორტუ:** ელტონი, ბოსინგვა, სტეპანოვი, ალვეში, ჩეხი, პაულო ასუნსაო (81. ელდერ პოშტიგა), მარიანო გონსალესი (77. სექთიუი), ლუჩო გონსალესი, კაზმიერჩაკი (65. მეირელეში), კვარეშმა, ლისანდრო.

**გოლები:** 1:0 ფერნანდო ტორესი (19), 1:1 ლისანდრო (33), 2:1 ფერნანდო ტორესი (78), 3:1 ჯერარდი (84-პენ), 4:1 კრაუჩი (87)

**მაყურებელი:** 42 255

**არბიტრი:** რობერტო როსეტი (იტალია)

სტატისტიკა

| | | |
|---|---|---|
| | **მატჩი დაიწყო:** ლივერპული | |
| | **პირველი ჯარიმა:** ლივერპული | |
| | **პირველი კუთხური:** ლივერპული | |
| | **პირველი გაფრთხილება:** ლივერპული | |
| 17 (9) | **დარტყმა** | 11 (2) |
| 1 | **გაფრთხილება** | 3 |
| 13 | **ჯარიმა** | 10 |
| 10 | **კუთხური** | 3 |
| 54% | **ბურთის ფლობა** | 46% |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პორტუ | 5 | 2 | 2 | 1 | 6-7 | 8 |
| 2. ლივერპული | 5 | 2 | 1 | 2 | 14-5 | 7 |
| 3. მარსელი | 5 | 2 | 1 | 2 | 6-5 | 7 |
| 4. ბეშიქთაში | 5 | 2 | 0 | 3 | 4-13 | 6 |

## B ჯგუფი

### რუსენბორგი–ჩელსი 0:4

**რუსენბორგი:** ჰირშფელდტი, სტოორი, კვარმე, რიზეტი, დორსინი (86. ბასმა), ტეტეი, სკილბრედი, ტრაორე (56. სტრანდი), საპარა, ივერსენი, კონე (63. კონანი).

**ჩელსი:** კუდიჩინი, ბელეტი, ტერი, ალექსი, ე. კოული, ესიენი, მაკელელე, ლემპარდი (76. პისარო), რაიტ-ფილიპსი (69. კალუ), ჯ. კოული, დროგბა (68. შევჩენკო).

**გოლები:** 0:1 დროგბა (8), 0:2 დროგბა (20), 0:3 ალექსი (40), 0:4 ჯ. კოული (73)

**მაყურებელი:** 20 000

**არბიტრი:** ოლეგარიო ბენკერენსა (პორტუგალია)

სტატისტიკა

| | | |
|---|---|---|
| | **მატჩი დაიწყო:** რუსენბორგი | |
| | **პირველი ჯარიმა:** ჩელსი | |
| | **პირველი კუთხური:** რუსენბორგი | |
| | **პირველი გაფრთხილება:** – | |
| 11 (3) | **დარტყმა** | 26 (15) |
| 0 | **გაფრთხილება** | 0 |
| 6 | **ჯარიმა** | 9 |
| 6 | **კუთხური** | 3 |
| 50% | **ბურთის ფლობა** | 50% |

### ვალენსია–შალკე 0:0

**ვალენსია:** კანისარესი, მიგელი, ივან ელგერა, მარჩენა, კანეირა (43. ალბიოლი), ვისენტე (72. სილვა), ალბელდა, ედუ, ხოაკინი, ვილია, მორიენტესი (35. ფერნანდესი).

**შალკე:** ნოიერი, რაფინია, ბორდონი, კრსტაიჩი, ვესტერმანი, ერნსტი, ჯოუნსი (71. ბაირამოვიჩი), რაკიტიჩი (66. გროსმიულერი), იოზილი, ჰალილ ალთინთოფი (80. ასამოა), კურანი.

**გაძევება:** ალბელდა (32. ვალენსია)

**მაყურებელი:** 48 000

**არბიტრი:** ფრანკ დე ბლეეკერი (ბელგია)

სტატისტიკა

| | | |
|---|---|---|
| | **მატჩი დაიწყო:** შალკე | |
| | **პირველი ჯარიმა:** ვალენსია | |
| | **პირველი კუთხური:** შალკე | |
| | **პირველი გაფრთხილება:** ვალენსია | |
| 10 (3) | **დარტყმა** | 9 (3) |
| 2 | **გაფრთხილება** | 3 |
| 10 | **ჯარიმა** | 20 |
| 3 | **კუთხური** | 6 |
| 56% | **ბურთის ფლობა** | 44% |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩელსი | 5 | 3 | 2 | 0 | 9-2 | 11 |
| 2. რუსენბორგი | 5 | 2 | 1 | 2 | 5-7 | 7 |
| 3. შალკე | 5 | 1 | 2 | 2 | 2-3 | 5 |
| 4. ვალენსია | 5 | 1 | 1 | 3 | 2-6 | 4 |

## C ჯგუფი

### ლაციო–ოლიმპიაკოსი 1:2

**ლაციო:** ბალოტა, ბეჰრამი (77. სკალონი), სტენდარდო, სივილია, კოლაროვი (63. დე სილვესტრი), მუდინგაი, კრისტიან ლედესმა, მუტარელი (71. მეგნი), მაური, პანდევი, როკი.

**ოლიმპიაკოსი:** ნიკოპოლიდისი, ტოროსიდისი, ანცასი, ჟევლაკოვი, პანტოსი, კ. რაულ ლედესმა, სტოლტიდისი, პაცაცოღლუ (75. მენდრინოსი), გალეტი, ჯორჯევიჩი (90. მიტროღლუ), ლუა ლუა (56. კოვაჩევიჩი).

**გოლები:** 1:0 პანდევი (30), 1:1 გალეტი (35), 1:2 კოვაჩევიჩი (64)

**მაყურებელი:** 50 000

**არბიტრი:** ჰოვარდ უები (ინგლისი)

სტატისტიკა

| | | |
|---|---|---|
| | **მატჩი დაიწყო:** ოლიმპიაკოსი | |
| | **პირველი ჯარიმა:** ოლიმპიაკოსი | |
| | **პირველი კუთხური:** ოლიმპიაკოსი | |
| | **პირველი გაფრთხილება:** ოლიმპიაკოსი | |
| 12 (8) | **დარტყმა** | 10 (3) |
| 0 | **გაფრთხილება** | 4 |
| 16 | **ჯარიმა** | 22 |
| 4 | **კუთხური** | 3 |
| 54% | **ბურთის ფლობა** | 46% |

### ვერდერი–რეალი 3:2

**ვერდერი:** ვანდერი, ფრიტცი (6. ტოშიჩი), მერტეზაკერი, ნალდო, პასანენი, ვრანიეში, დ. იენსენი, ბაუმანი, ჰანტი (76. ჰარნიკი), როზენბერგი, სანოგო (87. სანოგო).

**რეალი:** კასილიასი, რამოსი, მეტცელდერი, პეპე, მარსელო, რობინიო (75. რობენი), დიარა, გაგო (61. იგუაინი), გუტი, რაული, ვან ნისტელროი.

**გოლები:** 1:0 როზენბერგი (5), 1:1 რობინიო (14), 2:1 სანოგო (40), 3:1 ჰანტი (58), 3:2 ვან ნისტელროი (71)

**მაყურებელი:** 36 350

**არბიტრი:** პიტერ ვინკი (ჰოლანდია)

სტატისტიკა

| | | |
|---|---|---|
| | **მატჩი დაიწყო:** რეალი | |
| | **პირველი ჯარიმა:** რეალი | |
| | **პირველი კუთხური:** რეალი | |
| | **პირველი გაფრთხილება:** ვერდერი | |
| 13 (8) | **დარტყმა** | 14 (5) |
| 1 | **გაფრთხილება** | 3 |
| 20 | **ჯარიმა** | 15 |
| 7 | **კუთხური** | 3 |
| 46% | **ბურთის ფლობა** | 54% |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 5 | 2 | 2 | 1 | 10-8 | 8 |
| 2. ოლიმპიაკოსი | 5 | 2 | 2 | 1 | 8-7 | 8 |
| 3. ვერდერი | 5 | 2 | 0 | 3 | 8-10 | 6 |
| 4. ლაციო | 5 | 1 | 2 | 2 | 7-8 | 5 |

## D ჯგუფი

### ბენფიკა–მილანი 1:1

**ბენფიკა:** კუიმი, ფელიპე, ლუიზაო (74. დი მარია), ლეო, მარინიო (88. ადუ), კაცურანისი, პეტიტი, პერეირა (75. კარდოსო), რუი კოშტა, როდრიგესი, ნუნუ გომეში.

**მილანი:** დიდა, ბონერა, კალაძე, ნესტა, სერჟინიო (46. მალდინი), გატუზო, პირლო, ბროკი (51. გურკუფი), ზეედორფი (73. ოდო), კაკა, ჯილარდინო.

**გოლები:** 0:1 პირლო (15), 1:1 პერეირა (20)

**მაყურებელი:** 35 000

**არბიტრი:** ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)

სტატისტიკა

| | | |
|---|---|---|
| | **მატჩი დაიწყო:** მილანი | |
| | **პირველი ჯარიმა:** მილანი | |
| | **პირველი კუთხური:** მილანი | |
| | **პირველი გაფრთხილება:** მილანი | |
| 21 (8) | **დარტყმა** | 10 (3) |
| 1 | **გაფრთხილება** | 3 |
| 18 | **ჯარიმა** | 13 |
| 5 | **კუთხური** | 5 |
| 50% | **ბურთის ფლობა** | 50% |

### სელტიკი–შახტარი 2:1

**სელტიკი:** ბორუცი, კოლდუელი, კენედი (41. პრესლი), მაკმანუსი, ნეილორი (16. დონატი), მაკგიდი, ჰარტლი, ბრაუნი, იაროშიკი, ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (79. კილენი), მაკდონალდი.

**შახტარი:** პიატოვი, სრნა, კუჩერი, ჩიგრინსკი, რაცი, ილსინიო (84. იეზერსკი), ჰიუბშმანი, ლევანდოვსკი, ჟადსონი, ბრანდაუ, ლუკარელი (88. გლადკი).

**გოლები:** 0:1 ბრანდაუ (4), 1:1 იაროშიკი (45), 2:1 დონატი (90)

**მაყურებელი:** 52 156

**არბიტრი:** ბერტრან ლაიეკი (საფრანგეთი)

სტატისტიკა

| | | |
|---|---|---|
| | **მატჩი დაიწყო:** სელტიკი | |
| | **პირველი ჯარიმა:** სელტიკი | |
| | **პირველი კუთხური:** შახტარი | |
| | **პირველი გაფრთხილება:** შახტარი | |
| 10 (2) | **დარტყმა** | 9 (3) |
| 3 | **გაფრთხილება** | 1 |
| 19 | **ჯარიმა** | 14 |
| 2 | **კუთხური** | 4 |
| 60% | **ბურთის ფლობა** | 40% |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მილანი | 5 | 3 | 1 | 1 | 11-5 | 10 |
| 2. სელტიკი | 5 | 3 | 0 | 2 | 5-5 | 9 |
| 3. შახტარი | 5 | 2 | 0 | 3 | 5-9 | 6 |
| 4. ბენფიკა | 5 | 1 | 1 | 3 | 3-5 | 4 |




ლივერპული-პორტუ. კრაუჩის თავური და 4:1

სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა